

სისხლში ჩახშობილი ამბოხი

A5



ფილმი მასზე, ვისაც გაუმართლა

B2



სტატუს კვო შენარჩუნებულია

B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 16 მაისი, 2005 წელი. №107 (967)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ნაგავსაყრელად ქცეული პარკი და მდინარე



თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ ორი დღის წინ ელიავას ბაზრობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სანიტარიული შემოწმება დაასრულა.

A2

## უცხოეთი

### ხათამის პოლიტიკური მემკვიდრეების რეგისტრაცია დასრულდა



საპრეზიდენტო არჩევნები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 17 ივნისსაა დაგეგმილი. სარეგისტრაციო ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო მარათონში კანდიდატთა მონაწილეობა ამჯერად უკვე ირანის კონსერვატიული ორგანოს – ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

A5

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 16/05 | 17/05 | 18/05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 23 | 26 |
| ქუთაისი | 22 | 28 | 29 |
| ბათუმი | 19 | 25 | 26 |
| სოხუმი | 22 | 24 | 25 |
| ფოთი | 22 | 26 | 27 |
| თელავი | 17 | 23 | 25 |
| ზუგდიდი | 24 | 27 | 28 |
| გორი | 17 | 23 | 25 |
| ახმეტა | 17 | 23 | 25 |
| ჭიათურა | 20 | 26 | 27 |
| სამტრედია | 22 | 27 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3134 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.3976 |
| რუბლი | 0.0654 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# რუსეთი და საქართველო „საიდუმლო" დოკუმენტმა შეარიგა

*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ვარშავაში ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სამიტზე ქართველ კოლეგასთან სალომე ზურაბიშვილთან სამხედრო ბაზების თემაზე საუბარს არ აპირებს. ამის შესახებ ლავროვმა ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა. ლავროვის განცხადებას წინ უძღოდა საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის საგანგებო ბრიფინგი, სადაც გელა ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე ჯერჯერობით არ აპირებს პარლამენტის იმ დადგენილების სრულად ამოქმედებას, რომელიც 15 მაისიდან რუსული სამხედრო ბაზების "ბლოკირებას" ითვალისწინებს.*

სოფო ბუკია

ვარშავაში სერგეი ლავროვისა და სალომე ზურაბიშვილის შესაძლო შეხვედრის შესახებ განცხადება თავად საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა პარასკევს, 13 მაისს სპეციალურ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, საქართველოში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, ახალი დოკუმენტი მიიღო. **"ამ დოკუმენტში მხარეების პოზიციები საგრძნობლად დაახლოებულია,"** – განაცხადა მინისტრმა.

იგივე გაიმეორა ბრიფინგზე გელა ჩარკვიანმაც: **"ამ დღეებში რუსული მხარე გარკვეული წინადადებებით გამოვიდა, რაც იძლევა შანსს იმისათვის, რომ მოლაპარაკებები რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით განახლდეს და გარკვეული პროგრესი იქნას მიღწეული,"** – აღნიშნა მან.

კონკრეტულად, რა ჩაწერა რუსეთის საგარეო უწყებამ ბაზებთან დაკავშირებით თბილისში გამოგზავნილ დოკუმენტში, რითიც ასე ოპტიმისტურად განაწყო საქართველოს ხელისუფლება, ჯერ-ჯერობით არ ამხელენ. დოკუმენტის შინაარსის გახმოვანებას ქალბატონი ზურაბიშვილი მხოლოდ მისი დეტალურად შესწავლის შემდეგ დაგვპირდა. გამოდის, დოკუმენტის დეტალები ქართულ მხარეს შესწავლილი ჯერ არ აქვს. მაშინ გაურკვეველია, რატომ აკეთებს ოპტიმისტურ განცხადებებს ფრთხილი მინისტრი, რომელიც ყველა დეტალში ეშმაკს ეძებს.

აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრ იაკოვენკოც. **"საქართველოს საგარეო უწყებას ჩვენ დოკუმენტის ახალი, შესწორებული ვარიანტი გავუგზავნეთ. დოკუმენტი 6 მაისს მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებათა საფუძველზე შესწორდა,"** – აღნიშნა იაკოვენკომ. მისი თქმით, რუსეთის საგარეო უწყებამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან უკვე მიიღო საპასუხო წინადადებები. **"ეს ცხადყოფს იმას, რომ**

გაგრძელება A3 გვერდზე

# მხოლოდ მადლობის საფასურად

### პრეზიდენტმა უფასო სამედიცინო დახმარების პრეზენტაცია მოაწყო

თამარ მაისურაძე

**"სახელმწიფოსთვის ორი ფაქტორია უმთავრესი - მოსახლეობას ჰქონდეს პოლიციის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების უფასოდ მიღების იმედი. ქართულ სახელმწიფოს ეს ორი ფუნქცია წლების მანძილზე დაკარგული ჰქონდა, თუმცა ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ეს პრობლემა აღარ დგას. ერთი წლის წინ სახელმწიფომ საპატრულო პოლიციის ამოქმედება შეძლო, ხოლო ერთი წლის თავზე სახელმწიფოს საშუალება აქვს, მოსახლეობას უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით მოემსახუროს,"** – აღნიშნა გუშინ თბილისის მერიასთან მყოფმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

26 მაისიდან, მთელი საქართველოს მასშტაბით, უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება ამოქმედდება. სასწრაფო დახმარების ახალი ავტომანქანების პრეზენტაციას, რომელიც გუშინ თავისუფლების მოედანზე გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტი, ჯანდაცვის მინისტრი და ქალაქის მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერ-პრესი

*უფასო სამედიცინო სამსახური პრეზიდენტმა ხალხს თავად წარუდგინა.*

# კონდოლიზა რაისი: ამბოხებას მხოლოდ იარაღით ვერ დავამარცხებთ

*ყველასთვის მოულოდნელად აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კვირას ერაყში ჩავიდა. ვიზიტის მიზანი ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების გამართვა იყო.*

*მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლების ფორმირების გაწელილმა პროცესმა ერაყში ძალადობის ახალი ტალღა წარმოშვა (ვაშინგტონი ერაყში პრობლემების გადასაჭრელად ახალი გზების მონახვას ცდილობს), აშკარაა, რომ მხოლოდ სამხედრო საშუალებებით ერაყში უკვე ჩვეულებრივ ამბად ქცეული სისხლისღვრის შეჩერება შეუძლებელია; მაგალითად, გუშინ, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის საიდუმლო ვიზიტამდე რამდენიმე საათით ადრე, ორი აფეთქება მოხდა ბაკუბაში, ხოლო ბაღდადში ტერორისტებმა ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელე და მისი მძღოლი ჩაცხრილეს.*

*გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ ქალბატონი რაისი ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობას ამბოხებულებთან საბრძოლველად პოლიტიკური საშუალებების გამოყენებას ურჩევდა.*

ნიკა თარაშვილი

"მართალია, ამბოხება ძალიან სასტიკ ფორმებს იღებს, მაგრამ მის დამარცხებას მარტო სამხედრო საშუალებით ვერ შევძლებთ - ამისთვის ძლიერი პოლიტიკური ალტერნატივის შექმნაა აუცილებელი," - ასეთი შინაარსის იყო კონდოლიზა რაისის მთავარი "მესიჯი" ერაყის მმართველებისადმი.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ერაყის ჩრდილოეთში, ქურთებით დასახლებულ არბილში კატარიდან ჩავიდა. მისი ვიზიტი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ამის შესახებ წინასწარ მხოლოდ რამდენიმე თანაშემწემ იცოდა.

გაგრძელება A5 გვერდზე



*კონდოლიზა რაისი ერაყელებს პოლიტიკური პროცესების გააქტიურებას ურჩევს.*

# ნატო-ს შტაბ-ბინაში საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის განხორციელებას შეაფასებენ

*საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასება ბრიუსელში 18 მაისს შედგება. აღნიშნულთან დაკავშირებით გუშინ ნატო-ს შტაბ-ბინაში საქართველოს სამთავრობო დელეგაცია გაემგზავრა, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე არიან.*

ქართული მხარე მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების 26+1 ფორმატით შეხვედრაში, სადაც ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმით (Individual Partnership Action Plan), საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა იქნება განხილული.

გარდა ამისა, ამ პროცესის ხელშესაწყობად საჭირო საერთაშორისო დახმარებებზეც იმსჯელებენ.

ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ უკვე მიმდინარე წლის ბოლოსათვის, საქართველოსთან მიმართებაში ახალი, ანუ ნატო-ში გაწევრიანების ინდივიდუალური გეგმა ამოქმედდება. ვიზიტის მსვლელობისას დაგეგმილია ნატო-ს გენერალურ მდივანთან იაპ დე ჰუპ სხეფერთან შეხვედრაც.

საქართველო ნატო-სთან, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2004 წლის ოქტომბრიდან თანამშრომლობს.

მიმდინარე წლის მარტში, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შესაბამისი სამსახურის ექსპერტთა ჯგუფი სამუშაო ვიზიტით თბილისში იმყოფებოდა. საქართველოში ყოფნისას, ჯგუფმა „IPAP"-ის შეფასების დოკუმენტის პროექტი მოამზადა, რომელიც ნატო-ს წევრ ქვეყნებს და საქართველოს წარუდგინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დაუბრუნებს თუ არა ევროსასამართლო ქართველ დევნილებს დაკარგულ ქონებას

თამარ კაციტაძე

*"11 წელზე მეტია, ქეთევან მეხუზლას არ აქვს შესაძლებლობა, ჩავიდეს სოხუმში და იცხოვროს მისი და მისი მეუღლის მიერ აშენებულ სახლში, სადაც ისინი 40 წლის მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ. ამჟამად მეხუზლას სახლში ცხოვრობენ თვითნებურად შეჭრილი აფხაზი ეროვნების პირები," - აღნიშნულია სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილ განცხადებაში, სადაც მოპასუხე მხარედ საქართველოსთან ერთად დასახელებულია რუსეთის ფედერაცია.*

2005 წლის 25 იანვარს ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქეთევან მეხუზლას განცხადება. ეს არის პირველი საქმე, რომელიც ეხება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის საკუთრების უფლებების დარღვევას.

გაგრძელება A7 გვერდზე

# რუსეთს გაზსადენის გაყიდვაზე უარის თქმა აღიზიანებს

თამარ ივანიძე

დაახლოებით ერთი კვირის წინ, აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს ხელისუფლებამ, ნიკა გილაურის სახით, ოფიციალურად გაახმოვანა, რომ მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზება აღარ იგეგმება. მოგვიანებით აღნიშნული ფაქტი დაადასტურა საქართველოს პრემიერმა ზურაბ ნოღაიდელმა. მისი თქმით, საქართველოს შეუძლია, გაზსადენის რეაბილიტაცია საკუთარი ძალებით განახორციელოს, რაზეც თანხას ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში ამერიკული მხარე გამოყოფს. **"ეს არ არის გაზპრომისა და რუსეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. უბრალოდ, გაზსადენი აღარ იყიდება,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

თუმცა ცხადია, რომ საქართველოს აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ბოლო დღეებში განსაკუთრებულად გამწვავებული სიტუაციის ფონზე დამატებით გამაღიზიანებელ ფაქტორად იქცა.

ამ გადაწყვეტილებას რუსეთში უკვე გამოეხმაურნენ და შეფასებებიც საკმაოდ მწვავეა. რუსი ექსპერტის ალექსანდრ ბლოხინის განცხადებით, გაზსადენის მიმართ ამერიკას ეკონომიკური ინტერესი არ აქვს, სამაგიეროდ, მას აინტერესებს ჩარევა ძალთა გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში კავკასიის რეგიონში.

თუმცა, რეალურად, იგივე ბლოხინის კომენტარით ნათელი ხდება, რომ რუსეთის ინტერესი აღნიშნული გაზსადენისადმი, ასევე ძირითადად პოლიტიკური დატვირთვის გახლავთ. ექსპერტის თქმით, ამ გაზსადენით ბუნებრივი აირი რეგიონში რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილ ერთადერთ ქვეყანაში - სომხეთში მიედინება.

**"სომხეთში მიწოდებული გაზის მოცულობა გაზპრომისათვის უმნიშვნელოა. თუმცა მნიშვნელოვანია ამ ქმედების პოლიტიკური მხარე. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზსადენის გაზპრომისათვის გადაცემაზე უარის თქმით ამერიკა კიდევ უფრო აშორებს საქართველოს - რუსეთს,"** - აღნიშნავს ბლოხინი.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ტრადიციულად რადიკალურია საქართველოსთვის კარგად ცნობილი კონსტანტინ ზატულინი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის თქმით, ეს მოვლენა არის მორიგი ნაბიჯი ქმედებებისა, რომლითაც ხორციელდება დსთ-ს ქვეყნების ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; **"დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, რუსეთისაგან,"** - დასძენს ზატულინი.

რუსი ექსპერტები შიშობენ, რომ ენერგეტიკის სფეროში ამერიკის აქტიურობა, რომელსაც იგი დსთ-ს ქვეყნებში იჩენს, ამ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ურთიერთობას კიდევ უფრო დაძაბავს.

**"ეს ქმედებები არის ამერიკის თამაში რუსეთის წინააღმდეგ, სადაც უკრაინა და საქართველო სტატისტები არიან,"** - მიიჩნევს ზატულინი.

რუსეთში მიაჩნიათ, რომ მოსკოვსა და გაზპრომს შეუძლიათ გაზსადენის ყიდვასთან დაკავშირებული ეს წარუმატებლობა თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. კერძოდ, დაიკავონ საქართველოსთან უფრო მკაცრი პოზიცია და თბილისს გაზის მრავალმილიონიანი დავალიანების დაფარვა მოსთხოვონ.

# ნაგავსაყრელად ქცეული პარკი და მდინარე

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ ორი დღის წინ ელიავას ბაზრობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სანიტარიული შემოწმება დაასრულა. მდგომარეობა იმაზე ბევრად საგანგაშო აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. ამ ტერიტორიაზე განთავსებული ექვსი შპს კეთილმოწყობილი და დაკრიალებული არასოდეს ყოფილა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მერია ბაზრობის გადატანაზე ალაპარაკდა, მდგომარეობა უფრო გაუარესდა.*



*ბაზრობის მოასფალტება-კეთილმოწყობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ადმინისტრაცია და მოვაჭრეები ელემენტარულ სანიტარიულ ნორმებს არ იცავენ.*

ორი კვირის წინ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თათბირზე ელიავას ბაზრობის საკითხი საგანგებოდ განიხილეს და სანიტარიულ ინსპექციას მდგომარეობის სასწრაფოდ შესწავლა დაავალეს. მოვაჭრეები ამბობენ, მერიას უნდა, ბაზრობის გადატანა დააჩქაროს და მიზეზებს ეძებსო, მაგრამ როგორც სანიტარიული ინსპექციის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ აჩვენა, გამგეობის დავალება დაგვიანებული თუ არა, დროული ნამდვილად იყო. ბაზრობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ანტისანიტარია მოვაჭრეების, მომხმარებლებისა და ბაზრობის მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრებთა ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ბაზრობის ადმინისტრაცია და მოვაჭრეები, ვინც ფულს შოულობს, ამაზე თვალებს ხუჭავს და, სხვების ჯანმრთელობასთან ერთად, საკუთარსაც საფრთხის ქვეშ აყენებს. ადგილობრივი მოსახლეობა კი, უკვე კარგა ხანია, შველას ითხოვს.

ბაზრობის მოასფალტება-კეთილმოწყობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ადმინისტრაცია და მოვაჭრეები ელემენტარულ სანიტარიულ ნორმებს არ იცავენ. სიტუაციის შესაფასებლად მხოლოდ ბაზრობის გვერდით მდებარე პარკის ნახვაც კმარა. დიდი ხანია, ეს პარკი ნაგავსაყრელად არის ქცეული. ერთად იყრება ყველა სახის ნარჩენი, სამშენებლო მასალები, ბოთლები, ყუთები, მანქანის ნაწილები.... ნაგავსაყრელის გარდა, პარკი სასადილოსა და საპირფარეშოს ფუნქციასაც ითავსებს. იმავდროულად, პარკის გვერდით მდებარე სტადიონზე ბავშვები ფეხბურთსა და კალათბურთს თამაშობენ.

მოვაჭრეთა ნაწილი ნაგავსაყრელად მტკვარსაც ასევე წარმატებით იყენებს და ყველა სახის ნარჩენს განურჩევლად ყრის.

ანტისანიტარიაზე არანაკლებ პრობლემას ბაზრობის ირგვლივ ჩამწკრივებული და კორპუსების პირველ სართულზე განთავსებული სახელოსნოები ქმნის. ტრანსპორტით ისედაც გადატვირთულ ქუჩებს ავტოტექმომსახურების ობიექტები უარესად ჭედავს. ამის გარდა, მანქანების გამონაბოლქვი, საბურავების სუნი, მანქანების დაშლის შედეგად დაღვრილი ნავთობპროდუქტები, დაჭრილი მინის მტვერი, გასაყიდად გამოტანილი ქვიშა, ცემენტი და გაჯი ადგილობრივი მცხოვრებლების ცხოვრების პირობებს აუტანელს ხდის. **"წელიწადნახევარია, კორპუსებში და ბაზრობის გვერდით განლაგებული სახელოსნოების დახურვას ვითხოვთ, დადგენილებაც გამოვიტანეთ და სასამართლოს გადავუგზავნეთ. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანას საშველი არ დააყენა,"** – აცხადებს ინსპექციის ხელმძღვანელობა.

სანიტარიულმა ინსპექციამ ბაზრობის ადმინისტრაციას მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთი თვის ვადა მისცა. თუკი ეს პირობა არ შესრულდება, ქალაქის ხელმძღვანელობა აგლაძის ქუჩიდან ბაზრობის გადატანას, ალბათ, დააჩქარებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ბატალიონის 333-მა ახალწვეულმა გუშინ ფიცი დადო. ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაესწრო. გუშინვე ბატალიონის ბაზაზე ახლადგარემონტებული, ევროსტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ყაზარმა გაიხსნა. როგორც შს მინისტრმა განაცხადა, ყაზარმაში არსებული ყველა ოთახი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი, რაც განსაკუთრებულ დავალებათა ბატალიონის წევრთა მაღალ დონეზე მომზადებას შეუწყობს ხელს. მისივე თქმით, ყაზარმაში მდებარეობს სამეურნეო ოთახები და უმაღლეს დონეზე მოწყობილი სველი წერტილები, რაც ჯარისკაცთა ნორმალური მომზადების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში გუშინ ნოტარიუსებისთვის სემინარი გაიხსნა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სასწავლო ცენტრთან ერთად 15-16 მაისს ჰოლანდიელ ექსპერტებს მასპინძლობს, რომლებიც ნოტარიუსებს საკორპორაციო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში სემინარს ჩაუტარებენ. ჰოლანდიური იურიდიული კომპანიის "De Brauw Blackstone Westbrok"-ის ექსპერტები მარიოლინ ფოსტერი, დენი ბუში, ეველინ დე ზვაანი და გოდერ ვან დერ ფელცი სემინარებს ქართველი ნოტარიუსებისა და სახელმწიფო მოხელეებისთვის ჩაატარებენ. ქართული მხრიდან მათი პარტნიორები უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მოსამართლე ნათია წკეპლაძე და მთაწმინდის რაიონის ნოტარიუსი ნარგიზ ჯანხოთელი იქნებიან. სემინარი ძირითადად იმ საკითხებს შეეხება, რომლებიც ნოტარიუსთა საქმიანობასთან, კომერციული იურიდიული პირების დაფუძნებასთან და მასში წილის გასხვისებასთან იქნება დაკავშირებული. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ასევე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის, გასაჩივრების სამართლებრივი საფუძვლების და შეზღუდვის ფარგლების განხილვას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგანი ჯარის ზუგდიდის რაიონულ განყოფილებაში გუშინ ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებაში 500-მდე ჯარისკაცი მონაწილეობდა. ფიცის დადების ცერემონიალს შინაგანი ჯარის მთავარი სამმართველოს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ახალწვეულთა ოჯახების წევრები ესწრებოდნენ. ფიცის დადების შემდეგ ჯარისკაცებმა საჩვენებლად რამდენიმე საბრძოლო ილეთი შეასრულეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასრულწლოვანმა მსჯავრდებულებმა ტელეწამყვანები ამხანაგურ საფეხბურთო მატჩში დაამარცხეს. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში გუშინ მინი-ფეხბურთში ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელიც პატიმართა გამარჯვებით, ანგარიშით 7:6 დასრულდა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახური "თბილისის კორპუსი", რომლის წარმომადგენლები ტელეწამყვანთა გუნდში თამაშობდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში შს სამინისტროს რაიონული სამმართველოების ხუთი ახლად გარემონტებული შენობა გაიხსნა. ეს შენობები შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა პირადად მოინახულა. მინისტრმა თითოეულ განყოფილებას ავტომანქანა "ოპელი" გადასცა. როგორც მერაბიშვილმა განაცხადა, ყველა განყოფილებაში მოქმედებს ახალი საშხაპეები, უახლესი ტექნიკა, მათ შორის - კომპიუტერული, რაც პოლიციელებს ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. დღეს თბილისში შს განყოფილებების კიდევ ხუთი ახლად გარემონტებული შენობა გაიხსნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილის საამანათოში დააკავეს 24 წლის ი. მ.-იანი, რომელსაც საპყრობილეში ნარკოტიკის შეგზავნის მცდელობას ედავებიან. საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ი. მ.-იანის მიერ საპყრობილეში მყოფ პატიმარ გ. ს.-შვილთან მიტანილ ამანათში, კარტოფილის ბოლქვებში დამალული 0.189 გრ. ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" აღმოაჩინეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ძებნის სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად უკრაინის ქალაქ ხმელნიცკის საგამოძიებო იზოლატორში დადგენილ იქნა მკვლელობისათვის ლანჩხუთის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 34 წლის დავით ებრალიძე, რომელიც უკრაინაში სასჯელს იხდიდა სიმონ მაისურაძის სახელითა და გვარით. ებრალიძემ 2001 წლის 17 აპრილს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში ურთიერთშელაპარაკებისას მოკლა ა. მურადაშვილი. მზადდება მასალები ებრალიძის საქართველოში ექსტრადაციისთვის. **მედიანიუსი**

# საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე კომერციული ბანკების ფილიალები გაიხსნება

კორუფციის აღმოფხვრის მიზნით ივნისიდან საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე კომერციული ბანკების ფილიალები გაიხსნება. როგორც საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ანთელიძემ განაცხადა, უკვე დასრულდა კომერციული ბანკების შერჩევა, რომლებიც საქართველოს 22 საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ფილიალებს გახსნიან. "სახალხო ბანკი", "ინვესტბანკი" და "ინტელექტბანკი" მაისის ბოლომდე ვალდებულები არიან, საბაჟო-გამშვებ პუნქტებში ფილიალების გახსნა უზრუნველყონ. პროცესის დასრულების შემდეგ მებაჟეები განბაჟების დროს თანხას ხელზე აღარ აიღებენ, რადგან განბაჟება ბანკების ფილიალებში განხორციელდება," - განაცხადა ანთელიძემ.

*ინტერ-პრესი*

# "ოცნების ბაღი" დილომში

ოთარ ქირია

ევროპის დღეების ფარგლებში, რომელიც თბილისში 9 მაისიდან აღინიშნება, ახალი, თანაც, განსაკუთრებული ბაღი გაიხსნა. განსაკუთრებული იმიტომ, რომ ბაღი მიუსაფარ ბავშვთა სახლის ბინადართა ნახელავია. 61 მოზარდი რამდენიმე დღეა ფუსფუსებს, საბოლოოდ კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების რეგიონული ცენტრის მხარდაჭერითა და გიორგი ბარამიძის პატრონაჟით, ბაღის გახსნისთვის განსაკუთრებული შემართებით შეემზადნენ.

მცირე ადგილობრივი არჩევნების შედეგად გამარჯვებულად სახელწოდება "ოცნების ბაღი" აღიარეს. **"ამაზე უკეთესს რას გავაკეთებდით, მიხარია ამდენი ბედნიერი სახის დანახვა. თან, ამ ბავშვებს განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება. ამიტომაც გახსნის განსაკუთრებული ფორმა ვარჩიეთ,"** - ამბობს რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი ნატო კირვალიძე.

ერთი შეხედვით, შესაძლოა, მოზარდებისთვის პანტომიმა, თანაც, ღია ცის ქვეშ, ოდნავ გაუგებარიც იყოს. თუმცა, ამ შემთხვევაში, კახა ბაკურაძის "მოძრაობის თეატრს", რომელიც ასევე ქველმოქმედების სახით იღებდა აქციაში მონაწილეობას, თემატიკა არ შეშლია. სამიდან ერთი ნოველა სტუმარ-მასპინძლობას მიეძღვნა, მეორე – განდიდების მანიით შეპყრობილთა ნაკლოვანებებს, მესამე კი პედანტი ახალგაზრდის ყოველდღიურ დილას. მცირე თეატრალური სკეტჩები ბავშვებმა სიამოვნებით და ხალისით მიიღეს. კახა ბაკურაძემ, რომელიც ამაყობს, რომ მისი დასი მოხეტიალეთა რანგში გადის, 26 მაისს სამეფო უბნის თეატრში დაპატიჟა.

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე აქციას ორი მიზეზის გამო ესწრებოდა. პირველი რიგში, ის დიდი ხანია, ამ ბავშვთა სახლს პატრონობს და ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობას სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი, და მეორე - აქცია ევროპის დღეების ფარგლებში მოექცა. როგორც ბარამიძე ამბობს, ამგვარი აქციები მომავალშიც არის დაგეგმილი.

9 მაისს ევროპის დღის აღნიშვნას საფუძველი 54 წლის წინათ საფრანგეთში ჩაეყარა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის მიერ. სწორედ ამ დღეს გაჩნდა იდეა და გაკეთდა წინადადება სხვა ევროპული სახელმწიფოებისადმი, რომ მშვიდობიანი ინტერესებით გაერთიანებული თანამეგობრობა ჩამოყალიბებულიყო. დღესასწაული, დასაბამიდან, სწორედ ისეთი ქველმოქმედების ტიპის აქციებით აღინიშნება, როგორიც დილომში მოეწყო. საქართველოში ევროპის დღეს და კვირეულს გასული წლიდან აღნიშნავენ და როგორც ბარამიძე აცხადებს, დროდადრო ის უფრო ფართომასშტაბიანი და მრავალფეროვანი გახდება.

# სამხედრო ნაწილების მონახულება სერგეი ბაგაფშმაც დაიწყო

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აფხაზთა ე.წ. შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის დანაყოფების ინსპექტირება დაიწყო და ოჩამჩირის რაიონში განლაგებული სამხედრო ნაწილი მოინახულა.

აღმოსავლეთის სამხედრო ნაწილის შტაბში სერგეი ბაგაფშმა თავისი ჯარისკაცების საყოფაცხოვრებო პირობებიც შეამოწმა და განუცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობას ყოველთვის აძლიერებდა და მომავალშიც გააძლიერებს. **მედიანიუსი**

# უსაფრთხოების კონცეფცია

**ათწლიანი მუშაობა დასასრულს მიუახლოვდა**

*პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო უამრავი საგარეო თუ საშინაო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყანას ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დღემდე არ გააჩნდა. არადა, ამ დოკუმენტის შექმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ 10 წლის წინათ დაიწყო, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ბოლომდე ვერ მივიდა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის "წერას" ეროვნული უშიშროების საბჭო შეუდგა და გასულ პარასკევს თავისი ნამუშევარი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა.*

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ჩამოყალიბებულია ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვა, განსაზღვრულია ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები და ინტერესები, აღწერილია ის საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც ემუქრება ან, შეიძლება, ქვეყანას მომავალში დაემუქროს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ქვეყნის ძირითად ეროვნულ ღირებულებებად აცხადებს სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, მშვიდობას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას.

აღნიშნულ ღირებულებებს ეფუძნება ქვეყნის ეროვნული ინტერესები, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს: ტერიტორიულ და ეროვნულ მთლიანობას; რეგიონულ სტაბილურობას; თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცებას მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცებასა და ენერგიის მოწოდების ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფას; ქვეყნის და რეგიონის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფას.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მთავარ საშიშროებად მიჩნეულია დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც ძირს უთხრის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას.

**"საქართველოს სამას ათასამდე მოქალაქე იძულებული გახდა, დაეტოვებინა კანონიერი საცხოვრებელი ადგილები, სახელმწიფო საზღვრები განუსაზღვრელი რჩება, უკონტროლო ტერიტორიებზე იმყოფებიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, უკონტროლო ტერიტორიები ჰქმნიან ხელსაყრელ გარემოს ტერორისტული ჯგუფების საქმიანობისთვის და წარმოადგენენ ნაყოფიერ ნიადაგს კონტრაბანდისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისთვის. დარღვეულმა ტერიტორიულმა მთლიანობამ, თუ არ მოხერხდა მისი დროული და ეფექტური მოგვარება, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საქართველოს, როგორც სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს არსებობას,"** - აღნიშნულია დოკუმენტში.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საშუალებად მიჩნეულია პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა, რომელიც სამხრეთ ოსეთს სთავაზობს ავტონომიის სტატუსს, გამორიცხავს ძალის გამოყენებას და ემყარება უმცირესობათა უფლებების დაცვას, ხოლო აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზად - დიტერ ბოდენის ხელმძღვანელობით, გაერო-ს მეგობართა ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ."

კონცეფციის ავტორებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ღია სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა მცირეა, თუმცა, იქვე შენიშნავენ, რომ ქვეყანა არაერთხელ დამდგარა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის წინაშე, რაც საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სივრცის სისტემატურ დარღვევაში გამოიხატა.

საფრთხეთა შორის მოიხსენიება რუსეთის სამხედრო ბაზებიც. **"საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების უკანონო არსებობა ლახავს ქვეყნის სუვერენიტეტს, ეროვნულ უსაფრთხოებას და ხელს უშლის ეროვნული ერთიანობის მიღწევას. სამხედრო ბაზების არსებობა ძირს უთხრის ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას და უარყოფითად მოქმედებს უსაფრთხოების გარემოზე საქართველოსა და მთლიანად რეგიონში,"** - ჩაწერილია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში.

კონცეფციის თანახმად, ქვეყნის უსაფრთხოების მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, ხოლო ევროკავშირში გაწევრიანება ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვან გარანტად იქცევა.

დოკუმენტის პირველი საჯარო განხილვა 15 მაისს საქართველოს პარლამენტში შედგა და კიდევ, დაახლოებით, ორ კვირას გაგრძელდება. გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს მოიწონებს.

ჟანი კალანდაძე რევოლუციის შედეგად მოსულ პოლიტიკოსთა სრულიად ახალი ტალღის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. მას ყველაზე მეტად ახასიათებდა ამ ჯგუფის ყველა საუკეთესო თვისება: ფანატიკური პატიოსნება, იდეალიზმი, საკუთარი ქვეყნის ნათელი მომავლის მტკიცე რწმენა. სულ რამდენიმე თვეში, იგი გურიის მთელმა მოსახლეობამ იმისათვის შეიყვარა, რომ თითოეული გურულის გაჭირვებას ბოლომდე იზიარებდა. ჟანი კალანდაძე დღეს და ღამეს ასწორებდა - იქ, სადაც საჭირო იყო, ფიზიკურადაც მუშაობდა და ყველას პირად მაგალითს აძლევდა. მე ძალიან ცოტას თუ ვიცნობდი ასეთ წესიერ, გონიერ, კეთილშობილ და ამავე დროს, ძალზე გამბედავ ადამიანს. ამას წინათ, შემთხვევით გავიგე, რომ პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად, ჟანი რამდენიმე წლის განმავლობაში, თურმე, თბილისში არსებულ უსახლკაროთა თავშესაფარს პატრონობდა. საკუთარი ხელფასის უმეტეს ნაწილსაც მათ აძლევდა და თან, ამის შესახებ, მისმა უახლოესმა მეგობრებმაც არ ვიცოდით.

მისი ცხოვრება იმ ცინიზმისა და ურწმუნობის ყველაზე დიდი უარყოფა იყო, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ჭარბად არის წარმოდგენილი.

პირადად მე და მთელმა საქართველომ ჟანის დაღუპვით უდიდესი დანაკლისი განვიცადეთ.

გულწრფელად ვიზიარებ ჟანის ოჯახის მწუხარებას მისი გარდაცვალების გამო.

*საქართველოს პრეზიდენტი*
*მიხეილ სააკაშვილი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## მოკლედ

### ევროსაბჭოს გენერალური მდივანი „ფერად რევოლუციებს" ემხრობა

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი პოსტსაბჭოთა სივრცეში მომხდარ „ფერად რევოლუციებს" ემხრობა.

„ე.წ. ფერადი რევოლუციები მისასალმებელია, თუკი დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და სამართლიანობის სფეროებში ევროსაბჭოს სტანდარტები დაცული იქნება," - აცხადებს ტერი დევისი.

ის ამ რევოლუციების გამომწვევ მიზეზებზეც საუბრობს. გენერალური მდივნის თქმით, რევოლუციური ქვეყნების ყოფილი მთავრობები ევროსაბჭოს სტანდარტებს არ იცავდნენ.

„ახალი ისტორიის გამოცდილებიდან ვიცით, რომ დემოკრატიისკენ ხალხის უსაზღვრო მისწრაფება ამ სურვილების გამოხატვის ალტერნატიულ ფორმებს პოულობს, თუკი არსებული სისტემა არ არის ღია და სამართლიანი," - აცხადებს ტერი დევისი. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში ზინაიდა ბესტაევა დღეს სამუშაო ვიზიტით ლატვიის რესპუბლიკაში გაემგზავრება.

დაგეგმილია შეხვედრები ლატვიაში გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის ხელმძღვანელთან, რეინის აბოლტინისთან, ადამიანის უფლებებისა და ეთნიკური შესწავლის ცენტრის დირექტორთან, ნილს მიუიზნიევსთან, სოციალური ინტეგრაციის საკითხებში ლატვიის საგანგებო დავალებათა მინისტრთან, აინარს ლატკოვკსისითან.

ვიზიტი 21 მაისს დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა თავის წინამორბედს ვლადისლავ არძინბას 60 წლის იუბილე მიულოცა.

როგორც ბაგაფშის აპარატში აცხადებენ, 14 მაისს ვლადისლავ არძინბას 60 წლის იუბილე სპეციალური მიმართვით მიულოცეს პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა და რაულ ხაჯიმბამ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ და პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა.

"თქვენს ფასდაუდებელ ღვაწლს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ისტორიაში მომავალი თაობები ღირსეულად დააფასებენ," - ნათქვამია წერილში.

"თქვენ იდექით აფხაზეთის დამოუკიდებლობის სათავეებთან და თქვენი ხელმძღვანელობით მრავალეროვანი აფხაზეთის ხალხმა მიაღწია გამარჯვებას ქართულ აგრესიათან ბრძოლაში," - აღნიშნულია მილოცვაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახალხო ფორუმის" ლიდერის აკაკი ასათიანის შეფასებით, საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტისა და ქართველი ხალხის დემოკრატიისთვის მებრძოლ ერად გამოცხადების მიუხედავად, საქართველოში, ხელისუფლების არადემოკრატიულობის გამო, დემოკრატიული პროცესები არ ხორციელდება.

"სახალხო ფორუმის" ინიციატივით, სასტუმრო "თორში" არასამთავრობო ორგანიზაციებთან მორიგი შეხვედრა გაიმართა, სადაც "სახალხო ფორუმის" ინიციატივით ჩატარებული სოციალოგიური გამოკითხვის - "დემოკრატია და საქართველოს" შედეგები შეაჯამეს.

ასათიანის შეფასებით, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იმაზე ბევრად რთული ვითარებაა შექმნილი, ვიდრე ამ საკითხზე ხელისუფლებამ თბილისში ვიზიტით მყოფ, აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს მოახსენა.

მისივე თქმით, "დემოკრატიული პროცესების განვითარება" სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ "რამდენად მოეწონა პრეზიდენტ ბუშს ხინკალი." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მე-5 და საფინანსო პოლიციის მე-3 სამმართველოს თანამშრომლებმა გორის რაიონის სოფელ კარალეთის ბლოკ-საგუშაგოზე გააჩერეს ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი", რომლითაც მძღოლს, გორის რაიონის სოფელ ტირძნისში მცხოვრებ 35 წლის ვალერიან ტეტუნაშვილს ცხინვალიდან გორში გადაჰქონდა 4 ათასი ლარის ღირებულების 2 500 კოლოფი რუსული წარმოების უაქციზო, აღურიცხავი სიგარეტი. სამართალდამცავებმა იმავე ბლოკ-საგუშაგოზე გააჩერეს ავტომანქანა "ვაზ"-2106, რომლითაც მძღოლს, გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისში მცხოვრებ 25 წლის გიორგი წერეთელს ცხინვალიდან გორში გადაჰქონდა 1000 ლარის ღირებულების 650 კოლოფი რუსული წარმოების აქციზიანი აღურიცხავი სიგარეტი. ავტომანქანები ტვირთიანად გადაყვანილია ფინანსური პოლიცის მე-3 სამმართველოში. **მედიანიუსი**

# რუსეთი და საქართველო „საიდუმლო" დოკუმენტმა შეარიგა

პირველი გვერდიდან

**ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებათა ნორმალური პროცესი მიმდინარეობს,"** – აღნიშნავს იაკოვენკო.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "მხარეებმა პოზიციები დაააახლოეს", გაურკვეველია ისიც, თუ რატომ არ უნდა სერგეი ლავროვს სალომე ზურაბიშვილთან ვარშავაში დალაპარაკება. თავად ლავროვი უარის მიზეზს არ აკონკრეტებს და მხოლოდ მშრალი კომენტარით შემოიფარგლება: **"ქართულმა მხარემ ვარშავაში შეხვედრა შემოგვთავაზა, მაგრამ ასეთი სპეციალური შეხვედრა არ შედგება,"** – განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. ამასთან, მან არ გამორიცხა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ვარშავაში გაესაუბრება.

საქართველოს პარლამენტის 9 მარტის დადგენილებით გათვალისწინებული ვადა უკვე ამოიწურა. როგორც ჩანს, ყბადაღებული 15 მაისი საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაჯგუფების ისტორიაში რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ შეიძენს.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა იმედი გამოთქვა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, იგი რუსული სამხედრო ბაზების ბოიკოტირებას ჯერჯერობით არ აპირებს, პარლამენტთან დაპირისპირების მიზეზი არ გახდება.

აღმასრულებელ ხელისუფლებასთან "დატაკებას" პარლამენტარები ჯერჯერობით არ აპირებენ, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გარკვეული ახსნა-განმარტებების მოსმენას პარლამენტი შეეცდება, ყოველ შემთხვევაში, მისი ოპოზიციური ნაწილი მაინც. **"საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია, თუ რა ხერხით დაიწყებს რუსული ბაზებისთვის დისკომფორტის შექმნას. პირველი ნაბიჯი არის ვიზების არგაცემა, ამასთან, არ მოხდება რუსეთის ჯარების არანაირი ახალი როტაცია. პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება აუცილებლად ამოქმედდება, მაგრამ ეს არ მოხდება ისტერიულ რეჟიმში. არ იქნება წივილ-კივილი და ბევრი ისეთი რამ, რამაც შეიძლება ჩვენ იმიჯი გაგვიფუჭოს; ანუ გაზს, შუქს და სხვა სასიცოცხლო კომუნიკაციებს რუსულ ბაზებს ჯერჯერობით არავინ გადაუკეტავს. თუმცა, მათი მუშაობა საგრძნობლად გართულდება, თუ არ მიიღწევა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილება ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით.**

**არასწორია პოზიცია, რომელსაც ზოგიერთები აფიქსირებენ – საქართველოს ხელისუფლება დათმობებზე არ წასულა,"** – აცხადებს "24 საათთან" საუბარში უმრავლესობის წევრი, დეპუტატი ნიკა რურუა.

**"ხელისუფლების პოზიცია აშკარად შერბილებული ჩანს, თუმცა უნდა მოვისმინოთ რეალური არგუმენტაცია; თუ ჩანს რაიმე პოზიტივი, შესაძლოა, ვიფიქროთ გარკვეულ ლიბერალიზაციაზე. იმედი მაქვს, რომ ეს არ არის მთავრობის ჩვეული პოზიცია, ხან შუბლით მიაწვეს, ხანაც კი უკან დაიხიოს. ძალაში რჩება ჩვენი მოთხოვნა, საგარეო საქმეთა მინისტრის პარლამენტში მოსვლის თაობაზე. იმედი მაქვს, იგივე მოთხოვნა უმრავლესობასაც ექნება. ჩვენ ერთიანი ვიყავით დადგენილების მიღებისას და ერთიანი უნდა ვიყოთ ამ საკითხშიც. ვნახოთ, ხვალ ან ზეგ პარლამენტი ინფორმაციას მოისმენს და საკუთარ პოზიციებს ჩამოაყალიბებს, ყოველ შემთხვევაში, ოპოზიცია მაინც,"** – აცხადებს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" წევრი ფიქრია ჩიხრაძე.

საჯაროდ საუბრის გუნებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სავარაუდოდ, ვარშავაში, 16-17 მაისს დაგეგმილი ევროსაბჭოს სამიტის შემდეგ დადგებიან. სამიტზე დასასწრებად ვარშავისკენ გეზი გუშინ საქართველოს პრეზიდენტმაც აიღო. მიხეილ სააკაშვილი სამიტზე სიტყვით გამოვა, გარდა ამისა, პოლონეთის პრეზიდენტ ალექსანდრ კვასნევსკის და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სხვა ხელმძღვანელ პირებსაც შეხვდება.

# მხოლოდ მადლობის საფასურად

პირველი გვერდიდან

სასწრაფო სამედიცინო დახმარების – "03"-ის რეორგანიზაცია 26 მაისს დასრულდება. სხვა სახელმწიფო უწყებებისგან განსხვავებით, ამ უწყებაში რეორგანიზაცია დადებით დატვირთვას ატარებდა. "03"-დან არავინ გაუშვიათ, პირიქით, ექიმებითა და ექთნებით დაკომპლექტებულ კოლექტივს კიდევ 90 ექთანი დაემატება.

პრეზიდენტის მიერ აღნიშნული ორი პრიორიტეტის, უფასო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ახალ თანამშრომელთა შერჩევა ერთი პრინციპით ხორციელდება. ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილზე მოხვედრის მსურველებმა კონკურსის ორი ეტაპი უნდა გაიარონ. პირველ ეტაპზე ისევე უნდა ირბინონ, როგორც რამდენიმე ხნის წინ საპატრულო პოლიციის დაკომპლექტებისას მომავალი პოლიციელები დარბოდნენ. ეს მეთოდი კი იმის დასადგენად ყოფილა აუცილებელი, რომ 90-მა ექთანმა სირბილი და კიბეებზე არბენ-ჩამორბენა უნდა შეძლოს. კონკურსი 26 მაისს დასრულდება, რის შემდეგაც უფასო სამედიცინო დახმარება ამოქმედდება. ერთ ბრიგადაში, ორი ექიმის ნაცვლად, ერთი ექიმი და ერთიც უმცროსი ექიმი ან ექთანი იქნება. 26 მაისიდან კი ბრიგადების რაოდენობაც გაიზრდება. როგორც "03"-ის ხელმძღვანელმა დავით გველესიანმა გვითხრა, ბოლო დროს სასწრაფო დახმარების გამოძახებათა რაოდენობა საგრძნობლად, 300-დან 450-მდე გაიზარდა. დღეისათვის "03"-ში 40 ბრიგადა მუშაობს, 26 მაისის შემდეგ კი, მოთხოვნის შესაბამისად, კიდევ 10 ბრიგადა დაემატება.



ინტერ-პრესი

*უფასო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ახალ თანამშრომელთა შერჩევა ერთი პრინციპით ხორციელდება.*

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განმარტა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს რეგიონებში 400 ლარამდე ხელფასი ექნებათ, უმცროს ექიმს – 200 ლარი, ექთანს და მძღოლს კი – 150 ლარი.

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამის ამოქმედება 11 მილიონი ლარი დაუჯდა, საიდანაც 3 მილიონი ლარი სასწრაფო სამედიცინო დახმარების 150 მანქანის შეძენისთვის გაიხარჯა. აქედან, 120 - სპეციალურად მაღალმთიან რეგიონებში მოქმედებისათვის გათვალისწინებული, რუსული წარმოების ორხიდიანი მანქანაა, 30 კი - "ჰიუნდაის" მარკის.

**"მე ექიმების ოჯახიდან ვარ და ვამაყობ, რომ ეს პროექტი ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში განხორციელდა. ექიმს საკმარისი სამედიცინო პრეპარატები და ხელფასი ექნება,"** - დასძინა პრეზიდენტმა და მოსახლეობას მოუწოდა, რომ არ მისცენ ფული სასწრაფო დახმარებისთვის მისულ მედიკოსებს, უბრალოდ, გაწეული სამსახურისათვის მადლობა გადაუხადონ.






# ნატო-ს შტაბ-ბინაში საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის განხორციელებას შეაფასებენ

პირველი გვერდიდან

ამასთან, აპრილში, თბილისში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში რობერტ სიმონსი იმყოფებოდა. მას შეხვედრები ჰქონდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი ბარამიძესთან და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან.

როგორც სიმონსმა ვიზიტის დასასრულს განაცხადა, მან ქართულ მხარეს ის შენიშვნები და რეკომენდაციები გააცნო, რომელიც ნატო-ს ხელმძღვანელობას საქართველოს მიერ ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულების პროცესებში გააჩნია. აღნიშნული რეკომენდაციები და შენიშვნები ჯერჯერობით დაფარულია და მათი გახმოვანება და პრესისთვის გაცნობა ამ ეტაპზე არ იგეგმება.

მიმდინარე და მომდევნო წლების განმავლობაში, ნატო საქართველოს მიერ „IPAP"- ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კიდევ რამდენიმე შუალედურ შეფასებას განახორციელებს.

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია თბილისში 19 მაისს დაბრუნდება.

*24 საათი*

# უფუნქციოდ დარჩენილი გამგებლები და ყოვლისშემძლე რაიკომის მდივნები

*თბილისში არსებულ ხუთ რაიონულ გამგეობას საკუთარი ბიუჯეტი აქვს. თითოეულ მათგანს შემოსავლების ოდენობას საკრებულო უსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ყველა რაიონს ბიუჯეტში სხვადასხვა ოდენობის თანხა აქვს ჩადებული. ექსპერტების აზრით, თვითმმართველობის ეფექტიანობისთვის სახელმწიფომ ორი გზიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს: თბილისს ერთიანი ბიუჯეტი უნდა ჰქონდეს და ერთიანი პოლიტიკა ტარდებოდეს, ან თბილისის მუნიციპალიტეტებად დაყოფა უნდა მოხდეს.*

თამარ დვალი

**დავით ნარმანია, ექსპერტი:** "ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს "მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ კანონი" განსაზღვრავს. კანონის თანახმად, საკრებულომ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაზე უნდა იზრუნოს. გამგეობებს ასეთი მიმდინარე საკითხების გარდა, სხვა რაიმე კონკრეტული ფუნქციებიც უნდა ჰქონდეს, რაც დღეისთვის, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ. თვითმმართველობის ეფექტიანობისთვის სახელმწიფომ ორი გზიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. პირველი - თბილისს ჰქონდეს ერთიანი ბიუჯეტი და ტარდებოდეს ერთიანი პოლიტიკა, და მეორე - მოხდეს თბილისის დაყოფა მუნიციპალიტეტებად. მუნიციპალიტეტები დღევანდელი გამგეობების ფორმით კი არ უნდა არსებობდეს, არამედ არჩევითი ორგანოები უნდა შეიქმნას. არჩევით ორგანოს თავისი ფუნქციები კანონმდებლობით უნდა მიენიჭოს და ამის საფუძველზე უნდა მოხდეს ამ ფუნქციების დაფინანსება. მხოლოდ ასეთ მუნიციპალიტეტებში არის შესაძლებელი ცალკე ბიუჯეტების არსებობა. დღეს ერთიანი პოლიტიკა არ არსებობს. ერთმა რაიონულმა გამგეობამ შეიძლება სხვა სახის ღონისძიებები დააფინანსოს, მეორემ - სხვა. მთელ რიგ შემთხვევებში, ისეთი სახის ღონისძიებები ფინანსდება, რომლებიც საერთოდ არ არის ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია და უფრო ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. მაგალითად, თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდება საპენსიო დანამატი, რომელიც საერთოდ არ არის ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია. მთელ რიგ შემთხვევებში, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები მიმართულია ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაზე, მაშინ, როცა ცენტრალურ ბიუჯეტს საკმაოდ დიდი თანხები აქვს.

დღევანდელი კანონმდებლობით, ადგილობრივ ხელისუფლებას ისედაც მწირი რესურსები აქვს და ეს მწირი რესურსებიც არასათანადო მიმართულებით მიედინება. თვითმმართველობის მთავარი პრინციპი არის ის, რომ ხალხი ირჩევს თვითმმართველობის ორგანოს და ამ ორგანოებს საკუთარი ბიუჯეტი და კომპეტენციები უნდა ჰქონდეს.

დღეს საქალაქო სამსახურებსა და გამგეობებს შორის ფუნქციები გაუმიჯნავია. სხვადასხვა სოციალური საკითხების მოგვარება, ერთის მხრივ, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს ევალება, მეორეს მხრივ, გამგეობების ბიუჯეტში დევს ისეთი ხასიათის ხარჯები, რომელიც, შეიძლება, ამ სამსახურის ხარჯებიდან ფინანსდება."

გამგეობების უფუნქციოდ დარჩენის შესახებ თავად გამგებლებიც საუბრობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს ავთანდილ დავითაძეს ვესაუბრეთ.

**- რა ფუნქცია აკისრია დღეს გამგეობებს და რამდენად ასრულებენ ისინი თავის ფუნქციებს?**

- ფაქტობრივად, დღეს გამგებელი არის უფუნქციო, თუმცა ამ მდგომარეობაში საქმის კეთებას მაინც ვახერხებთ. მიმაჩნია, რომ გამგეობასაც ის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რაც საერთოდ მუნიციპალიტეტს აკისრია. როდესაც გამგეობაში ისეთი ადამიანი მოდის, რომელსაც რაიკომის მდივანი ახსოვს, ანუ ის დრო, როდესაც ყველა საკითხი ადგილზევე წყდებოდა, იგივეს მოითხოვს ჩვენგანაც. ჩვენ კი, რაიკომის მდივნებისგან განსხვავებით, საკითხის ადგილზე გადაწყვეტის ნაცვლად, მოქალაქეებს საქალაქო სამსახურებში ვუშვებთ. გამგეობებს არ ეხება არც არქიტექტურა, არც - ქონების მართვა, არც - საგადასახადო, ყველაფერი ეს ცენტრალიზებულია ქალაქში. პრინციპში, გამგებელი იმიტომაც არის დანიშნული, რომ ის იყოს შუალედური რგოლი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ნებისმიერ პრობლემას, რაც მოსახლეობას აწუხებს, იქნება ეს გზები, სანიაღვრე ქსელი თუ სხვა, გამგეობა უნდა წყვეტდეს. ფაქტობრივად, შექმნილია ბიუროკრატიული აპარატი, სადაც მოდის მოქალაქე, მოგმართავს თხოვნით და შენ უწევ შუამდგომლობას შესაბამის ორგანოებთან. ეს არის გაუთავებელი მიმოწერა ინსტანციებს შორის.

**- 2005 წლის ბიუჯეტში რამდენი გაქვთ დაფინანსება და რას მოხმარდება ეს თანხები?**

- დაფინანსება 10 მილიონამდე გვაქვს. აქედან 60 პროცენტი არის დაცული მუხლები. თანხები, ძირითადად, სოციალურ კუთხეს ხმარდება, ანუ ინვალიდების, უმწეობებისა და დევნილების დახმარებებს. ჩვენთან, ძირითადად, სამი სამსახურია: ეკონომიკური, სოციალური და კეთილმოწყობის.

**- თქვენი აზრით, რას უნდა ემსახურებოდეს თვითმმართველობის ორგანო და რამდენად პასუხობს დღევანდელი საკრებულო საზოგადოების ინტერესებს?**

- ეს მოსახლეობას უნდა ჰკითხოთ... მე მგონია, რომ სრულად ვერ აკმაყოფილებს. კონკრეტულად გამგეობებს რაც შეეხება, მათი უფუნქციობა მოსახლეობის ინტერესებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს. ჩვენთან მოსულ ადამიანს შემდეგ საქალაქო სამსახურებში უწევს სირბილი.

**- დღევანდელი გამგეობების საქმიანობა რამდენად გამჭვირვალეა საზოგადოებისთვის?**

- თუ რამდენად საჯაროა გამგეობების საქმიანობა, ეს დამოკიდებულია თითოეულ გამგებელზე. თუკი მათ სურთ, რომ იყოს საჯარო, მაშინ მე პრობლემას ვერ ვხედავ.

**- თქვენს შემთხვევაში როგორ არის?**

- პირადად მე ყოველ კვარტალში წლიურ ანგარიშს ვაბარებ მოსახლეობას. ამჯერადაც მოწვეული მყავდა მაჟორიტარი დეპუტატი, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოსახლეობა, სადაც ანგარიშით წარვსდექი. სამწუხაროდ, მედია ასეთი საკითხებით არ ინტერესდება ხოლმე.

# თვითმმართველობა და ფინანსური დეცენტრალიზაცია

## გზა საქართველოს ქალაქების და სოფლების პრობლემების მოგვარებისკენ

თენგიზ შერგელაშვილი
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

სახელმწიფოს დემოკრატიული მეთოდებით მართვის ტრადიციის ჩამოყალიბება კვლავ ქვეყნის წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად რჩება. ამ პრობლემის გადასაჭრელად საკმარისის არ არის ცენტრალურ დონეზე ხელისუფლების დანაწილების პრინციპით ქვეყნის მართვის ეფექტური ინსტიტუტების ფორმირება. აუცილებელია მმართველობით სფეროში ადმინისტრაციული და ფინანსური დეცენტრალიზაციის განხორციელება, რომლის შედეგადაც რიგითი მოქალაქეების, ქალაქებისა და სოფლების ძირითადი პრობლემების მოგვარების საშუალება ადგილობრივ თვითმმართველობას მიეცემა. წლების განმავლობაში აღნიშნულმა მიდგომებმა საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და პოსტსაბჭოთა პერიოდში განხორციელებული რეფორმები ყველაზე ნაკლებად ადგილობრივი ხელისუფლების დონეს შეეხო. სამწუხაროდ, თვითმმართველობის პრობლემების განხილვისას ყოველთვის არასათანადო ყურადღება ეთმობოდა სისტემურ საკითხებს და აქცენტი ძირითადად საკადრო გადაადგილებებზე კეთდებოდა.

საზოგადოებაში უკვე კარგა ხანია, ცალსახად ჩამოყალიბებულია უარყოფითი აზრი ასეთი პოლიტიკის მიმართ, რამაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში იჩინა თავი. დემოკრატიულ სამყაროში ხელისუფლების ეფექტურობა ფასდება იმით, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობს მის მიერ გატარებული პოლიტიკა მოსახლეობის პრიორიტეტულ ინტერესებს, რამდენად ახლოსაა ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებთან და მის მოთხოვნებთან. დიდი ხნის მანძილზე დასავლეთის სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემების ეფექტურ განვითარებას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ასეთი პოლიტიკა დემოკრატიული ქვეყნებში პროგრესის, წარმატებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი გახდა. სწორედ ამ გამოცდილების საფუძველზე ევროსაბჭოს მიერ შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, რომელიც ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პოლიტიკურ დოკუმენტადაა აღიარებული.

ჩვენმა ქვეყანამ, სამწუხაროდ, ამ ქარტიის რატიფიცირება მნიშვნელოვანი დაგვიანებით, მხოლოდ გასულ წელს, ოქტომბრის თვეში შეძლო. ამ მოვლენამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი და ამ მიმართულებით გააზრებული, მიზანმიმართული პოლიტიკის ფორმირების აუცილებლობა.

საქართველოში არსებული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბება 1998 წლიდან, ანუ პირველი ადგილობრივი არჩევნებიდან დაიწყო. ამ ორგანოების არსებობის შვიდი წლის მანძილზე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, შეიქმნა მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური საკანონმდებლო ჩარჩო. სამწუხაროდ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრაში, მისი ქონებრივი და ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტაში არსებულმა საკანონმდებლო ვაკუუმმა ქართულ სახელმწიფო სისტემაში თვითმმართველობის ინსტიტუტის სრულფასოვნად დამკვიდრებას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი. ამ და კიდევ სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ადგილობრივი ხელისუფლება ვერ იქცა მოქალაქესთან ახლოს მდგომ საჯარო ორგანოდ. უფრო მეტიც, მისმა არაქმედუნარიანობამ საერთოდ თვითმმართველობის იდეის დისკრედიტაციის საფრთხეც კი შექმნა. ფაქტობრივად საქართველოს არც ერთმა ხელისუფლებამ არ გამოხატა საბჭოთა, ვერტიკალური მართვის სტილის ეფექტური დეცენტრალიზებული მმართველობით შეცვლის მკაფიო ნება. ადგილობრივ თვითმმართველობას არ აღმოჩნდა აღჭურვილი იმ საკანონმდებლო ბერკეტებით, რომლებიც მას ეფექტურ მმართველობის ფორმად აქცევდნენ.

თვითმმართველობის კანონმდებლობის გასაანალიზებლად რამოდენიმე მიმართულების გამოყოფა შეიძლება, ესენია - პოლიტიკური, ფუნქციონალური, ფინანსური, ქონებრივი და ინსტიტუციონალური ასპექტები. სამწუხაროდ, უკვე მრავალი წელია, აღნიშნულ სფეროზე საუბრისას აქცენტი ძირითადად მხოლოდ ვიწროპოლიტიკურ საკითხებზე, გარკვეული თანამდებობის პირების არჩევითობა არ არჩევითობაზე და/ან საკრებულოს ფორმირების წესზე კეთდება. გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიცაა თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციები, ფინანსები, ქონება და ა.შ. ხშირად არგუმენტს ისიც წარმოადგენდა, რომ სფეროში მრავალი პრობლემის გადაწყვეტას ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საკითხის მოუგვარებლობა უშლიდა ხელს. აქ მნიშვნელოვანია ორი მომენტი: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია და ეს გადაუჭრელ საკითხთა რიცხვს არ მიეკუთვნება.

დღეს არსებული მოწყობის პირობებში რამდენად არის კანონმდებლობაში გამოხატული ცენტრალური ხელისუფლების მკაფიო ნება რეალური დეცენტრალიზაციისკენ.

უკვე წლების განმავლობაში დგას ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ქონებრივი და ფინანსური უფლებამოსილებების გადაცემის საკითხი. ქონების საკითხის გადაწყვეტას გარკვეულწილად ხელი შეუწყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე მიღებულმა საქართველოს კანონმა "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ", რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იდგა დღის წესრიგში და პარლამენტმა მისი მიღება მხოლოდ ახლა მოახერხა. კიდევ უფრო მწვავედ დგას თვითმმართველობის ფინანსური უზრუნველყოფისა და დამოუკიდებლობის სამართლებრივად დაკანონების საკითხი. შესაბამისად ძალზედ მნიშვნელოვანია უახლოეს პერიოდში ამ თემის წინა პლანზე წამოწევა, პარლამენტის მიერ შესაბამისი კანონის "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" და მოქმედ კანონებში მისგან გამომდინარე რამდენიმე ცვლილებისა და დამატების მიღება. კანონების აღნიშნულმა პაკეტმა ადგილობრივი თვითმმართველობა ფიქციის მდგომარეობიდან უნდა გამოიყვანოს და მის ქმედით ინსტიტუტად გარდაქმნას შეუწყოს ხელი. პრობლემატიკის უკეთ დანახვისათვის მხოლოდ რამდენიმე ფაქტს მოვიყვან. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საკითხები (გზები, მელიორაცია, წყალმომარაგება, კეთილმოწყობა, გარე განათება, ელექტრომომარაგება და სხვა) თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლემამოსილებას წარმოადგენს. ამ სფეროებში საქმიანობა მხოლოდ თვითმმართველობის ორგანოების პრეროგატივაა და მათში ხელისუფლების ნებისმიერი სხვა დონის სტრუქტურის ჩარევა სწორედ სოფლებისა და ქალაქების ორგანოებთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს. მრავალი წლის მანძილზე თვითმმართველობის ორგანოები არ ფლობდნენ აღნიშნული პრობლემების მოგვარების ფინანსურ რესურსებს. საქართველოს ბიუჯეტის ნახევარი მილიარდიდან ორ მილიარდამდე გაზრდამ ადგილობრივ თვითმმართველობებს ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად დამატებით ფინანსური შესაძლებლობები არ გაუჩინა. თბილისის გარდა, დანარჩენი საქართველოს 1000-მდე სოფლის, თემისა და ქალაქის მოსახლეობა ორ ნახევრიდან სამ მილიონამდე ადამიანს შეადგენს. ამ დასახლებული პუნქტების ჯამური წლიური საკუთარი ბიუჯეტი კი დიდი ხანია 30-40 მილიონ ლარზე მეტი არ არის, რაშიც ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული ხარჯები და თანამშრომელთა ხელფასებიც შედის. ამ ციფრებიდან კარგად ჩანს, რომ მრავალი წლის მანძილზე საქართველოს სოფლებისა და ქალაქების აბსოლუტურ უმრავლესობაში ინფრასტრუქტურაზე თითქმის არაფერი იხარჯება და იგი თანდათანობით მწყობრიდან გამოდის. ამის შედეგად, რიგითი გლეხი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მაგივრად იძულებულია, დრო და ენერგია დახარჯოს იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლის გადაჭრის უნარიც მასთან ახლოს მდგომ საჯარო ხელისუფლებას არა აქვს. ქალაქებისა და სოფლის მაცხოვრებლები თვალნათლივ ხედავენ, რომ მათ მიერ გადახდილი გადასახადები არ ხმარდება მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მათ საცხოვრებელ ადგილებში ინფრასტუქტურის აღდგენას, მათი დასაქმებისათვის უკეთესი პირობების შექმნას და ა. შ. შედეგად, იგი კარგავს ხელისუფლებისადმი ნდობას და გადასახადის გადახდის სურვილს. ასეთი მახინჯი სისტემის შედეგად ვერ შეიქმნა მექანიზმი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას გაუჩენს ინტერესსა და შესაძლებლობას, გააუმჯობესოს ადგილობრივი ინფრასტუქტურის მდგომარეობა. ამით საშუალება მიეცემა ადგილობრივ მოსახლეობას, გაზარდოს საკუთარი შემოსავლები და ადგილობრივი ქონების ფასი, რაც შემდგომ დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე, მათ შორის ქონების გადასახადით შემოსული თანხების ზრდაზე. ამ პირობებში არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა შრომის ნაყოფიერებით მინიმუმ ერთი საუკუნითაა ჩამორჩენილი, ხოლო საქართველოს მცირე ქალაქებსა და დაბებში დასაქმების ძირითად წყაროდ გარე ვაჭრობა და საბიუჯეტო სექტორი იქცა. სოფლის მცხოვრებთა გადასახადებისაგან განთავისუფლების ლოზუნგით ადგილობრივი ორგანოებისათვის შემოსავლების შემცირების ნაცვლად გაცილებით მნიშვნელოვანია, მოსახლეობას მივცეთ საშუალება, მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას გადაუხადოს გადასახადები, ადგილობრივ ორგანოებს კი მკაფიოდ განვუსაზღვროდ უფლებამოსილებები და მათი განხორციელების ფინანსური წყაროები. მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ არა ცენტრალურ ხელისუფლებას, არამედ ადგილობრივ ორგანოებს მოთხოვონ საკუთარი პრობლემების უმრავლესობის გადაჭრა, გაიზრდება მათი პასუხისმგებლობა როგორც არჩევნების დროს, ასვე მათ შორის. სწორედ რეალური თვითმმართველობის არსებობამ უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ნდობის ჩამოყალიბებას (რეალური ნდობის და არა მხოლოდ ტაშის კვრის), რაც შემდგომში ქვეყნის მრავალი მიმართულებით წინსვლის საფუძველი გახდება. ყოველივე აღნიშნულის მოგვარების გარეშე ფუჭია საუბარი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა "საქართველო აგრალური ქვეყანაა," "ჩვენთვის ტურიზმი პრიორიტეტია," "უნდა გავაუმჯობესოდ საინვესტიციო გარემო" და ა. შ.

ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრის გზაზე მნიშვნელოვანია "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება და "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში, საქართველოს კანონებში "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ", "საბიუჯეტო სისტემის შესახებ" და "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ამითი დაიწყება ფინანსური დეცენტრალიზაციის პროცესი, და მკაფიოდ განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლების წყაროები. ამ კანონით იზრდება არა მხოლოდ თვითმმართველობის შემოსავლები, არამედ მკაფიოდ ისაზღვრება და იზრდება მისი ფინანსური რესურსების ის ნაწილი, რომლის განკარგვაშიც ადგილობრივი თვითმმართველობები დამოუკიდებლები არიან.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იმატა იმ ფინანსური სახსრების მოცულობამ, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დელეგირებულ ფუნქციებს ხმარდება. ეს ფუნქციებია თავისი ბუნებით ცენტრისაა და მხოლოდ მათი ტექნიკური განხორციელების თვალსაზრისით არის ადგილებზე გადაცემული. ბუნებრივია, რომ ამ ფინანსური რესურსების გამოყენებაში თვითმმართველობის დამოუკიდებლობა კანონით მნიშვნელოვნადაა შეზღუდულა.

აღნიშნულმა საკანონმდებლო პაკეტმა უნდა გადაწყვიტოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - რაიონის მმართველობის ორგანოების სამართლებრივ კალაპოტში მოქცევა. რაიონის ხელმძღვანელობას აღარ ექნება თვითმმართველობის საქმეებში ჩარევისა და მასზე ზეგავლენის მოხდენის ფინანსური თუ სხვა ტიპის ბერკეტები. ამავე კანონმა მკაფიოდ უნდა დაარეგულიროს საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ცენტრალური ბიუჯეტიდან ადგილებზე ტრანსფერების განაწილების მექანიზმი. სუბიექტური და ცენტრალური ხელისუფლებასთან გარიგებითი ურთიერთობების ნაცვლად ტარნსფერები უნდა განაწილდეს მკაფიოდ დადგენილი მათემატიკური ფორმულის საშუალებით. ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება, თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების და მისი თანმხლები კანონების მიღება პარლამენტის საგაზაფხულო სესიებზე მოხდება. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ აღნიშნული ცვლილებები გავითვალისწინოთ მომდევნო საბიუჯეტო წლის დაგეგმვის დროს, რათა მომავალი წელიც დაკარგული არ აღმოჩნდეს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და ისევ არ გაგრძელდეს საქართველოს სოფლებისა და ქალაქების გაპარტახების პროცესი.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტების მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოადგენს იმ აუცილებელ მინიმუმს, რომლის პრაქტიკაში დანერგვითაც უნდა დაიწყოს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეალური დამკვიდრება.



# მოწვევა განაცხადების წარმოსადგენად

| | |
|---|---|
| თარიღი: | 2005 წ. 16 მაისი |
| კონტრაქტის საიდენტიფიკაციო N: | NCB/BatSupC-2005 |
| მსოფლიო ბანკის კრედიტის N: | 3263 GE |
| მსოფლიო ბანკის კრედიტის სახელი: | სასამართლო რეფორმის პროექტი |

1. საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან სასამართლო რეფორმის პროექტის ხარჯების დასაფარავად და აპირებს ამ სესხის თანხის ნაწილი მოახმაროს აჭარის უმაღლესი სასამართლოს დაკონსერვებული შენობის რეაბილიტაციის დასრულებას, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N6, სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტით გათვლისწინებულ ანაზღაურებებს (კონტრაქტის N: NCB/BatSupC-2005)
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი იწვევს დალუქულ საკონკურსო წინადადებებს აჭარის უმაღლესი სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.
3. საკონკურსო დოკუმენტების (და დამატაბითი ეგზემპლარების) შეძენა შეიძლება საინსტიტუციო მშენებლობის პროექტების განხორციელების რგოლის ოფისში, მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. N 42ა, ოთახი 501, 380077, თბილისი, საქართველო (ტელ/ფაქსი: 95-08-65, 95-52-68), თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია იმავე მისამართზე.
4. განაცხადები ძალაში უნდა დარჩეს გახსნის შემდეგ 60 დღის განმავლობაში, მათ თან უნდა ახლდეს 10000 ლარის საბანკო გარანტია (რომლის ძალაში ყოფნის ვადაა 88 დღე), და მიწოდებულ უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ოფისში, მისამართი: N 32, ძმ. ზუბალაშვილების ქ. (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან), 380010, თბილისი, საქართველო (ტელ/ფაქსი: 935696; 920938) არა უგვიანესს 2005 წ. 15 ივნისის 12:00 საათისათვის, რომელ დროსაც ისინი გაიხსნება იმ კონკურსანტების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.
5. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ კონკურსანტებს.

# ვაკანსია

შპს "არტი", Procter&gamble-ისა და Gillette-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე. კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94-18-94**

**ელ-ფოსტა: vacansy@arti.ge**

# არქიტექტურის კონკურსი

ქ. თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს ადგილობრივი მნიშვნელობის კონკურსს ქ. თბილისში სააკაძის მოედნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობისა და შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო და საოფისე შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 11-დან 24 მაისამდე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. აღმაშენებლის გამზირი 89/24 მე-3 სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

**ტელ: 22-74-02, 96-86-58**
**ფაქსი: 95-99-97**
**ელ-ფოსტა archunion-geo@yahoo.com**



# ვინ და როგორ ცდილობს „საწარმოთა მართვის სააგენტოს" მოტყუებას

## ანუ გია ჭანტურიას "ძმაკაც" ჯაფარიძის "მაფიოზური ვნებანი"

საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ ეკონომიკურ დანაშაულთან უკომპრომისო ბრძოლის დაწყებამ, როგორც ჩანს, ზოგიერთ ძველ "ფულის გამკეთებელზე" ჯეროვანი გავლენა ჯერ ვერ იქონია. როგორც წესი, ისინი ვერ ეგუებიან ახალ დროსა და კეთილსინდისიერ ადამიანებს.

ამის კარგი მაგალითია სიტუაცია, რომელშიც "საწარმოთა მართვის სააგენტოს" ახალგაზრდა და ენერგიული თანამშრომელი ზვიად სულაძე აღმოჩნდა. იგი ორი თვის წინ სააქციო საზოგადოება "სოფლმომარაგების" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად აირჩიეს. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი საწარმოსთვის სულაძემ უკვე გამოძებნა ინვესტორი (ერთ-ერთი თურქული ფირმა, საწარმოს კუთვნილი ტერიტორიის ნაწილის იჯარით აღებისთვის, ყოველთვიურად 800 დოლარს იხდის) და სხვა ინვესტორებთან წარმატებით აწარმოებს მოლაპარაკებას. ამის მიუხედავად, იმავე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თემურ ჯაფარიძე უკვე მის შეცვლას მოითხოვს, მაგრამ ამ მოთხოვნას ოფიციალურად ვერ ასაბუთებს.

თუმცა, სულაძის მიმართ ანტიპათია მეტად უმნიშვნელოდ გამოიყურება იმ ზეწოლასთან შედარებით, რასაც ჯაფარიძე "სოფლმომარაგების" დირექტორ ნიკო სამადაშვილზე ახორციელებს. ერთპიროვნული მმართველობის მოსურნე ჯაფარიძე და მისი მცირერიცხოვანი გუნდი, საწარმოს განვითარებაზე ზრუნვის მაგივრად, მაფიოზურ ტაქტიკას მიმართავენ. საწარმოში არსებული აშკარა დაპირისპირება რამდენიმე წელია გრძელდება და ამჟამად გადამწყვეტ ფაზაში შედის: ვინ დასძლევს --- სამადაშვილი და აქციონერთა უმრავლესობა თუ ჯაფარიძე და მისი დამქაშები? დაპირისპირების არსი ნათელი რომ გახდეს, სჯობს ოდნავ შორიდან დავიწყოთ.

ცნობისთვის: "სოფლმომარაგება" 1996 წლის 18 აპრილს "მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რესპუბლიკური კანტორის" ბაზაზე ჩამოყალიბდა. იგი გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაღლის (სად. გაჩიანი) მდებარეობს და 14,5 ჰექტარი უკავია. მისი საწესდებო კაპიტალი 410 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. 26 დამფუძნებელი აქციონერი საწარმოს ქონების 63 პროცენტს ფლობს, დანარჩენ 37 პროცენტს კი სახელმწიფო განკარგავს.

"სააქციო საზოაგადოების ძირითადი საქმიანობა იყო და არის სოფლის მეურნეობის დარგით დასაქმებული ფირმების, ასევე ფერმერების სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებითა და მათი მარაგნაწილებით და სხვა მატერიალური ფასეულობებით მომარაგება. ს/საზოგადოებას 1993 წლიდან არ შემოუტანია არავითარი მატერიალური ფასეულობა. ის დღემდე არსებობს ტერიტორიის იჯარით, ძირითადი ქონებისა და საწყობებში ნაშთად რიცხული მარაგნაწილების რეალიზაციის ხარჯზე,"- ვკითხულობთ მიმდინარე წლის 10 აპრილით დათარიღებულ აღწერა-ინვენტარიზაციის აქტში. აქ ასევე საუბარია საქონელზე, რაც წლების მანძილზე განიავებას გადაურჩა. მათი საერთო ღირებულება, აქტის მიხედვით, 52177 ლარს შეადგენს. საკმაოდ ძნელია მითვისებული და გაფლანგული თანხის ზუსტი რაოდენობის დადგენა; იგი რამდენიმე ადამიანმა, მათ შორის კი თავად თემურ ჯაფარიძემ იცის. საქმე ისაა, რომ იგი აღნიშნულ რესპუბლიკურ კანტორას 1989 წლიდან ხელმძღვანელობდა. 1996 წელს, "სოფლმომარაგების" ჩამოყალიბებიდან რამდენიმე თვეში, თანამშრომელთა უმრავლესობის მოთხოვნით, ჯაფარიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

თუმცა, მას ფარ-ხმალი არ დაუყრია და ძველი გავლენის დაბრუნებისთვის ბრძოლა დაიწყო. შსს-სა და სხვა სახელმწიფო უწყებებში მომუშავე ახლობლების დახმარებით, ჯაფარიძე "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" ყოფილ პრეზიდენტ გიორგი ჭანტურიას დაუკავშირდა. განვმარტავთ: იმ მიზეზით, რომ კორპორაცია "სოფლმომარაგების" ტერიტორიაზე "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტით" გათვალისწინებულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, 1997 წელს საწარმოს აქციების სახელმწიფოს კუთვნილი წილი დროებით კორპორაციას გადაეცა.

სულ მალე ჯაფარიძემ ჭანტურიასთან "დაძმაკაცებაც" მოახერხა და ადვილად გაიკვალა გზა საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტისკენ. მართალია, იგი დაკავებული თანამდებობიდან 1999 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ მაინც მოასწრო 20 ვაგონზე მეტი, გლეხებისთვის ესოდენ საჭირო მარაგნაწილების ჯართში ჩაბარება. რამდენიმე ხნის შემდეგ (2005 წლის 9 მარტს), ჯაფარიძემ კვლავ შეძლო სამეთვალყურეო საბჭოში მოხვედრა – ამჯერად თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით.

მანამდე კი, ერთპიროვნული გავლენის მოსაპოვებისთვის ბრძოლაში, ჯაფარიძეს სერიოზულ დაბრკოლებად გადაელობა ნიკო სამადაშვილი, რომელიც 2002 წლის 31 ივლისს "სოფლმომარაგების" დირექტორად დაინიშნა. სამადაშვილი 1972 წლიდან აღნიშნულ რესპუბლიკურ კანტორაში მუშაობდა და ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მიზნად დაისახა გაპარტახებული საწარმოს შენარჩუნება. იგი ჯაფარიძისთვის "საკმაოდ კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა; ამიტომ მისი დასჯა გადაწყვიტეს. 2003 წლის ოქტომბერში, ჯაფარიძე, თავის ვაჟთან და რამდენიმე თანამზრახველ აქციონერთან ერთად (თემურ აბაშიძე, დავით მთვრალაშვილი, მურთაზ ხაჭვანი, ჯონი ფარცხავალაძე, დავით ქუთათელაძე და დავით მუკბანიანი), ნიკო სამადაშვილს სამუშაო კაბინეტში შეუვარდა. ისინი მოითხოვდნენ – იმ დღესვე მოეწვიათ აქციონერთა რიგგარეშე კრება და დირექტორი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ ( ამ მოთხოვნის რეალური მიზეზი ის იყო, რომ სამადაშვილმა შეისწავლა და გამოავლინა მათ მიერ საწარმოს კუთვნილი, დიდი რაოდენობით ქონების დატაცების ფაქტები. შესაბამისი დოკუმენტური მასალები კი ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციას გადასცა). სამადაშვილმა მათ განუცხადა, რომ ეს აშკარა კანონდარღვევა იქნებოდა და ამას არ გააკეთებდა: კრების მოწვევას ხომ განსაზღვრული ვადა და წესები აქვს. დირექტორის პოზიცია გაიზიარა ამ ფაქტის შემსწრე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მაშინდელმა მოადგილე, ჯონი ფოფხაძემ. უარის მიღებით გარისხებულებმა ორივეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. შედეგად, სამადაშვილმა ძლიერი სტენოკარდიული შეტევა, ფოფხაძემ კი ტვინის მძიმე შერყევა მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტთან დაკავშირებით ოპერატიულად გამოიძახეს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები და სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, ჯაფარიძემ "იჩალიჩა" და ორივე დანაშაული (თავდასხმა და ქონების დატაცება) საიმედოდ ჩაფარცხეს.

ამ "ეპოპეაში" ყურადღებას ასევე იქცევს უახლოესი გარემოცვა ჯაფარიძისა, რომელსაც ძალიან უყვარს სხვის პატიოსნებაზე კრიტიკული საუბარი. კერძოდ, მისმა მეგობრებმა, საწარმოს ყოფილმა აქციონერებმა, ჯუმბერ ქვირიამ და დავით მუკბანიანმა, საწარმოს დიდი ზარალი მიაყენეს და საზღვარგარეთ გაიქცნენ. მათ მიერ საიდუმლოდ განხორციელებული ოპერაციის შედეგად, "სოფლმომარაგების" კუთვნილი 52 სატვირთო მანქანა "უკვალოდ" გაქრა (როგორც მოგვიანებით გაირკვა, თითოეული მანქანა 2500-3000 დოლარად გაყიდეს). ასევე მიმალულია ჯაფარიძის კიდევ ერთი უახლოესი მეგობარი დავით ქუთათელაძე, რომელმაც საწარმოს 8 ათასი ლარის ზარალი მიაყენა.

ჯაფარიძე თანამზრახველთა გუნდის შეთხელებას არ შეუშინდა და ახალი ტაქტიკით მოქმედება დაიწყო. მისი დაჟინებული რჩევით, "საწარმოთა მართვის სააგენტო" (როგორც ჩანს, ამ "ნაცადი დიპლომატის" სიტყვას სააგენტოში გასავალი აქვს) "სოფლმომარაგებაში" აღწერა-ინვენტარიზაციის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს 2 მარტის №1 საოქმო გადაწყვეტილებისა და დირექტორის 9 მარტის №6 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა აღწერა-ინვენტარიზაციის ჩატარების დღე და შეიქმნა შესაბამისი კომისია, შემდეგი შემადგენლობით: თ. ჯაფარიძე, თ. აბაშიძე, მ. ხაჭვანი (ეს ორი აქციონერი ჯაფარიძის მეგობრები და აქტიური მხარდამჭერები არიან), ჯ. ფოფხაძე, დ. ბერძენიშვილი და ლ. აკოფაშვილი. ფაქტობრივად, აღწერა-ინვენტარიზაცია მხოლოდ ქაღალდზე ჩატარდა და ჯაფარიძის მიერ დაწერილ აქტრს, მის გარდა, აბაშიძე და ხაჭვანი აწერენ ხელს. კომისიის დანარჩენი სამი წევრი აქტს ბათილად ცნობს და ხელს არ აწერს. აქტის ნამდვილი მიზანია, სააგენტოს დაანახვოს დირექტორის "ცუდი მუშაობა" და მისი განთავისუფლებისთვის "მყარი ნიადაგი" შექმნას. აღსანიშნავია, რომ საწარმოს აქციების 37 პროცენტს ამჟამად სწორედ სააგენტო ფლობს და მის გადაწყვეტილებებს გარკვეული ძალა გააჩნია.

ამჟამად საწარმოში დაგეგმილია აქციონერთა საანგარიშო კრების ჩატარება, რომელზეც ჯაფარიძე აღნიშნული აქტის განხილვასა და დირექტორის "დანაშაულობათა" გამომზეურებას აპირებს. აქციონერებმა მისი (ჯაფარიძის) წარსული კარგად იციან და ამჯერად ჯაფარიძეს სააგენტოს დარწმუნება უფრო სურს. პარალელურად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ზვიად სულაძის შეცვლის მიზნითაც იგონებს თითიდან გამოწოვილ არგუმენტებს. ასე, თანმიმდევრულად ცდილობს ჯაფარიძე სამოქმედო ასპარეზის მისთვის არასასურველი ადამიანებისგან გათავისუფლებას, რათა საწარმოს დარჩენილ ქონებას ბოლო მოუღოს. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, ამის საშუალება მას სხვა აქციონერებმა მისცენ.

ენდობა თუ არა სააგენტო ჯაფარიძეს? იგი ხომ ინტრიგებისა და სიყალბეთა შეთხზვის დიდოსტატია. ისე, ამ თემაზე საუბრისას უნებურად ცნობილი სიცილიური გამოთქმა გვახსენდება: "მაფია უკვდავია". ჩვენ კი იმასაც დავძენთ, რომ სადაც მაფიაა, იქ მისი საწინააღმდეგო მექანიზმებიც იქმნება-ხოლმე.

*ვეფხია მგელაძე*

წერილი დაბეჭდილია სარეკლამო ფართზე

# კონდოლიზა რაისი: ამბოხებას მხოლოდ იარაღით ვერ დავამარცხებთ

პირველი გვერდიდან

უცნობი იყო საპატიო მგზავრის ვინაობა იმ თვითმფრინავის ეკიპაჟისთვისაც, რომლითაც რაისი ერაყში ჩაფრინდა.

ჯავშანჟილეტში გამოწყობილი რაისი ერაყში ჩაფრენისთანავე სამხედრო შვეულმფრენების გაძლიერებული ესკორტის თანხლებით არბილის მახლობლად, სალაჰ ად-დინში გაემგზავრა, სადაც დაგეგმილი იყო მისი შეხვედრა ქურთთა ლიდერ მასუდ ბარზანისთან.

"მე საკმაოდ დიდხანს მოუთმენლად ველოდი შესაძლებლობას, რათა ერაყში ჩამოვსულიყავი," - უთხრა რაისმა ვიზიტის დროს თანმხლებ ჟურნალისტებს. მისი თქმით, აშშ-ს ხელმძღვანელობას სურდა, პოლიტიკური პროცესის განვითარების გზები განეხილა ერაყის ახალ მმართველებთან. სახელმწიფო დეპარტამენტის გეგმით, პოლიტიკური პროცესების გააქტიურება ეფექტიანი საშუალება იქნება ამბოხებასთან საბრძოლველად, რომელმაც ბოლო ორი კვირის მანძილზე 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

"ერაყელები... ახლა აპირებენ მეტი ძალისხმევით მოახდინონ დემონსტრირება, რომ ერაყელი ხალხის პასუხი (ძალადობაზე) პოლიტიკური პროცესია," - ამბობს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი წარმმართველის სტუმრობის შესახებ ერაყის ახალმა პრემიერ-მინისტრმა იბრაჰიმ ჯაფარიმ მხოლოდ ორი დღით ადრე შეიტყო.

ქურთ ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ რაისი ბაღდადში ჩავიდა, სადაც, მთავრობის მეთაურის გარდა, პრეზიდენტ ჩალაბისა და თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ახალ მინისტრებსაც შეხვდა. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, კონდოლიზა რაისი ვაშინგტონის მიერ ბოლო დროს "შერისხული" ერაყელი პოლიტიკოსის აჰმედ ჩალაბის ნახვასაც გეგმავდა. შეგახსენებთ, ეს პოლიტიკური მოღვაწე საკმაოდ დიდხანს სარგებლობდა ამერიკელთა კეთილგანწყობით, თუმცა შარშან, კორუფციულ დანაშაულებთან კავშირის გამო შერისხეს. საინტერესოა, რომ მაშინ ამერიკული მედია ჩალაბის ირანულ კონტაქტებზეც ბევრს ლაპარაკობდა.



ვიზიტის დროს კონდოლიზა რაისმა, არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ვაჭრობის თაობაზე, საზოგადოებაში არსებული შეშფოთების გაფანტვაც სცადა. სახელმწიფო მდივნამა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გარკვეული დრო "სადამ ჰუსეინის რეჟიმის ნანგრევებზე" დემოკრატიული სისტემის აშენებისთვის. "საოცარი, ალბათ, ის უფროა, რომ მათ, საერთოდ, ასეთი რამ შეძლეს (სამ თვეში)," - ამბობს სახელმწიფო მდივანი.

უსაფრთხოების საკითხების გარდა, ამერიკელმა დიპლომატმა ერაყის ხელისუფლებასთან ქვეყნის აღმშენებლობის საკითხებიც განიხილა; კერძოდ, მხარეებმა ისაუბრეს ივლისში აშშ-სა და ევროკავშირის ინიციატივით გასამართი კონფერენციის თაობაზე, რომლის მიზანი იქნება ერაყის აღდგენაში, რაც შეიძლება, მეტი ქვეყნის ჩართვა. როგორც ვარაუდობენ, დონორების უმრავლესობა ერაყის ახალი მთავრობისთვის, ნაღდი ფულის ნაცვლად, ტექნიკური დახმარების შეთავაზებას აპირებს.

ასე რომ, ცხადია, ერაყის ახალ ხელისუფლებას ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, აშშ-ს გარდა, სხვა ქვეყნებიც დაეხმარებიან (ბუნებრივია, სანავთობო პროექტებში მონაწილეობის სანაცვლოდ). მანამდე კი პირველი რიგის ამოცანა უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება. ჯერჯერობით კი, თუნდაც გუშინ, ერაყის სხვადასხვა ქალაქში კონდოლიზა რაისის ვიზიტის პარალელურად მომხდარ აფეთქებებს უამრავი ადამიანი შეეწირა.

# აშშ-ს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები 180-ით შემცირდება

ხათუნა გაბიევი

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პენტაგონმა აშშ-ს ტერიტორიაზე არსებული 3 700 სამხედრო ინსტალაციიდან 180 სამხედრო ბაზის, რომელთაგან 33 ძირითადი დანიშნულებისაა, დახურვა გადაწყვიტა. გარდა ამისა, იგეგმება 29-ზე მეტი სამხედრო ბაზის დისლოკაციის ადგილის შეცვლაც. ბაზების დახურვის უმთავრეს მოტივად 20 წლის მანძილზე 49 მლრდ აშშ დოლარის ეკონომია სახელდება; თანაც ამ თანხას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ბაზებზე გაკეთებულ ეკონომიასაც თუ დავუმატებთ, 21-ე საუკუნის გამოწვევებზე ჯეროვან პასუხზე გათვლილი პროექტის ბიუჯეტი უკვე 64.2 მლრდ აშშ დოლარს აღწევს. პენტაგონის ამ წინადადებამ თავდაცვის დეპარტამენტსა და კონგრესს შორის გაცხარებული კამათი გამოიწვია. თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის თქმით, ზემოაღნიშნული თანხა არმიის მოდერნიზებას მოხმარდება, რაც მას უფრო მობილურსა და ტერორიზმის წინააღმდეგ ომში მოქნილს გახდის.

**"დღევანდელი სამხედრო ხარჯები "ცივი ომის" მოდელზეა გათვლილი, რაც უკვე დრომოჭმულია. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ექსტრემიზმსა და 21-ე საუკუნის სხვა გამოწვევებს ახალი მოთხოვნები შევუსაბამოთ,"** - განაცხადა დონალდ რამსფელდმა.

რაციონალური გათვლების მიუხედავად, ბაზების შემცირების საკითხი, სავარაუდოდ, სოციალური უკმაყოფილების საბაბი გახდება, რადგან თავდაცვის სამდივნოს მიერ შემუშავებული გეგმა, დაახლოებით, 29 000 სამხედრო და სამოქალაქო პირს სამსახურის დაკარგვით ემუქრება. თუმცა, დახურვის გადაწყვეტილება ჯერ ფედერალური ბაზების დახურვის კომისიამ უნდა დაამტკიცოს, ხოლო შემდეგ ხელი კონგრესმა და პრეზიდენტმა უნდა მოაწერონ. როგორც პენტაგონში აცხადებენ, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და იგი 2005 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

ზოგადად, ბაზების შემცირების საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციების განხილვა ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო, რაშიც მრავალი გავლენიანი ანალიტიკოსი მონაწილეობდა.

აშშ-ს დეპარტამენტის მიერ ხანგრძლივი განსჯისა და ანალიზის შედეგად მომზადებული რეკომენდაციები მიმართულია:

სამხედრო სავალდებულო სამსახურისა და მოხალისეთა რიგებში მყოფი მოქალაქეების სამხედრო უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ;

უნიკალური შესაძლებლობების მქონე ბაზების შენარჩუნებისაკენ;

ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, ტრეინინგების კონსოლიდაციისაკენ;

აუცილებელი ფუნქციების ტრანსფორმირებისაკენ, რაც მოიცავს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასა და სამედიცინო და კვლევით პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ დასახურ ბაზათა სიაში მოხვდა სამხრეთ დაკოტაში არსებული ელსვორთის სამხედრო-საჰაერო ბაზა, სადაც აშშ-ს ნახევარი ფლოტია განთავსებული და B-16 ტიპის ავიაგამანადგურებლები მზადდება. ბაზათა "შავ სიაში" ელსვორთის მოხვედრას სენატორმა ჯონ თუნმა პენტაგონის "სულელური შეცდომა" უწოდა.

# ხათამის პოლიტიკური მემკვიდრეების რეგისტრაცია დასრულდა

### 57-მილიონიან ქვეყანაში გაპრეზიდენტების სურვილი 1 000 კაცზე მეტმა გამოთქვა

14 მაისს დასრულდა ირანში საპრეზიდენტო კანდიდატთა რეგისტრაცია. შედეგებმა ყოველგვარ ვარაუდს გადააჭარბა. გარდა იმისა, რომ გაკვირვებას იწვევს პრეზიდენტობის მსურველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა – 1010 კაცი, უფრო გასაოცარი აღმოჩნდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, სადაც რელიგიური დოქტრინები მყარია და ზოგჯერ რადიკალიზმით სხვა მუსლიმურ სახელმწიფოებსაც აღემატება, აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მოხვედრის მსურველი 89 ქალბატონი.

საპრეზიდენტო არჩევნები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 17 ივნისსაა დაგეგმილი. სარეგისტრაციო ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო მარათონში კანდიდატთა მონაწილეობა ამჯერად უკვე ირანის კონსერვატიული ორგანოს – ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ისლამური რელიგიური პრინციპების დამცველი გუშაგთა საბჭო წყლის ნაყვად მიიჩნევს სუსტი სქესის წარმომადგენელთა ესოდენ დიდ ამბიციას – დაიკავონ ქვეყნის პრეზიდენტის სავარძელი.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა ისიც, რომ ოდესღაც დაკავებულ თანამდებობაზე დაბრუნებას აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიც შეეცდება. ირანის ყოფილი პრეზიდენტი რაფსანჯანი ქვეყანას სათავეში ედგა 1989-97 წლებში. აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, პოლიტიკური მოღვაწეობის გამო, არაერთხელ დააპატიმრეს, თუმცა შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის ჩამოგდების შემდეგ რაფსანჯანიმ პოლიტიკური კარიერა გააგრძელა. მან დიდი წვლილი შეიტანა ისლამური რესპუბლიკური პარტიის შექმნაში და პოლიტიკური კარიერის მშენებლობა 1980-89 წლებში პარლამენტის (მეჯლისის) სპიკერის თანამდებობიდან დაიწყო. 1988-89 წლებში შეიარაღებულ ძალებს ედგა სათავეში. უკვე 1989 წელს რაფსანჯანი ხმათა 95 პროცენტით პრეზიდენტად აირჩიეს. მას ირანში იცნობენ, როგორც პრაგმატულად მოაზროვნე კონსერვატორს, რომელიც გარკვეულ დონემდე დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავების მომხრეა, მაგრამ მხარს არ უჭერს საზოგადოების საფუძვლიანად რეფორმირებას. საპრეზიდენტო პროგრამაში სწორედ საბაზრო ეკონომიკაზე აქცენტების გაკეთებამ და ირანის რეგიონულ ძალად გარდაქმნის ინიციატივამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი 1993 წელს რაფსანჯანის მეორე ვადით არჩევაში.

სხვა სავარაუდო კანდიდატთა შორის, რომელთაც გუშაგთა საბჭოს მხრიდან პრობლემები, ალბათ, არ შეექმნებათ, არიან - თეირანის მერი მაჰმუდ აჰმადინეჯადი და ირანის პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი მოჰამად ბაქარ ყალიბაფი.

საპრეზიდენტო კანდიდატებში რამდენიმე გავლენიანი ოპოზიციონერიცაა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქვეყნის პირველ პირად ყოფნა ყოფილმა სპორტსმენებმაც ისურვეს - ერთ-ერთი კანდიდატი ირანის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მეკარე ნასერ ნეჯაზიცაა.

თუ კანიდადტთა დიფერენცირებას ასაკობრივი ჯგუფებით მოვახდენთ, სიურპრიზები აქაც უხვადაა - რეგისტრირებულ კანდიდატებში ყველაზე უმცროსი 16 წლის მოზარდია, ხოლო უხუცესი - 86 წლის მოქალაქე.

ინტერესმოკლებული არც წინა საპრეზიდენტო არჩევნების სტატისტიკა უნდა იყოს. 2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველთა თავდაპირველი რაოდენობა 814 კაცს შეადგენდა, რომელთაგან დიდი უმრავლესობა სწორედ ზემოხსენებულმა გუშაგთა საბჭომ დაბლოკა.

რაც შეეხება ირანის ამჟამინდელ პრეზიდენტს მოჰამად ხათამის, მას უკვე აღარ აქვს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, ერთ და იგივე პირს ზედიზედ სამჯერ გაპრეზიდენტების უფლება არ აქვს, ხათამის კი პრეზიდენტობის უკვე მეორე ვადა ეწურება.

პრეზიდენტობის მოსურნე 1010 კანდიდატის ბედი გუშაგთა საბჭომ 10 დღის ვადაში უნდა გადაწყვიტოს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქალი-კანდიდატების ბედი უკვე გარკვეულია. ექსპერტთა თანახმად, გუშაგთა საბჭო ამჯერად ძალიან ფრთხილად იმოქმედებს, რათა არჩევნები, ელექტორატის დაბალი აქტივობის გამო, საერთოდ არ ჩავარდეს. როგორც ცნობილია, 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ისლამური რევოლუციის გუშაგებმა კანდიდატთა სია, დაახლოებით, 2000 რეფორმატორი პოლიტიკოსით შეამცირეს, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.

*24 საათი*



## USAID-ის კავკასიის მისია საქართველოში აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

### პროექტის მართვის სპეციალისტი (კომერციული კანონმდებლობა, რეგულირება და მართვა) ვაკანსია N 114-05-07

*ეს ვაკანსია ცხადდება განმეორებით. Kმათ, ვინც უკვე შემოიტანა განაცხადი მოცემულ ვაკანციაზე, აღარ ესაჭიროებათ საბუთების განმეორებით შემოტანა.*

ძირითადი ფუნქციები: ვაკანსიას აცხადებს USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისის ეკონომიკის განვითარების განყოფილება. ამ თანამდებობას ძირითადი მოვალეობებია:

n 12-15 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის, 4 წლის ხანგრძლივობის კონტრაქტის მენეჯმენტი, რომელიც მოემსახურება ამჟამად განვითარების სტადიაში მყოფი კომერციული კანონმდებლობისა და რეგულირების რეფორმას.

n რეკომენდაციების გაწევა ეკონომიკის განვითარების პროგრამების იურიდიულ და კანონმდებლობით საკითხებში

n ნაყოფიერი ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება USAID-ის მაღალი რანგის პარტნიორებთან საქართველოს მთავრობაში, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

თანამდებობის რანგი: ამ თანამდებობის ზღვრული რანგი არის FSN-11. საწყისი ხელფასის მოცულობა განისაზღვრება წინა ხელფასის, კვალიფიკაციის დონისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით. შესაძლოა შერჩეული კანდიდატი აყვანილ იქნეს FSN-11-ზე დაბალ რანგზე, საჭირო გამოცდილების და კვალიფიკაციის სრულ დაუფლებამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

n იურისტის დიპლომი აკრედიტებული უნივერსიტეტებიდან. (აშშ-ს სტანდარტებით სამართლის დოქტორი (J.D.) ან სამართლის მაგისტრი (LL.M.); საქართველოს განათლების სტანდარტებით - ხუთწლიანი საუნივერსიტეტო კურსის დამთავრების შედეგად მიღებული იურისტის დიპლომი).

n ხუთიდან შვიდ წლამდე გამოცდილება მზარდი პასუხისმგებლობით, აქედან სამი წლის განმავლობაში კლიენტებისთვის სამართლებრივი რჩევების გაწევა იურიდიულ ფირმაში, ან კომერციული კომპანიისა ან ბანკის იურიდიულ განყოფილებაში.

n ორიდან სამ წლამდე მენეჯმენტის გამოცდილება (მაგ., თვიური ან წლიური დაგეგმვა და მიზნების დასახვა, თანამშრომელთა ხელმძღვანელობა, ბიუჯეტის შემუშავება და კონტროლი, პროექტების მართვა).

n ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა, დამატებით სასურველია რუსულის ცოდნა კარგ სამუშაო დონეზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოაკითხონ USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისს, მისამართზე - თელავის ქ. N20, სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული. სადაც მიიღებენ განაცხადის პაკეტს, რომელიც მოიცავს ამ თანამდებობის დეტალურ აღწერილობას, სამუშაოდ აყვანის განაცხადის ფორმას, და დეტალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შევსებული განაცხადის ფორმა, თანდართული CV , დალუქული კონვერტით უნდა ჩაბარებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 20 მაისის საღამოს 6 საათამდე. **დაგვიანებით შემოტანილი განაცხადის ფორმები არ მიიღება.**

**ჩვენ დავუკავშირდებით მხოლოდ გადარჩეულ კანდიდატებს. წინასწარი სატელეფონო ზარები ან პირადი შეხვედრები დაუშვებელია.**

*USAID is an Equal Opportunity Employer*


# სისხლში ჩახშობილი ამბოხი და სასაფლაოდ გადაქცეული ქალაქი

*მაშინ, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა 13 მაისს უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში მომხდარის ანალიზსა და შეფასებას ცდილობს, ხოლო ათასობით უზბეკი თავშესაფრის საპოვნელად მეზობელი ყირგიზეთის საზღვრისკენ მიეშურება, თავად ქალაქში მასობრივი დაკრძალვები მიმდინარეობს. ანდიჟანში დაღუპულებს ითვლიან. თუმცა, ამბოხისა და კარიმოვის ერთგული სამხედროების შტურმის მსხვერპლთა ზუსტი რიცხვის დასახელებას ვერავინ კისრულობს.*

უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში პარასკევს დაწყებული არეულობის შემდეგ ვითარება ჩაწყნარებულია. "ვითარება სტაბილურია და ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება," - ნათქვამია უზბეკეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში. სააგენტო ბი-ბი-სი იუწყება, რომ ჯარს ქალაქის ძველი უბანი ალყაში აქვს მოქცეული და სახლების ჩხრეკა მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ხელისუფლება აქციის ორგანიზატორებს ეძებს.

პარალელურად, ანდიჟანის სხვა უბანში, სწორედ იქ, სადაც პარასკევს შეტაკებები მიმდინარეობდა, ტროტუარებიდან სისხლს რეცხავენ. დაღუპულთა შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ზოგიერთი ცნობით, მათი რიცხვი 500-ს აღწევს. ამავდროულად, ოფიციალური წყაროები ირწმუნებიან, რომ დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით მცირეა, მაგრამ ზუსტი ციფრის დასახელებაზე ისინიც თავს იკავებენ.

სააგენტო "ფრანს პრესი" იტყობინება, რომ ალყაშემორტყმულ ქალაქში მოსახლეობა ქუჩაში დადის და ერთად თავმოყრილ გვამებს შორის თავიანთ ნათესავებსა და ახლობლებს ეძებს. ყველა საინფორმაციო საშუალება ერთხმად აღნიშნავს, რომ ქალაქში სიცოცხლის ნიშანწყალი ძნელად შეიმჩნევა. მოსახლეობის ერთი ნაწილი დაღუპულებს გლოვობს და იქვე პარკებსა და ეზობში მარხავს. დანარჩენები სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავენ. მესამე უფრო გაბედული ნაწილი უარს ამბობს ისლამ კარიმოვის "დიქტატორის" პირობებში ცხოვრებაზე და მეზობელი ყირგიზეთისკენ მიეშურება. უკვე ორი დღეა, ხალხის ნაკადი არ შეწყვეტილა უზბეკეთის სასაზღვრო ქალაქ კარასუსკენ.

მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყვნენ არეულობის ორგანიზატორები, ფაქტი ფაქტად რჩება – ანდიჟანში უამრავი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. თვითმხილველების თქმით, პარასკევს ქალაქში შესული სამხედროები ესროდნენ ყველას, ვინც გზად შეხვდათ.

ამასობაში უზბეკეთის პრეზიდენტი თავის გამართლებას ცდილობს და ყველაფერს "რადიკალურ ისლამისტებს" აბრალებს. ისლამ კარიმოვმა უარყო, რომ მან გასცა ბრძანება ცეცხლის გახსნის შესახებ; პირიქით, ძალადობის პროვიცირებაში იგი ისლამურ გაერთიანება "ჰიზბ-უთთაჰრირს" ადანაშაულებს. "მათი მიზანი იყო, ანდიჟანში შექმნილი ვითარებით ესარგებლათ, დაემხოთ საკონსტიტუციო წყობა და შეექმნათ "ისლამური ხალიფატის" სახელმწიფოს ერთი ნაწილი; ამით ჩამოეყალიბებინათ თავიანთი წყობა და თავიანი მთავრობა," - ამბობს კარიმოვი სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას.

უზბეკეთის პრეზიდენტის თქმით, მეამბოხეებს იმედი ჰქონდათ, ყირგიზეთის მსგავსად, უზბეკეთის ხელისუფლება ჩამოეგდოთ. შეირაღებულმა მეამბოხეებმა დაიკავეს რეგიონული ადმინისტრაციის შენობა და ქალები, ბავშვები და ოჯახის მოხუცი წევრები ფარად დაიყენეს, შემდეგ კი დაპირისპირება გამოიწვიეს, რასაც სროლა მოჰყვა - ასეთია მოვლენების ოფიციალური ახსნა. კარიმოვის ამბობს, - ხელისუფლებამ შესთავაზა მეამბოხეებს კომპრომისი, რათა მშვიდობიანად გარიგებულიყვნენ. მაგრამ, ისინი ისეთ რამეს მოითხოვდნენ, რასაც ვერც ერთი მთავრობა ვერ შეასრულებდაო.

სულ მცირე, ათასმა ადამიანმა მოახერხა, უზბეკეთიდან მეზობელ ყირგიზეთში გაქცეოდა ძალადობას. ისინი ყირგიზეთთან მოსაზღვრე ქალაქ კარა-სუში იყრიან თავს. რადიო "თავისუფლების" უზბეკური სამსახურის თანახმად, შაბათს ბრბომ დაიკავა ქალაქის მმართველობის შენობა და მერი მძევლად აიყვანა. იუწყებიან, ასევე, რომ გამძვინვარებულმა ბრბომ ქალაქის მმართველობის შენობას ცეცხლი წაუკიდა. თუმცა, კვირა საღამოს ბი-ბი-სი იუწყებოდა, რომ კარა-სუში ვითარება შედარებით სტაბილური ხდება, ხალხი კი კვლავ ცდილობს საზღვრის გადაკვეთას.

მომხდართან დაკავშირებით ევროკავშირმა და ნატო-მაც გააკეთეს განცხადებები. მათ გააფრთხილეს უზბეკეთის მთავრობა და მეამბოხეები, მომავალში მოერიდონ სისხლისღვრას და მშვიდობიანი გზით მოაგვარონ მღელვარება. გარდა ამისა, ევროკავშირის მოქმედმა თავმჯდომარე-ქვეყანამ ლუქსემბურგმა და ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ღრმა შეშფოთება გამოხატეს, უზბეკეთში ჯარის მიერ დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის გამო.

## საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი
0179, თბილისი, საქართველო, შეფერდიშვილის ქ.16
ტელ./ფაქსი: (995 32) 92 25 58 www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# ხაზინა მონაცემებს მალავს?

უკვე სამი კვირაა, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მცდელობა - მიიღოს ხაზინისგან ინფორმაცია 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, წარუმატებლად მთავრდება. გასულ კვირას ცენტრმა შემოგთავაზათ მონიტორინგი ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის მიერ დაგზავნილი მოკლე ბიულეტენის საფუძველზე, თუმცა ვერც შემდგომ დღეებში ვერ მიაღწია იმას, რომ ხაზინას ბიუჯეტის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ცენტრი თითქმის ერთი წელია ახორციელებს, მიმდინარე მონაცემები გადმოეგზავნა.

ეს ხდება იმ პერიოდში, როცა საქართველოს პარლამენტში სერიოზული აჟიოტაჟია ატეხილი 2005 წლის ბიუჯეტის უკვე რიგით მეორე ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელმაც პარლამენტართა გულისწყრომა სწორედ გაუმჭვირვალეობის გამო დაიმსახურა. საუბარია ხარჯვითი ნაწილის კიდევ 66 მლნ. ლარით ზრდაზე. აქედან, სტიქიით მიყენებული ზარალის დასაფარად 20 მლნ. ლარი უნდა გამოიყოს, საიდანაც 15 მლნ. გზებისა და კომუნიკაციების აღდგენას მოხმარდება, ხოლო 5 მლნ. - სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებისთვის სახლების შეძენას. დანარჩენი 46 მლნ. ლარი თავდაცვის სამინისტროსთვის არის განკუთვნილი. სწორედ ეს უკანასკნელი ხარჯები გახლავთ განსაკუთრებით ბუნდოვანი

ეს ხდება მთავრობის ახალი ინიციატივის ფონზე - მიანიჭოს ფინანსთა სამინისტროს გრიფით "საიდუმლო" დოკუმენტების გამოცემის უფლება, რაც, სავარაუდოდ, საბიუჯეტო ხარჯების დიდ ნაწილს უკვე კანონიერად აქცევს ფარულად.

ეს ხდება იმ ფონზე, როცა საქართველოს ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლას კვლავ პირველი რიგის პრიორიტეტად ასახელებს და იმ ფონზე, როცა მთავრობამ პარლამენტართა წინაშე ბიუჯეტის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის თაობაზე კიდევ ერთხელ გააჟღერა შეპირება.

სხვათა შორის, ამ შეპირებასთან ერთად მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი გასულ კვირას "მიღწეულ წარმატებებზეც" საუბრობდა - ჩეჩელაშვილის პროგნოზით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 3 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. მისი ინფორმაციით, მიმდინარე წელს ბიუჯეტში ორჯერ შეტანილი ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტი 330 მლნ. ლარით გაიზარდა. პირველი მატება აგვისტოში 230 მლნ. ლარით განხორციელდა, ხოლო მეორე ზრდა - დეკემბრის თვეში, 100 მლნ. ლარით. პირველად მთავრობას საშუალება მიეცა 254 921 000 ლარით დაეფარა წინა წლების არსებული დავალიანებები.

თუმცა, სამი კვირის მანძილზე ხაზინის მიერ საბიუჯეტო მონაცემების მოუწოდებლობის ფაქტი, პარლამენტში შეტანილი საბიუჯეტო ხარჯების გაუმჭვირვალეობა და ამ მიმართულებით დაფიქსირებული ზოგადი ტენდენცია ცხადყოფს, რომ, მიუხედავად ბიუჯეტის შესრულების დადებითი მაჩვენებლებისა, 2005 წლის საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ქვეყანაში სერიოზული კრიზისული სიტუაციაა შექმნილი, რაც სერიოზული ეჭვების საფუძველი გახლავთ.

# პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდები კანონდარღვევით ფუნქციონირებენ

*საქართველოს კონტროლის პალატაში აცხადებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდების ფუნქციონირება წინააღმდეგობაში მოდის "საბიუჯეტო სისტემების შესახებ" კანონის მოთხოვნებთან. ამასთან, პალატის ინფორმაციით, სახელმწიფო ხაზინა ვერ აკონტროლებს ფონდების შევსების კანონიერებას და გაწეული ხარჯების მიზნობრიობას. ამიტომ კონტროლის პალატას საჭიროდ მიაჩნია, "საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის შექმნის შესახებ" კანონი შესაბამისობაში მოვიდეს "საქართველოს საბიუჯეტო სისტემების შესახებ" კანონთან.*

დიანა ჩაჩუა

**"საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდები დეფიციტურ ადგილობრივ ბიუჯეტებს თანხებს ართმევენ,"** - აღნიშნულია საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენებაში. კონტროლის პალატის ინფორმაციით, 2004 წელს ფონდებში ჩარიცხულია 2 მილიონი ლარი, საიდანაც დახარჯულია 1,7 მილიონი. ფონდებში მობილიზებული თანხების გარკვეული ნაწილი გამოყენებულია რწმუნებულების და მათი აპარატების შენახვის ხარჯებისთვის.

**"საყურადღებოა, რომ ამ ფონდებში ადგილობრივი ბიუჯეტებიდან წილობრივი შენატანების სახით გადატანილია 487 ათასი ლარი. მაშინ, როცა აღნიშნული ბიუჯეტები, უმეტესწილად, დეფიციტურია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდიდან რწმუნებულების ფონდებში ჩარიცხულია 1 მილიონი ლარი. ასევე, რწმუნებულების ფონდებმა, შიდა ქართლში, კახეთის მხარეში და გურიაში შემოწირულობების სახით შესაბამისად 222, 5 ათასი, 227,2 ათასი და 77,8 ათასი ლარი მიიღეს,"** - აღნიშნულია 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით მომზადებულ მოხსენებაში.

კონტროლის პალატაში აცხადებენ, რომ ქვემო ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდი კანონდარღვევით შეიქმნა, რადგან არ არსებობდა რეგიონული და თვითმმართველობის განვითარების მიზნობრივი პროგრამები, რომელთა განხორციელებისთვისაც ფონდი უნდა შექმნილიყო. **"ხშირ შემთხვევაში ფონდიდან თანხები გაცემულია უცხო პირებზე, რომლებიც არ არიან ფონდის თანამშრომლები, ხოლო 16,1 ათასი ლარი სალაროდან ისეა გაცემული, რომ არ ჩანს მიმღები პირი და არც ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებია წარდგენილი,"** - აღნიშნულია კონტროლის პალატის მოხსენებაში.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან თანხების გადახარჯვას ადასტურებს, მაგრამ გადახარჯული სახსრების მოცულობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. ამის შესახებ განცხადება ფინანსთა მინისტრმა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც მას პრეზიდენტის ფონდიდან თანხების გადახარჯვის შესახებ განმარტებები "მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ მოსთხოვა.

ჩეჩელაშვილის განცხადებით, საპრეზიდენტო ფონდიდან თანხების გადახარჯვა ობიექტური პირობების გამო მოხდა და მიუხედავად იმისა, რომ ფინანსების ხარჯვაზე ფინანსთა სამინისტროა პასუხისმგებელი, ეს ის შემთხვევებია, როდესაც პასუხისმგებლობას ფინანსთა სამინისტრო თავის თავზე ვერ აიღებს. ობიექტური მიზეზების დაზუსტებისგან მინისტრმა ასევე თავი შეიკავა.

კვირის მიწურულს ასევე გაირკვა, რომ ფინანსთა სამინისტრო პარლამენტის წინაშე ახალი კანონპროექტით წარდგება, რომელიც პრეზიდენტის რწმუნებულთა ფონდების გაუქმებას ითვალისწინებს. ვალერი ჩეჩელაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტრო ეთანხმება პოლიტიკურ წრეებში არსებულ წინადადებებს, პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდების გაუქმების შესახებ და შესაბამისი კანონპროექტით იგი უახლოეს ხანებში პარლამენტის წინაშე წარდგება.

ჩეჩელაშვილი მიესალმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ვასილ მაღლაფერიძის ინიციატივას, პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელმაც, მას შემდეგ, რაც ამ რეგიონში რწმუნებულად დაინიშნა, თავად გააუქმა რწმუნებულის ფონდი.

# "საქართველოს ბანკის" კიდევ ერთი ახალი პროდუქტი - "ავტო+"

იმოქმედეთ დღესვე და ჩაჯექით ახალ ავტომობილში!





*თუ გაქვთ სტაბილური სამსახური, სადაც თქვენი ყოველთვიური შემოსავალი 400 დოლარს აღემატება და მაინც ვერ აძლევთ საკუთარ თავს ახალი ავტომანქანის შეძენის უფლებას, პირველად საქართველოში, "საქართველოს ბანკის" ახალი პროდუქტის "ავტო+"-ის საშუალებით, ახალი ავტომობილების განვადებით შეძენის საშუალება გეძლევათ. "ავტო+" საბანკო, სადაზღვევო და სალიზინგო პროდუქტების ერთობლიობაა, რომელიც ავტომობილის განვადებით შეძენის გარდა, შეძენილი ავტომობილისა და მისთვის გადასახდელი თანხის დაზღვევას ითვალისწინებს. "ავტო+" განვადების მაქსიმალურ - 6-წლიან ვადას და უკვე გამოყვანილი ავტომობილის ახლით შეცვლის შესაძლებლობასაც იძლევა.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ, სავაჭრო ცენტრ "GTC"-ში "საქართველოს ბანკის" ახალი პროდუქტის "ავტო+"-ის პრეზენტაცია მოეწყო. "საქართველოს ბანკი" "ავტო+"-ს "საქართველოს სალიზინგო კომპანიასა" და "სადაზღვევო კომპანია BCI"-სთან ერთად ახორციელებს.

**"ავტო+"-ის საბანკო სამომხმარებლო ბაზარზე გაშვება "საქართველოს ბანკის" მორიგი წინ გადადგმული ნაბიჯია. იგი მოსახლეობას თანამედროვე, დახვეწილ და, რაც მთავარია, მარტივ მომსახურებას სთავაზობს. ახალი ავტომობილების შეძენა მოსახლეობის უმრავლესობისთვის პრობლემას წარმოადგენს. ჩვენი მიზანია, მათ ეს პრობლემა გავუმარტივოთ და უკეთესად ცხოვრების საშუალება მივცეთ,"** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ გუშინ "GTC"-ში გამართულ პრეზენტაციაზე.

საქართველოს ბანკი "ავტო+"-ის კლიენტებს ავტომობილების საკმაოდ ფართო არჩევანს აძლევს. კერძოდ, "ავტო+"-ით დაინტერესებულებს შემდეგი მარკის ავტომობილების შეძენა შეეძლებათ: "ოპელი", "ტოიოტა", "ვოლვო", "მერსედესი", "BMW", "პეჟო", "რენო", "ჰონდა", "აუდი", "ფოლკსვაგენი" და "ლადა ვაზი". მოდელების მიხედვით, ახალი ავტომობილისთვის ყოველთვიური გადასახდელი თანხა 102 დოლარიდან იწყება დაზღვევის გარეშე.

საინტერესო დეტალი - 12-თვიანი განვადების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი 0 პროცენტიდან იწყება.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილების განვადებით შეძენისას მყიდველი ავტომატურად ისარგებლებს სადებეტო VISA Electron ან MasterCard Maestro პლასტიკური ბარათებით, მობილ ბანკისა და ონლაინ გადახდების მომსახურებით. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი შესაძლებელია სადებეტო ბარათზე მზარდი ოვერდრაფტების დაშვება და საკრედიტო ბარათების მიღება. არჩევითობის პრინციპით, კლიენტებს სხვა მთელი რიგი საბანკო და სადაზღვევო პროდუქტებით სარგებლობის საშუალებაც მიეცემა.

სესხის დამტკიცების პროცედურაც საკმაოდ მარტივად გამოიყურება - საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 2 დღეში სესხი დამტკიცებულია, უზრუნველყოფის დოკუმენტირების პროცესს კი თავად "საქართველოს ბანკი" მოგიგვარებთ.

ერთი თვის განმავლობაში, სავაჭრო ცენტრ "GTC"-ში საქართველოში ყველაზე დიდი ავტოგამოფენა მოეწყობა, სადაც წამყვანი ევროპული და რუსული წარმოების ახალი ავტომობილები იქნება წარმოდგენილი. ავტოგამოფენა "საქართველოს ბანკის" ახალ პროდუქტს "ავტო+"-ს პოპულარიზაციას გაუწევს.

# იყიდება... ზარაფხანა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შპს "თბილისის საიუველირო ქარხნის" შესყიდვის მსურველთაგან ინტერესის გამოხატვისა და საინვესტიციო წინადადებების მიღებას ელის.

წინადადებების მიღების ბოლო ვადა 31 მაისის 6 საათია. სამინისტროში ჯერჯერობით არც ერთი განაცხადი შესული არ არის, თუმცა ინტერესი დიდია.

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი 14 მაისს პირადად ეწვია "თბილისის საიუველირო ქარხანას". იგი გაეცნო ქარხნის მდგომარეობას და შეხვდა მის ხელმძღვანელობას.

როგორც ალექსიშვილმა განაცხადა, ქარხანა ტექნოლოგიურად და ფინანსურად სტაბილურია და გააჩნია სრული პოტენციალი, რომ მსხვილი ინვესტორები მოიზიდოს, თუმცა იმისათვის, რომ კომპანიამ სრულ სიმძლავრეებს მიაღწიოს, საჭიროა დიდი ინვესტიციების განხორციელება.

**"საქართველოს საიუველირო წარმოების საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. ქვეყანამ უნდა დაიბრუნოს თავისი ადგილი მსოფლიო ბაზარზე,"** - განაცხადა მინისტრმა.

შპს "თბილისის საიუველირო ქარხანა" თბილისში მდებარეობს. მისი საწესდებო კაპიტალი 8101 484 ლარს შეადგენს; შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 15 320 კვ.მ.-ს მოიცავს. მისი ნაწარმი ძირითადად საქართველოსა და რუსეთის ბაზარზე იყიდება;

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში იმედს გამოთქვამენ, რომ საპრივატიზაციო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდი იქნება. გამარჯვებული კომპანია 1 ივნისს კონკურსის საფუძველზე გამოვლინდება.

*24 საათი*

### პოლონეთის ზარაფხანა საქართველოსთვის სამახსოვრო მონეტებს მოჭრის

პოლონეთის ზარაფხანა 20 ათას ცალ სამახსოვრო მონეტას მოჭრის, რომლის ავერსზეც ქართული წეს-ჩვეულების ამსახველი ფრაგმენტი გამოისახება.

პროექტს მთლიანად პოლონეთის ზარაფხანა აფინანსებს. საქართველოს ეროვნული ბანკი საკომისიოს სახით თითოეულ რეალიზებულ მონეტაზე 2 ევროს მიიღებს და უფასოდ 100 ცალ მონეტას.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ პოლონეთის ზარაფხანის ეს შემოთავაზება მოიწონა. ის ხელს შეუწყობს ქვეყნის საზღვრებს გარეთ ქართული კულტურის პროპაგანდას. თანაც, ეროვნული ბანკის საბჭოს შეფასებით, პროექტი ფინანსური თვალსაზრისითაც ხელსაყრელია.

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და პოლონეთის ზარაფხანას შორის თანამშრომლობის ტრადიცია არსებობს; მაგალითად, 2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით უკვე გაფორმებულია კონტრაქტი 50 ათასი სამახსოვრო მონეტის მოჭრის თაობაზე. დღეისთვის მოჭრილია 5 ათასი ცალი მონეტა, რის შედეგადაც ეროვნულმა ბანკმა კონტრაქტით გათვალისწინებული 10 ათასი ევროს მოცულობის საკომისიო და უფასოდ 200 ცალი მონეტა მიიღო.

მონეტის ერთ მხარეს ქართული ეროვნული ხუთჯვრიანი დროშაა გამოსახული, რომელიც მთელ მსოფლიოში უკვე ვრცელდება.

აღნიშნული პროექტი საქართველოს პოპულარიზაციას ემსუხურება, - აცხადებენ საქართველოს ეროვნულ ბანკში. **მედია-ნიუსი**

### სომხეთიდან დენის იმპორტი შეწყდება

მომავალი კვირიდან საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია სომხეთიდან დენის იმპორტს შეწყვეტს.

როგორც კომპანიაში განაცხადეს, იმპორტის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სომხური დენის გაძვირებამ გამოიწვია. კერძოდ, თუ კომპანია აქამდე სომხეთიდან 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიას 2,68 ცენტად ყიდულობდა, "არმროსგაზპრომმა'' ამიერიდან მას 6,8 ცენტის გადახდა მოსთხოვა.

ამ ცვლილებას სომხური მხარე დრამთან მიმართებაში დოლარის კურსის შემცირებით ხსნის.

როგორც სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში აცხადებენ, დენის იმპორტის შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი ადგილობრივი ელექტროენერგიის საკმარისი რაოდენობით მარაგის არსებობაც გახდა. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობა, რომელიც სომხეთიდან შემოტანილი დენით მარაგდებოდა, ამიერიდან ადგილობრივ დენს მიიღებს.

გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას სომხეთიდან დღე-ღამეში საშუალოდ 30 მეგავატი ელექტროენერგია შემოჰქონდა, რომელიც აშოტცკი-ნინოწმინდისა და ლალვარის გადამცემი ხაზებით შემოედინებოდა.

ცნობისთვის: სომხეთიდან დენის იმპორტი ცოტა ხნის წინათ თელასმაც შეწყვიტა. ამის მიზეზი მისი გაძვირება გახდა. **მედია-ნიუსი**

### ტესტირება საბაჟო დეპარტამენტში

საბაჟო დეპარტამენტის კვალიფიცირებული კადრებით შევსების მიზნით სტაჟიორებმა ტესტირება გაიარეს. საბაჟო დეპარტამენტში სტაჟირების გავლის 140-მა მსურველმა გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს ზოგად უნარჩვევებში გამოცდა ჩააბარა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ტესტირების მიმდინარეობას ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი და საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ ანთელიძე ესწრებოდნენ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, კვალიფიციური კადრებით დეპარტამენტის შევსება მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან სისტემას "ახალი სისხლი" სჭირდება. "სტაჟიორებს დიდი როლი ეკისრებათ, მათ უნდა შექმნან თვისობრივად ახალი ინსტიტუტი. მათი დამსახურებით მებაჟის ფუნქცია საპატიო უნდა გახდეს, რადგან მებაჟე სახელმწიფოს სახეა," - განაცხადა ჩეჩელაშვილმა.

ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში სტაჟიორები საბაჟო დეპარტამენტში თეორიულ და პრაქტიკულ კურსს ექვსი თვის განმავლობაში გაივლიან, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში კი დეპარტამენტში სამუშაოდ დარჩებიან. **ინტერ-პრესი**

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოწვევა ინტერესთა გამოხატვისთვის

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს ქვემოთჩამოთვლილი კომპანიების შესაძლო საპრივატიზაციო კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მზადყოფნის დამადასტურებელი განაცხადების მიღებას

**ს.ს. "რიონჰესი"**

ქუთაისი. საწესდებო კაპიტალი 7 391 073 ლარი. დადგმული სიმძლავრე 48 მგვტ. სახელმწიფო წილი-100%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

**ს.ს "გუმათჰესების კასკადი"**

ქუთაისი. საწესდებო კაპიტალი 1 966 732 ლარი. დადგმული სიმძლავრე 44 მგვტ. სახელმწიფო წილი-100%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

**ს.ს "ლაჯანურჰესი"**

ცაგერი. საწესდებო კაპიტალი 2 391 791 ლარი. დადგმული სიმძლავრე 112 მგვტ. სახელმწიფო წილი-100%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

**ს.ს "ძევრულჰესი"**

თერჯოლა. საწესდებო კაპიტალი 919 786 ლარი. დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ. სახელმწიფო წილი-98,45%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

**ს.ს "შაორჰესი"**

ტყიბული. საწესდებო კაპიტალი 1 735 390 ლარი. დადგმული სიმძლავრე 38 მგვტ. სახელმწიფო წილი-100%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

**შპს "აწჰესი"**

ქედა. საწესდებო კაპიტალი 841 284 ლარი. დადგმული სიმძლავრე 16 მგვტ. სახელმწიფო წილი-100%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტრო ენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

**შპს "აჭარის ენერგოკომპანია"**

ბათუმი. საწესდებო კაპიტალი 27 809 464 ლარი. სახელმწიფო წილი-100%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტროენერგიის დისტრიბუცია.

**ს.ს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია"**

თბილისი. საწესდებო კაპიტალი 59 032 782 ლარი. სახელმწიფო წილი-100%. საქმიანობის ძირითადი მიმართულება -ელექტროენერგიის დისტრიბუცია.

**პრივატიზაციის პროცესი**

პრივატიზაცია წარიმართება დადგენილი წესის მიხედვით. დაინტერესებულმა ინვესტორებმა 2005 წლის 1 ოქტომბრის 18.00სთ-მდე (საქართველოს დროით) წერილობით უნდა გამოხატონ სურვილი და დაადასტურონ მზადყოფნა ჩამოთვლილი ობიექტების შესაძლო საპრივატიზაციო კონკურსში მონაწილეობის შესახებ. წერილი შეიძლება შედგეს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ერთ-ერთზე) და დროულად გადმოიგზავნოს მისამართზე: საქართველო, თბილისი, რუსთაველის N12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დაინტერესებულმა ინვესტორებმა დეტალური საპრივატიზაციო წინადადებები უნდა წარმოადგინონ მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შემდეგ.

# დაუბრუნებს თუ არა ევროსასამართლო ქართველ დევნილებს დაკარგულ ქონებას

პირველი გვერდიდან

**"აფხაზეთის ომის დროს ავტონომიური რესპუბლიკა 300 ათასმა ადამიანმა დატოვა. არაფერი რომ აღარ ვთქვათ ომის თანმხლებ კოშმარზე, რომელიც ამ ხალხმა გაიარა, ისინი აბსოლუტურად გალატაკებულნი აღმოჩნდნენ და მათი დიდი ნაწილი დღემდე უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება. არადა, ეს ადამიანები წლების განმავლობაში აგროვებდნენ ქონებას და აფხაზეთში არცთუ ცუდად ცხოვრობდნენ. დღეს ამ ქონებაზე აღარავინ აგებს პასუხს და მის დასაბრუნებლად ნამდვილ მესაკუთრეს აღარანაირი მექანიზმი აღარ გააჩნია,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქეთევან მეხუზლას ადვოკატმა პავლე ბერიამ, რომელიც დარწმუნებულია, რომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების ქონებაზე ერთნაირად არის პასუხისმგებელი საქართველოც და რუსეთიც, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ დე ფაქტო განაგებს აფხაზეთს. თუმცა, არც ერთი მხარისთვის დევნილთა ქონება დღეს აქტუალური აღარ არის; მეტიც, იმისათვის, რომ საქართველო აღნიშნული პრობლემის წამოჭრისგან დაცული ყოფილიყო, თავის დროზე ხელისუფლებამ დაზარალებულ მოქალაქეებს საკანონმდებლო ბარიერი დაუპირისპირა.

საქმე ის გახლავთ, რომ 1999 წლის 20 მაისს საქართველო შეუერთდა "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას", რომლის შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება, დაიცვას მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის კონვენციით და მისი ოქმით გათვალისწინებული უფლებები.

**"ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს, დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესი მოითხოვს,"** - აღნიშნულია კონვენციაში.



ევროსასამართლო

საქართველოს პარლამენტმა კი დასახელებული კონვეციის რატიფიცირების შესახებ დადგენილებაში ერთგვარი დათქმა ანუ თავდაცვის გარანტია ჩადო: **"პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება არ გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებსაც, "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული აქვთ ან მიენიჭებათ დევნილის სტატუსი ამ სტატუსის გარემოებების აღმოფხვრამდე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე,"** - ასეთია ქართული მხარის ვერდიქტი.

**"საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ აღნიშნული განცხადება კეთდება იმიტომ, რომ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა სეპარატისტული რეჟიმების მიერ კონვენციის და მისი ოქმების დებულებების დარღვევაზე. საქართველოს ხელისუფლება ამ განცხადებით აფხაზეთის ტერიტორიას დაუცველ სამართლებრივ სივრცეში ტოვებს; შესაბამისად, ამ ტერიტორიის მოსახლეობა სეპარატისტული ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერი ძალების თვითნებობის მსხვერპლი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო უარს აცხადებს სახელმწიფოს უფლება-ვალდებულებებზე, რაც ნებისმიერი სუვერენული ქვეყნისთვის სავალდებულოა,"** - აღნიშნავს პავლე ბერია ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოში გაგზავნილ წერილში.

მიუხედავად იმისა, რომ, მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია საერთაშორისო კანონმდებლობების ამა თუ იმ მოთხოვნაზე დათქმა გააკეთოს, ქართველმა დევნილებმა საქართველოს პარლამენტის მიერ "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" მიმართ გაკეთებული დათქმა უკანონოდ მიიჩნიეს და იგი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს, თუმცა - უშედეგოდ. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო პარლამენტის მიერ გაკეთებული აღნიშნული დათქმა.

**"უნდა აღინიშნოს, რომ ოთხკაციან სასამართლო კოლეგიაში ხმები თანაბრად გაიყო - ანუ თუ ორი მოსამართლე კანონიერად მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, ორი თვლის, რომ დევნილებს საკუთარი ქონების დაბრუნების უფლება აქვთ,** - ამბობს პეტრე ბერია და დასძენს, - **საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით საქართველოს ხელისუფლებას, პრაქტიკულად, კიდევ ერთხელ ააცილა თავიდან პასუხისმგებლობა სეპარატისტული რეჟიმის მიერ დაზარალებული საკუთარი მოქალაქეების მიმართ. თუმცა, ჩვენი აზრით, მიუხედავად აღნიშნული დათქმისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, საქართველო მაინც რჩება პასუხისმგებლად. პარლამენტის მიერ გაკეთებული განცხადება-დათქმა არ აკმაყოფილებს კონვენციის 57-ე მუხლის მთელ რიგ მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ევროკონვენციის მონაწილე სახელმწიფოს კონვენციაზე ხელის მოწერისას შეუძლია გააკეთოს დათქმა, თუკი მის ტერიტორიაზე ძალაში არსებული რომელიმე კანონი არ შეესაბამება კონვენციის შესაბამის დებულებას. ამასთან, აღნიშნული მუხლით, დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმების გაკეთება და იგი უნდა შეიცავდეს მოკლე განცხადებას კანონის თაობაზე,"** - ასეთია ქართველი ადვოკატების პავლე ბერიას, ქეთევან მეხუზლას (დაზარალებულის შვილიშვილი) და ნათია კაციტაძის არგუმენტი, რაც მათთვის სტრასბურგში "ჩივილის" საბაბი გახდა.

ადვოკატები დარწმუნებულები არიან, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო ქართველი დევნილის პრობლემას დადებითად გადაწყვეტს. ამის პირველი პირობა არის ის, რომ სტრასბურგის სასამართლომ ქეთევან მეხუზლას განცხადება რეგისტრაციაში უკვე გაატარა - ანუ შესაძლებლად მიიჩნია მისი განხილვა, და მეორეც - ადვოკატებს ოპტიმიზმის საბაბს აძლევს თავად ევროსასამართლოს მიერ სხვა ანალოგიურ შემთხვევებში გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილებები.

**"რუსეთი რომ აფხაზეთს განაგებს, ამის უამრავი დამამტკიცებელი საბუთი არსებობს, რაც სტრასბურგის სასამართლოში წარვადგინეთ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ამ ქვეყანასაც უნდა დაეკისროს. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის დათქმას, იგი იმდენად უკანონო და სუსტია, რომ მას არავითარი ძალა არ გააჩნია; მეტიც, ანალოგიურ შემთხვევაში, მოლდაველებს გაცილებით ძლიერი დათქმა ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ევროსასამართლომ არც ის მიიჩნია კანონის ძალის მქონედ,"** - ამბობს პავლე ბერია.

## "თავისუფლების ინსტიტუტი" სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელთა პასუხისგებაში მიცემას კვლავ მოითხოვს

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძისა და მისი ხელქვეითების პასუხისგებაში მიცემას კვლავ ითხოვს. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე შოთა კოპაძეს ამჯერად, ადამიანის უკანონო პატიმრობაში ადანაშაულებს.*

თეა თუთბერიძის ინფორმაციით, 25 წლის ალექსანდრე ტოროსიანი თბილისის N1 საპყრობილეში სასჯელს ნარკოტიკების მოხმარებისთვის იხდიდა, ცხრათვიანი პატიმრობის ვადა მას 10 მაისს ამოეწურა, თუმცა პატიმარი ხუთი დღის დაგვიანებით, 15 მაისს ღამის სამ საათზე გაათავისუფლეს და ისიც, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში თეა თუთბერიძე ჩაერია.

თუთბერიძის თქმით, ციხის ადმინისტრაციამ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ იცოდნენ, რომ ტოროსიანს საპატიმრო ვადა 10 მაისს ამოეწურა, თუმცა, როგორც ისინი აცხადებენ, გენერალური პროკურატურიდან მათ მიუვიდათ მოთხოვნა პატიმრის საპყრობილეში დაყოვნების თაობაზე, რათა მისი გათავისუფლების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება გასაჩივრებულიყო. არადა, პროკურატურას გასაჩივრების პროცესუალური ვადა ამოწურული ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ ტოროსიანის გათავისუფლების თაობაზე გამოტანილი განაჩენი კანონიერ ძალაში იყო შესული.

"მას შემდეგ, რაც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ტოროსიანი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, მივმართე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, გენერალური პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს. სხვათა შორის მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ განმიცხადა, ახლა შუაღამეა და ვერაფერს გავაკეთებო, ბოლოს იუსტიციის მინისტრთან მოვახერხე დაკავშირება და ტოროსიანის გათავისუფლებასაც მივაღწიეთ. ამ შემთხვევაში თვალნათლივ ჩანს კოპაძის დანაშაული, ამიტომაც, კატეგორიულად ვითხოვთ, პირველ რიგში, პასუხისგებაში მიეცეს შოთა კოპაძე, მერაბ ჩახაია, ზედამხედველი პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი, სხვათა შორის, გრიგალაშვილი და კოპაძე შეხმატკბილებულები მოქმედებენ და ეს უნდა დასრულდეს. იმ ადამიანებმა, ვინც ტოროსიანი ხუთი დღე უკანონო პატიმრობაში ამყოფა, დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ თანამდებობები," – აცხადებს თეა თუთბერიძე, რომლის საპასუხოდაც გენერალურმა პროკურატურამ გუშინვე ოპერატიულად მოაწყო პრესკონფერენცია.

გენერალური პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს N1 საპყრობილის ხელმძღვანელის მერაბ ჩახაიას პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძის განცხადებით, ალექსანდრე ტოროსიანი სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ, საპყრობილეში უკანონოდ იმყოფებოდა. „ამის გამო დადგება ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვისაც უშუალოდ ევალებოდა შესაბამის ვადებში პატიმრის გათავისუფლება," – განაცხადა კახა კობერიძემ, რომლის თქმითაც, ტოროსიანის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით პროკურატურამ მოკვლევა უკვე დაიწყო.

**„ასეთი მოკვლეული საქმეები უამრავი მინახავს და არც ერთ მათგანს შედეგი არ მოყოლია, ადამიანი რამდენიმე დღე უკანონო პატიმრობაში ჰყავდათ და ეს სირცხვილია. შოთა კოპაძემ, მისმა მოადგილეებმა, გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა ამის გამო პასუხი აუცილებლად უნდა აგონ,"** – ასეთია თეა თუთბერიძის კატეგორიული პოზიცია.

სხვათა შორის, თეა თუთბერიძე შოთა კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხს პირველად არ აყენებს, მან არაერთხელ მოითხოვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება, მეტიც, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. კოპაძის გადაყენების რეკომენდაციით იუსტიციის მინისტრს არასამთავრობო ორგანიზაციათა მრჩეველთა საბჭომაც მიმართა. მსგავსი მოთხოვნით ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც გამოვიდა, როცა ომბუდსმენმა პარლამენტს ანგარიში ჩააბარა და საპატიმროებში არსებული საგანგაშო სიტუაციის თაობაზე ისაუბრა. თუმცა, თეა თუთბერიძისა და სოზარ სუბარის მოთხოვნებს შედეგი არ მოჰყოლია. ამის მიზეზად ქვეყნის პირველი პირის – საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია მოჰყავთ, რომელსაც თურმე, საპატიმროებში დესტაბილიზაციის დაწყების ეშინია და შოთა კოპაძის გათავისუფლებისგან ამიტომაც იკავებს თავს.

**"შოთა კოპაძე, ადამიანი, რომელიც კანონიერ ქურდებთანაა ალიანსში და ისე მართავს ციხეს, კარგა ხნის წინ უნდა გაეთავისუფლებინათ და მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დაესვათ, ჩვენ ამას გიორგი პაპუაშვილის იუსტიციის მინისტრობის დროსაც ვითხოვდით. ჩემთვის ცნობილია, რომ პაპუაშვილიც იგივე აზრისა იყო, მაგრამ სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწია.**

**უბრალოდ, სირცხვილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობდეს შოთა კოპაძე, სირცხვილია, საპატიმრო დაწესებულების დირექტორი იყოს მერაბ ჩახაია და სხვები, რომლებიც უბრალოდ, კრიმინალები არიან. არსებობს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტს ციხეში დესტაბილიზაცია არ სურს და ამიტომაც არ უშვებს კოპაძეს; მესმის პრეზიდენტისა, რადგან ცნობილია, როგორ აწყობდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნები ციხიდან გაქცევებს, ხელოვნურად ქმნიდნენ დესტაბილიზაციის საშიშროებას. თუმცა, უბრალოდ, სამარცხვინოა, თუ სახელმწიფო ხარ, თუ ხელისუფლება გქვია და ქვეყნის მართვაზე პრეტენზია გაგაჩნია, გეშინოდეს კოპაძის მოხსნის, რადგან მან დესტაბილიზაცია არ მოაწყოს. ხელისუფლებას იმდენი ძალა უნდა გააჩნდეს, რომ კოპაძისნაირების არ ეშინოდეს. არადა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ქვეყანაში სიტუაცია იმართება ციხიდან, დანაშაულის უმეტესობა ციხიდანაა მართული, ციხეში სიტუაციას განაგებენ კანონიერი ქურდები და არაფერი შეიცვლება მანამდე, სანამ იქნებიან კოპაძე და მისი ხელქვეითები. სანამ არ მოხდება სისტემური ცვლილება, პენიტენციურ სისტემას არაფერი ეშველება. მისი დალაგება კი, პირველ რიგში, შოთა კოპაძისა და მისნაირების იზოლაციით უნდა დაიწყოს,"** – აცხადებს თეა თუთბერიძე.

სხვათა შორის, აქვე უნდა ითქვას, რომ ორთაჭალის ციხის ახლადდანიშნული უფროსი მერაბ ჩახაია, რომლის პასუხისგებაში მიცემაც გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ იწინასწარმეტყველა, ის ადამიანია, რომლის იმიჯიც დადებითი შტიხებით გამორჩეული არ გახლავთ. მერაბ ჩახაიას ბიოგრაფიას ამძიმებს 1995-1996 წლები, როცა ის შსს-ს ავადსახსენებელი წინასწარი დაკავების საკნის უფროსი გახლდათ, სადაც იმ პერიოდში ადამიანთა ცემა-წამების უსასტიკეს მეთოდებს იყენებდნენ და სადაც გამეფებულ ძალადობას არა ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სხვათა შორის, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ორთაჭალის ციხის მე-6 კორპუსზე, ე.წ. ფაშისტების კორპუსზე, რამდენიმე დღის წინ, შუაღამისას, პატიმართა დარბევის ოპერაცია ჩატარდა - თავდაყირა დააყენეს კორპუსი, შეურაცხყოფა მიაყენეს პატიმრებს, ფაქტობრივად, გააშიშვლელს ისინი და დაამტვრიეს მათი საცხოვრებელი საკნები. როგორც პატიმრები ამბობენ, მას შემდეგ, რაც მერაბ ჩახაია ციხის უფროსია, მსგავსი სისასტიკის ოპერაციები შუაღამისას ტრადიციულად ტარდება.

აქვე სათქმელია ისიც, რომ მერაბ ჩახაიას რეაბილიტაციასთან ერთად, სამსახურში აღადგინეს ციხიდან რამდენჯერმე გაგდებული ავთო თორდინავა, მას პატიმრებმა ზედმეტსახელად "ლოქოც" კი შეარქვეს, რადგან მისი ბოლო გაგდების მიზეზი პატიმრებისთვის განკუთვნილი საკვები თევზის მოპარვა გახდა, გენერალურმა ინსპექციამ მას თევზი საბარგულიდან ამოუღო. ავთო თორდინავა, ამჟამად, სარეჟიმო განყოფილების უფროსის მოვალეობას ასრულებს.

*24 საათი*

### პრეცედენტი

## ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ

ლოიზიდუს გახმაურებულ საქმეს მეხუზლას საქმესთან ის აქვს საერთო, რომ ორივე საკუთარი სამშობლოდან იძულებით გადაადგილებული პირების ქონებას ეხება.

1974 წელს, კვიპროსზე თურქების შეჭრის გამო, ტიტინა ლოიზიდუ იძულებული გახდა, მიეტოვებინა საკუთარი სახლი, რომელიც თურქების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. მას შემდეგ თურქებს მისთვის საკუთრებით სარგებლობის საშუალება არ მიუციათ.

ლოიზიდუმ ევროკონვენციის 57-ე მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოში სარჩელი შეიტანა თურქეთის წინააღმდეგ და, საკუთარი ქონებით სარგებლობის საშუალების მოსპობის გამო, ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. ევროსასამართლომ ჯერ კიდევ 1996 წელს დააკმაყოფილა ლოიზიდუს სარჩელი და თურქეთს ზიანის ანაზღაურება დაავალა. თუმცა, თურქეთის ხელისუფლებამ ვერდიქტის აღსრულებაზე უარი განაცხადა და უარის მიზეზად პოლიტიკური მოტივები დაასახელა. ამას მოჰყვა 1998 წელს ევროსასამართლოს მიერ ლოიზიდუს საქმეზე გამოტანილი მეორე გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც, თურქეთს ერთი მილიონი დოლარის ოდენობის თანხის გადახდა დაეკისრა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას თურქეთის ხელისუფლება ხუთ წელიწადს წელავდა, ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილმა მაინც გადაადგმევინა ეს ნაბიჯი და 2003 წელს ტიტინა ლოიზიდუს 1,1 მილიონი დოლარის ოდენობის თანხა გადაუხადა.



ლოიზიდუ

ამჟამად კვიპროსის ჩრდილოეთში თვითაღიარებული ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა ფუნქციონირებს. ამ ტერიტორიაზე წინათ მცხოვრები ათიათასობით ბერძენი ლტოლვილის ქონება თურქებმა მიითვისეს და იქ ახლა თურქეთიდან ჩასახლებული ხალხი ცხოვრობს.

## ილაშკუ რუსეთისა და მოლდოვას წინააღმდეგ

მართალია, ილიე ილაშკუს საქმე ქონებას არ ეხებოდა, მაგრამ, მეხუზლას საქმესთან მიმართებაში, პრეცედენტად იმდენად გამოდგება, რამდენადაც ილაშკუს სარჩელი ორი ქვეყნის წინააღმდეგ იყო შეტანილი – ერთი მხრივ რუსეთის, როგორც იმ ტერიტორიის ფაქტობრივი მმართველის, სადაც მისი უფლებები დაირღვა, და მეორე მხრივ მოლდოვასი, რომლის იურისდიქციაში შედის ეს ტერიტორია. საქმე ეხებოდა დნესტრისპირეთს, სადაც რუმინეთის პარლამენტის წევრმა ილიე ილაშკუმ რვა წელიწადზე მეტი ციხეში დაჰყო. ილაშკუ და მისი სამი მეგობარი დნესტრისპირეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სამართალდამცველებმა, ტერორიზმის ბრალდებით, 1993 წელს დააკავეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მაგრამ, 2001 წელს ის შეიწყალეს და რუმინეთის ხელისუფლებას გადასცეს. სამშობლოში დაბრუნებულმა ილაშკუმ სტრასბურგის სასამართლოს მიმართა. მან სარჩელი დნესტრისპირეთის ფაქტობრივ მმართველ – რუსეთთან ერთად, მოლდოვას წინააღმდეგაც აღძრა, რომლის შემადგენლობაშიც ფორმალურად შედის დნესტრისპირეთი.



ილაშკუ

როგორც ცნობილია, ევროსასამართლო, ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, ამა თუ იმ ქვეყნის პასუხისმგებლობას განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დარღვევა ამ ქვეყნის ევროკონვენციასთან მიერთების შემდეგ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ილაშკუს პატიმრობის წლებში რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მიერთებული ევროკონვენციას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, ევროსასამართლომ არა მარტო განიხილა ილაშკუს სარჩელი, არამედ - დააკმაყოფილა კიდეც; მეტიც, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩაიწერა დებულებები, რომლებიც მეხუზლას საქმეს უშუალოდ ეხება, კერძოდ: "როცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფო უუნაროა, განახორციელოს თავისი ძალაუფლება ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე, *დე ფაქტო* მდგომარეობიდან გამომდინარე, ანუ, როდესაც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილში დამყარებულია სეპარატისტული რეჟიმი, მიუხედავად იმისა, სდევს თუ არა ამას სხვა სახელმწიფოს სამხედრო ოკუპაცია, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს, განახორციელოს კონვენციის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული იურისდიქცია ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც დროებით ექვემდებარება ადგილობრივ ხელისუფლებას აჯანყებული თუ სხვა სახელმწიფოს მხარდაჭერით".

რუსეთის ხელისუფლებამ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, სწორედ ევროკონვენციასთან მიერთების ვადების გამო გააპროტესტა, მეორე მიზეზი კი ის გახლდათ, რომ რუსეთის ხელისუფლების განცხადებით, საფუძველი ამ გადაწყვეტილებისა - თითქოს, რუსეთი ფაქტობრივად მართავს დნესტრისპირეთს - მცდარია. მიუხედავად ამ არგუმენტებისა, რუსეთის ხელისუფლება ევროსასამართლოს მიერ დაკისრებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმას ვერ რისკავს. ევროსასამართლოსთვის გაწეული მსგავსი ურჩობა, ევროკანონმდებლობის თანახმად, საკმაოდ მკაცრად ისჯება და ამის პრეცედენტი დღემდე არ არსებობს.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________
________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი................................

საკონტაქტო ტელეფონი................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] 45 [illegible] "24 საათის" [illegible]
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible] გაზეთის ბოლო [illegible]: თბილისი, წერეთლის გამზ. 77, იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში* **economics@24hours.ge (tel: 20-24-24)** *ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე* **energy@ecm.ge**, *ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე* **maya_u@gol.ge**.

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

**ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.**

# ექსპერტები ბენდუქიძეს შრომას უწუნებენ

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმირების ბენდუქიძისეული გზით განხორციელებაზე აღარ საუბრობს, რეფორმის სახელმწიფო მინისტრისეული ვარიანტი ექსპერტთა ყურადღებასა და, გარკვეულწილად, მღელვარებას, დღემდე იმსახურებს.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" მუდმივად უკავშირდებიან ექსპერტები, რომლებსაც საკუთარი მოსაზრებები აქვთ სექტორის რეფორმირებასთან დაკავშირებით. ზოგი მათგანი ბენდუქიძის მიერ წარმოადგენილ რეფორმების პროექტს მხარს უჭერს, ზოგი კი სასტიკად აკრიტიკებს მას.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენთვის მოწოდებულ ყოველ ექსპერტულ მოსაზრებაში ბევრი საინტერესოდ გათვლილი და მოფიქრებული სქემაა, რომელთა გამოყენებაზე ფიქრიც ზედმეტი არ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ დღეს ხელისუფლება ენერგოსექტორში ვითარების გამოსწორების მხოლოდ ერთ გზას – სადისტრიბუციო და გენერაციის ბაზრის ერთდროულ და სწრაფ პრივატიზებაში ხედავს.

დღეს გთავაზობთ ორი ექსპერტის მოსაზრებებს, რომლებიც ბენდუქიძისეული ენერგორეფორმის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, უკიდურესად კრიტიკულები არიან.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტები მათ მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრებები საინტერესო უნდა იყოს როგორც დარგის მომავალი მოწყობით დაინტერესებული პირებისთვის, ისე იმ ენერგოკომპანიებისთვისა და ენერგოსტრუქტურებისთვის, რომელთა ერთობლივმა, კანონიერმა და ეკონომიკურად ეფექტურმა მოღვაწეობამაც ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგი კრიზისის მუდმივი საშიშროებისგან უნდა იხსნას.

ექსპერტთა აზრით

# ბუნებრივი მონოპოლიები: მითი და სინამდვილე

დემურ ჩომახიძე
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძისეულ ენერგორეფორმების გეგმას საფუძვლად დაედო ისეთივე ზოგადი პრინციპები, როგორიც ეს ეკონომიკის ნებისმიერ დარგში შეიძლება გაკეთებულიყო. არადა, ელექტროენერგეტიკა განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს, რადგან იგი ბუნებრივი მონოპოლიის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს. ჩვენს შეკითხვაზე, იცნობს თუ არა იგი "ბუნებრივი მონოპოლიის" ცნებას, მან მოკლედ მოჭრა - "ეს სოციალისტების მოგონილიაო".

შევეცდებით, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მოსაზრება ბუნებრივი მონოპოლიებისა და იმ თავისებურებების შესახებ, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობთ, აუცილებელია ასეთი დარგების სამეურნეო საქმიანობაში ნებისმიერი ჩარევის დროს.

ტერმინი "მონოპოლია" ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ისეთი სახეობის საქმიანობის განხორციელებას, რომელიც მიცემული აქვს მხოლოდ გარკვეულ პიროვნებას, პირთა ჯგუფს ან სახელმწიფოს. ხშირ შემთხვევაში, იგი წარმოიშვება ბუნებრივად ან ეკონომიკური სუბიექტების მიერ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე კონკრეტულ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად გაბატონებული მდგომარეობის დაკავებით.

მონოპოლიის გაჩენის სამი მიზეზი არსებობს:

- ძირითად რესურსს ერთი ფირმა ფლობს;
- სახელმწიფო ერთ ფირმას აძლევს რაიმე საქონლის წარმოების ექსკლუზიურ უფლებას;
- წარმოების დანახარჯები ისეთია, რომ ერთი მწარმოებელი უფრო ეფექტურად მუშაობს, ვიდრე მწარმოებელთა მეტი რაოდენობა.

მონოპოლიურ სიტუაციაში შეთავაზებული პროდუქციის მოცულობა მოთხოვნაზე ბევრად ნაკლებია. ეს ხელს უწყობს მონოპოლისტ კომპანიას დააწესოს პროდუქციის თვითღირებულებაზე ბევრად მაღალი ფასი და მიიღოს იმაზე ბევრად დიდი მოგება, რაც შესაძლებელი იქნებოდა კონკურენტული ბაზრის არსებობის პირობებში. საბოლოო ანგარიშში, ცხადია, ეს უარყოფითად აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების დონეზე.

მონოპოლია მეტწილად ყალიბდება ან კონკურენტულ ბრძოლაში, ან სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტური ხელშეწყობით, ანუ, ხელოვნურად. ბუნებრივი მონოპოლია მონოპოლიის ისეთი სახეა, რომლის გარეშე რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, მონოპოლია ბუნებრივად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ყალიბდება, რასაც წარმოებული პროდუქცია ან მომსახურების ბუნება განაპირობებს.

"ბუნებრივი მონოპოლიის" ცნება პირველად 1838 წელს იქნა გამოყენებული ფრანგი მათემატიკოსის, ეკონომისტისა და ფილოსოფოსის ა. კურნოს მიერ. გამოკვლევა ეხებოდა ბუნებრივი რესურსების გამოყენების კონტროლის დადგენის საკითხს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტერმინის დასახელებაც სწორედ ამ გამოკვლევის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული.

დარგი ბუნებრივი მონოპოლიაა, როდესაც ერთ ფირმას შეუძლია საქონლისა თუ მომსახურების მოცემულ ბაზარზე მიწოდება უფრო მცირე დანახარჯებით, ვიდრე ორ ან მეტ ფირმას. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ბუნებრივი მონოპოლია ისეთი მონოპოლიაა, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როცა ბაზარზე არსებობს მოცემული საქონლის მწარმოებელი ერთი ისეთი ფირმა, რომლის დანახარჯები მისაწოდებელი პროდუქციის ან მომსახურების ერთეულზე ნაკლებია, ვიდრე ის იქნებოდა ორი ან რამდენიმე ფირმის არსებობისას.

როდესაც ფირმა ბუნებრივი მონოპოლიაა, მას ნაკლებად ემუქრება მონოპოლიური ძალაუფლების შემცირება ბაზარზე ახალი ფირმების შესვლის შედეგად. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ისეთ ბაზარზე შესვლა, სადაც ერთ ფირმას ბუნებრივი მონოპოლია აქვს, არ არის სხვა ფირმებისთვის მიმზიდველი. პოტენციურმა შემსვლელებმა იციან, რომ ვერ შეძლებენ ასეთივე დაბალი დანახარჯებით მუშაობას, ვინაიდან ბაზარზე შესვლის შემდეგ თითოეულ ფირმას ბაზარზე მხოლოდ მცირე ნაწილი ერგება.

ბუნებრივი მონოპოლიის მაგალითებია ინფრასტრუქტურული დარგები: ენერგეტიკა, წყალმომარაგება, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება - განაწილება, სარკინიგზო ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები და სხვა. ბუნებრივი მონოპოლიის არსებობის დროს ბაზარზე პროდუქციის ერთი მიმწოდებლის საქმიანობა უფრო ეფექტიანია, ვიდრე რამდენიმე მიმწოდებლისა. ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში, როცა 2-3 კონკურენტი არსებობს, მათგან მხოლოდ ერთი "გადარჩება". მაგალითად, რა თქმა უნდა არაეფექტიანი იქნება, თუკი ერთ და იმავე ტერიტორიაზე ერთ და იგივე მომხმარებლებისათვის რამდენიმე კომპანია ააშენებდა ელექტროენერგიის რამდენიმე ქსელს ან გაიყვანდა რამდენიმე გამანაწილებელ მილსადენს. ცხადია, უმჯობესი იქნებოდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე აშენდეს ელექტროენერგიის ერთი გამანაწილებელი ქსელი ან გაყვანილ იქნეს ერთი გაზსადენი.

ბუნებრივ მონოპოლისტს პოტენციურად მით უფრო შეუძლია შეამციროს პროდუქციის (მომსახურების) ფასი, რაც უფრო მეტი პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და მიწოდების საშუალება აქვს.

აღიარებულია, რომ ნებისმიერი სფერო, რომელიც თეორიულად შეიძლება მიჩნეულ იქნას ბუნებრივ მონოპოლიად, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შემთხვევაში ბევრად უფრო ეფექტურად და ხარისხიანად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ვიდრე დერეგულაციის შემთხვევაში. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების მთავარი მიზანი მონოპოლიურად მაღალი ფასებისა და ცუდი სერვისისგან მომხმარებელთა დაცვაა.

უნდა განვასხვავოთ ბუნებრივი და ხელოვნური მონოპოლიების ნიშან-თვისებები და მათი რეგულირებისა და კონტროლის მეთოდები. დემოკრატიულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივ მონოპოლიას მიეკუთვნება ეკონომიკის ის დარგი ან დარგის ნაწილი, სადაც კონკურენცია ან საერთოდ არ არსებობს, ან გარკვეულწილად შეზღუდულია. ასეთი დარგის რეგულირების დანიშნულებაა შექმნას ქცევის ისეთი წესები, რომელიც ჰგავს საბაზრო წესებს. ამავე დროს რეგულირების ფორმა და მექანიზმი ისე უნდა შეირჩეს, რომ დაცულ იქნას როგორც მომხმარებლის, ისე მწარმოებლის ინტერესები.

ხელოვნური მონოპოლიის წარმოქმნა კი ეწინააღმდეგება ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას და შეეხება ეკონომიკის დარგების ცალკეულ საწარმოებს, რომლებიც ცდილობენ კონკურენტუნარიან ბაზარზე მიიღონ მონოპოლიური მდგომარეობა და ამით უკარნახონ მომხმარებელს თავიანთი პირობები, მათ შორის ფასების დონეები.

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება და ხელოვნური მონოპოლიების არწარმოქმნის კონტროლი ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი მოითხოვს რეგულირებას და ამ მიზნით სპეციალიზებული მარეგულირებელი ორგანოს შექმნას, ხოლო მეორე - კონტროლს, რომელიც შეიძლება შეასრულოს სახელმწიფო არასპეციალიზირებულმა, მათ შორის ადმინისტრაციულმა ორგანომ.

ბუნებრივი მონოპოლიები, ცხადია, არავის მოგონილია, რადგან ისინი რეალურად არსებობენ ბუნებაში. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები ასეთივე სახელწოდებით ფუნქციონირებენ. მაგ., აშშ-ში "ბუნებრივი მონოპოლიების" სახელწოდებით კომისიები არსებობენ როდ აილენდის (1839 წლიდან), მინესოტის (1871წ.), კოლორადოს (1885წ.), სამხრეთ დაკოტის (1886წ.), ოჰაიოს (1867წ.), ორეგონის (1887წ.), პენსილვანიის (1908წ.), კალიფორნიის (1911წ.) და ა.შ. შტატებში. იგივე დასახელების კომისიებია ყაზახეთში და მეზობელ სომხეთში.

ბუნებრივი მონოპოლიის დარგები წარმოადგენენ საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციისა და მომსახურების მიმწოდებლებს და სწორედ მათ გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, ჯანმრთელობა, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დარგების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საბოლოო მომხმარებლებამდე მაღალხარისხიანი მიწოდების უზრუნველყოფა.

**ქვეყანაში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გარანტია ხელისუფლების მხრიდან, რომ მას სურვილი აქვს და შეუძლია მიუკერძოებლად დაიცვას ინვესტორებისა და მომხმარებლების უფლებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილებები; ამასთან იგი ინვესტორების დარწმუნების კარგი მექანიზმია. ინვესტორისათვის აუცილებელია იმაში დარწმუნება, რომ პოლიტიკური პარტიების ნება-სურვილითა და პოლიტიკური კლიმატის ცვლილების შემთხვევაში მათი ინტერესები შელახული არ იქნება.**

**დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შექმნით ბუნებრივი მონოპოლიის დარგები თავს იზღვევენ პოლიტიკური ჩარევისაგან. კერძოდ, ასეთი ზეწოლისაგან უკეთაა დაზღვეული ტარიფები, აგრეთვე დარგში განსახორციელებელი სხვა ხასიათის რეგულირება; რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხდება (ცალკევდება) სახელმწიფოს ოპერატიულ-კომერციული და მარეგულირებელი ფუნქციები.**

**ამ დარგების რეგულირება საზოგადოებას მაქსიმალურად პრივილეგირებულს ხდის და მინიმალურ გადასახადებს აწესებს კონკურენციის არარსებობის პირობებში. კონკურენტუნარიანი ბაზრის მსგავსად, პროდუქცია მიეწოდება მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელსაც სურს და შეუძლია მომსახურების საფასურის გადახდა; სამაგიეროდ, ამ შემთხვევაში მისი ფასები უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე მონოპოლიის ან კონკურენციის არსებობის სხვა ალტერნატივების დროს.**

ცხადია, მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობა სრულიადაც არ ნიშნავს მის იზოლირებას ქვეყნის საერთო ინტერესებიდან. პირიქით, საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, "კომისია ვალდებულია თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ენერგეტიკის, ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკის, ბუნების დაცვისა და სხვა სფეროებში;

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება მარეგულირებელ ორგანოს დაბალანსების ურთულეს ამოცანას აკისრებს; მან ერთდროულად უნდა უზრუნველყოს როგორც მწარმოებლების (და მომსახურების გამწევთა), ასევე მომხმარებლების ინტერესების დაცვა. ცხადია, ეს იოლი საქმე არ არის. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების საჭიროების საილუსტრაციოთ სს "თელასის" მაგალითიც კმარა; კომპანია ითხოვს სემეკისაგან თითქმის ყოველწლიურად მოქმედი ტარიფის მნიშვნელოვან გაზრდას. ეს ვარიანტი მომგებიანია კომპანიისათვის, მაგრამ მიუღებელია მომხმარებლებისათვის; პირიქით, არსებობს მოსაზრებები თვით არსებული ტარიფის მკვეთრად შემცირების მიმართულებითაც, ამან კი შეიძლება "თელასის" საქმიანობის სრული პარალიზება გამოიწვიოს.

ეს საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია და რეგულირების გარეშე ვერ გადაწყდება. კომპანიას სურს, რომ ტარიფი რაც შეიძლება მაღალი იყოს, ხოლო მომხმარებლის ინტერესებშია მისი მინიმუმამდე შემცირება. მარეგულირებელმა ორგანომ, კი უნდა შეძლოს მხარეთა ინტერესების სწორი დაბალანსება, არ უნდა დაზიანდეს არც ერთი მხარის მოთხოვნები. აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ტარიფების ნებისმიერი შემცირება ყოველთვის როდია ხელსაყრელი საზოგადოებისათვის. ამით შეიძლება საპირისპირო შედეგები მივიღოთ - თანდათან შემცირდეს დარგის ეფექტიანობა და საბოლოოდ შეიძლება დაინგრეს კიდეც.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები სადღეისოდ ცივილიზებულ მსოფლიოში ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირების ნაცადი ინსტიტუტია. აშშ ითვლება დამოუკიდებელი რეგულირების ინსტიტუტის შემოღების პიონერ ქვეყნად. იქ რეგულირების ისტორია ას წელზე მეტს ითვლის. ფუნქციონირებს ფედერალური დარგობრივი მარეგულირებელი კომისიები, მათ შორის ენერგეტიკის. ყველა შტატში არსებობს ან დარგობრივი კომისიები ცალ-ცალკე ან ყველა ბუნებრივი მონოპოლიის მარეგულირებელი ერთი კომისია. შექმნილია მარეგულირებელი კომისიების ასოციაცია. აშშ-ში არსებობს მარეგულირებელი საქმიანობის შემსწავლელი სპეციალიზირებული კვლევითი ინსტიტუტი, აგრეთვე რამდენიმე უნივერსიტეტში ამზადებენ რეგულირების სფეროს სპეციალისტებს. მუდმივად ტარდება სემინარები, კონფერენციები უცხოელების მოწვევით, იბეჭდება დიდი რაოდენობით ლიტერატურა, გაიცემა ინფორმაცია ინტერნეტით და სხვ.

დაახლოებით იგივე სიტუაციაა სხვა ქვეყნებშიც. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მარეგულირებელი კომისიები ჯერ-ჯერობით არ არსებობს მხოლოდ ბელორუსში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, აზერბაიჯანში და უზბეკეთში.

საუკუნეზე მეტი ხნის პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საუკეთესო შედეგის მიღწევა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით მომხმარებელთა მოთხოვნილების ყველაზე ეფექტიანი დაკმაყოფილება კონკურენციული და მონოპოლიური გარემოს გონივრული შეხამებით მიიღწევა; ასეთი შეხამება კი სახელმწიფოს მხრივ აქტიური ჩარევის, ანუ რეგულირების გარეშე შეუძლებელია.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა ეკონომიკაში ობიექტური აუცილებლობაა, უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან აზრი არ აქვს მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული შეზღუდვების გამოყენებას. აქ ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ორივე მხარის ინტერესების დაბალანსების მიღწევა; ანუ სახელმწიფომ, ერთის მხრივ, უნდა დაიცვას მომხმარებელი ბუნებრივი მონოპოლიების მხრიდან არასწორი ქმედებებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ბუნებრივი მონოპოლიების დარგების განვითარებას საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

# ელექტროენერგეტიკის რეფორმა შორს მიმავალ პერსპექტივაზე უნდა იყოს გათვლილი

გენადი მესხია
*მცირე ჰესების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძისეული რეფორმის ძირითადი არსი მდგომარეობდა შემდეგში:

- ერთიანი "გაერთიანებული გამანაწილებელი სადისტრიბუციო კომპანიის" ("UEDC") 2, 3 ან მეტ კომპანიებად დაყოფა (მაგ. "აღმოსავლეთის", "დასავლეთის" და სხვა);
- ერთიან ენერგოსისტემაში ჩართულ გენერაციის ობიექტების ცალკეულ ჯგუფებად ჩამოყალიბება;
- გარკვეულ გამანაწილებელ კომპანიებისა და გენერაციის ჯგუფების გაერთიანება ფინანსურად დამოუკიდებელ სს "თელასი"-სებურ კომპანიებად, რომლებიც შეითავსებენ გენერაცია-განაწილების ფუნქციებს. შესაბამისად, ამ გაერთიანებულ კომპანიებზე .მოხდება ქვეყნის ენერგობაზრის გადანაწილება.

თუმცა, ბენდუქიძე ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფს უცვლელს ტოვებს. მისი მოტივაცია შემოიფარგლება იმით, რომ "საქართველოში მოქმედი ტარიფის სიდიდე სხვა ქვეყნებში არსებულ ტარიფებთან შედარებით ყველაზე დაბალია". ამ დროს, "დსთ"-ს ქვეყნებს შორის საქართველოს ტარიფს "საპატიო" პირველი ადგილი უკავია და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურებზე გამომუშავებული იაფადღირებული ელექტროენერგიის წილი დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოსახლეობის 80 პროცენტის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებია.

აქვე, საინტერესოა: რამდენად სწორად მიიჩნევს ბენდუქიძე დღეს მოქმედი ტარიფის კრებსითი მაჩვენებლების სიდიდეებს, თუნდაც "გენერაციისა" და, განსაკუთრებით, სს "თელასი"-სათვის? რატომ არა აქვთ სახელმწიფო და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრებს საკუთარი პოზიციები სს "თელასის" ტარიფთან დაკავშირებით? ხომ ცნობილია, რომ მასში უკანონოდ არის ასახული 210 მლნ აშშ დოლარი, რომელიც "AES"-მა (ამერიკელებმა) ჯერ კიდევ 2003 წელს ჩამოწერა. (ინფორმაცია აღებულია საზოგადოებრივი დამცველის სამსახურიდან).

რეფორმის აღნიშნული პროექტი არ ითვალისწინებს ელექტროენერგიის ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიის სრულყოფას, რათა მასში ობიექტურად განისაზღვროს ყველა ლიცენზიატის ტარიფის კრებსითი მაჩვენებელი. არადა, აქ ჩადებული უნდა იყოს მომხმარებლის ინტერესების დაცვის მექანიზმები, კერძოდ, ტარიფის უნდა იყოს გათვალისწინებული "მომხმარებლის ინტერესების დაცვის კომპონენტი".

მიგვაჩნია, რომ საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, მოსახლეობისათვის სამომხმარებლო ტარიფი უნდა განისაზღვრებოდეს სისტემურად: საცალო ტარიფის; ერთ სულ მოსახლეზე (ოჯახზე) არსებულ საშუალო თვიური შემოსავლის; საარსებო მინიმუმის; დახარჯული და ნორმატიული ელექტროენერგიის მოცულობის გათვალისწინებით. ამ მოდელით დადგენილი ტარიფი იქნება დიფერენცირებული, მისი სიდიდე შეიძლება იყოს საცალო ტარიფზე ნაკლები, ტოლი ან მეტი. თუ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის განსაზღვრული ტარიფის სიდიდე საცალო ტარიფზე ნაკლები იქნება, მაშინ მათ შორის სხვაობა უნდა დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თუ სახელმწიფო დაუშვებს ტარიფის ხელოვნურად გაზრდას, მაშინ მას ავტომატურად გაეზრდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ტარიფის (ენერგოვალების) სუბსიდირების ხარჯები. მომხმარებლის მიერ ლიმიტს ზევით დახარჯულ ელექტროენერგიაზე პროგრესული გადასახადის შემოღება კი შექმნის დამატებით სახსრებს, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტარიფის სუბსიდირებას უნდა მოხმარდეს.

ბენდუქიძის რეფორმის პროექტი არ ითვალისწინებს ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის ღონისძიებების მასიურად განხორციელებას ქვეყანაში, მათ შორის თვითდაფინანსებად პროგრამებისაც კი. (მაგალითად, 5,6 მლნ ცალი ენერგოდამზოგი ნათურის დანერგვით მომხმარებლის კომფორტის გაუმჯობესებით ქვეყანაში ყოველწლიურად დაიზოგება 1145 მლნ. კვტ.სთ. ელექტროენერგია. პიკის საათებში ენერგოქსელში სიმძლავრის დეფიციტი შემცირდება 400 მგვტ-ით. ამ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად საჭიროა სულ მცირე 400 მლნ. აშშ დოლარი და 5 წელი), მომხმარებლის ბიუჯეტი ყოველწლიურად დაიზოგება 120 მლნ ლარით (თითოეული ოჯახი სულ მცირე 4,2 ლარის ეკონომიას მიიღებს ყოველთვიურად). საბიუჯეტო ორგანიზაციებში 600 ათასი ცალი ენერგო- დამზოგი ნათურის დანერგვით შესაძლებელია ყოველწლიურად 13 მლნ ლარით სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი ნაწილის დაზოგვა და სხვა.)

ინფორმაციისთვის: 1977 წელს ძლიერმა ცივმა ზამთარმა აშშ-ს ენერგეტიკის პარალიზება მოახდინა. პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ინაუგურაციის მეორე დღესვე წარუდგინა სენატს დასამტკიცებლად კონკრეტული და რეალური ე.წ. "პრეზიდენტ კარტერის ენერგეტიკული პროგრამა", რომელშიც მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ამერიკის ენერგეტიკაში არსებული მდგომარეობა და მომავალში მოსალოდნელი სიძნელეების გადალახვისათვის საჭირო ძირითადი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები. პროგრამაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო "ენერგიის მომჭირნეობით და ეკონომიურად მოხმარებაზე".

მსოფლიო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის პროგრამების დანერგვაში დღესაც აქტიურად მონაწილეობენ დასავლეთ ევროპის, აშშ-ს, კანადისა და სხვა ქვეყნების მთავრობები, რომლებიც ბრმად კი არ იზიარებენ საბაზრო ეკონომიკის ფილოსოფიას, არამედ თვითონ აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნისა და ხალხისათვის ეკონომიკურად და სოციალურად მომგებიან პროგრამების განხორციელებაში. მათ კარგად აქვთ გათვითცნობიერებული, რომ სწორი და დროული ფისკალური ღონისძიებების გატარება ქვეყანაში დააჩქარებს ენერგეტიკის პრობლემების მოგვარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და გარემოს დაცვას.

რეფორმის პროექტი არ ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოში არსებულ ჰიდროელექტრორესურსების ათვისებისათვის ხელშემწყობ მექანიზმების ამოქმედებას, ცნობილია, რომ საქართველო ჰიდროელექტრო პოტენციალით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა მსოფლიოში. საქართველოს ეკონომიკურად და ტექნიკურად დასაბუთებული ჰიდროელექტროპოტენციალი წელიწადში 40 მლრდ.კვტ.სთ-ს შეადგენს, აქედან ათვისებულია მხოლოდ 23 პროცენტი.

საქართველო თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და ჰიდროელექტრორესურსებით შეიძლება გახდეს ელექტროენერგიის ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორი ქვეყანა, ხოლო აქედან მიღებული შემოსავლები (ყოველწლიურად სულ მცირე 250 მლნ. აშშ. დოლარი) - გახდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. ამისათვის საჭიროა, გენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობასთან ერთად, დაჩქარდეს უცხოეთში (თურქეთი, რუსეთი და ა.შ) გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა. ამ უკანასკნელის არსებობა საქართველოს ენერგოსექტორში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდი მოტივაცია იქნება.

არსებობს გარდაბანი-ახალციხე-ყარსის 500 კვ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი. ამ, და ანალოგიურ პროექტებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტები, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ დივიდენდებს მოიტანს.

ბენდუქიძე გვერდს უვლის მომხმარებლებზე მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების გაუმჯობესებას. ელექტროენერგიის აღრიცხვის, დარიცხვისა და საფასურის ამოღების მექანიზმების სრულყოფა-რეალიზაცია ხომ დიდ კაპიტალდაბანდებებს და დროს მოითხოვს მარტო 630 ათასი ოჯახის გამრიცხველიანობისათვის (საკონტროლო და ინდივიდუალური მრიცხველების დაყანება) საჭიროა 177 მლნ ლარი.

არადა, ამ პრობლემის დაფინანსება შესაძლებელია შემდეგი წყაროებიდან:

1. ინვესტიციური პრივატიზაციით მიღებული თანხებიდან, რაც საკმაოდ შორ პერსპექტივას წარმოადგენს;
2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან, უცხოური დახმარების ფონდებიდან და გრანტებიდან;
3. ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის 2,3 თეთრით კვტ.სთ-ზე გაზრით 6 წლის განმავლობაში.

დაფინანსების ჩამოთვლილი წყაროებიდან უპირატესი, საქართველოს ცალკეული რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე, მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული.

მიგვაჩნია, რომ უპირატესობას იმსახურებს მესამე ვარიანტი, ხოლო დღეს გამრიცხველიანობაზე გამოყოფილი სახსრები, პირველ რიგში, უნდა მოხმარდეს გენერაციის ობიექტების და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაციას. ამავე დროს, აუცილებლად უნდა განხორციელდეს ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის რევიზია, ვინაიდან ის დღეს ხელოვნურად არის გაზრდილი და მას საკმაო რეზერვები გააჩნია.

რეფორმის პროექტი არ ითვალისწინებს საქართველოს "ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონის სრულყოფას, "ენერგოეფექტურობისა" და "მცირე ჰესებზე" კანონების მიღების დაჩქარებას, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ენერგეტიკის სფეროში გარკვეული პერიოდით საჭირო შეღავათების დაწესებას (მაგ. მოგების გადასახადის და უცხოურ ინვესტიციებზე დღგ-ს 7-8 წლით გაუქმება). არადა, ეს კანონი ამუხრუჭებს ელექტროენერგეტიკის განვითარებას, ენერგოსექტორში კონკურენტულ გარემოს შექმნას, ტარიფის ლიბერალიზაციას და მომხმარებლის სამართლებრივი, ეკონომიკური, ტექნიკური თუ ეკოლოგიური ინტერესების დაცვას.

ბენდუქიძე თავს იკავებს ენერგეტიკის სამინისტროს სტატუსის, სტრუქტურისა და მოღვაწეობის შეფასებაზე. ამ დროს კი სამინისტროს, ფაქტობრივად, არ გააჩნია ფუნქციები - დღემდე არა აქვს დამუშავებული ენერგოპოლიტიკა და ენერგეტიკის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

ბენდუქიძე არაფერს ამბობს იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ენერგოსექტორში უცხოური დახმარების ფონდებისა და გრანტების ასეული მილიონი აშშ დოლარის არაეფექტური გამოყენება, დუმს ენერგოსექტორში არსებულ კორუფციაზე. რეფორმის მისეული გეგმა არც საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული სკოლის შენარჩუნება-განვითარებას ითვალისწინებს. თუ მთავრობამ დროზე არ შეცვალა პოზიცია საკუთარი ენერგეტიკული სკოლის და კადრების მიმართ, ქვეყანა ფრიად სავალალო შედეგებს მოიმკის.

რაც შეეხება საქართველოს ენერგოსექტორში გასატარებელ პრივატიზაციის პოლიტიკას და მის განხორციელების მექანიზმებს, აქ აუცილებელია არგუმენტირებული, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხები გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. პოლიტიკურად და ეკონომიკურად რამდენად მიზანშეწონილია სწრაფი პრივატიზაციის ჩატარება ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის 1/3-ში საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, სადაც 300 ათასი იძულებით გადაადგილებული ადამიანი ცხოვრობს და მოსახლეობის 1/5 უცხოეთში არის გახიზნული?

2. რატომ ანიჭებს მთავრობა უპირატესობას სახელმწიფო ობიექტების გასხვისებას და არა ქვეყანაში სააქციო საზოგადოებებად დაფუძნებას, რითაც ხელი შეეწყობა მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და სხვა.

3. რატომ არ ამუშავებს მთავრობა საპრივატიზაციო ობიექტების სისტემურ (ინტეგრალურ) შეფასების მოდელს, რომელშიც ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ქვეყნის უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორები იქნება გათვალისწინებული?

4. სად არის საქართველოს ეკონომისტების პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესებთან დაკავშირებით?

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შექმნილი პრივატიზაციის მოდელი მოგვცემდა საშუალებას:

1. განისაზღვროს რა იქნება ქვეყნისთვის და ხალხისთვის უკეთესი - სახელმწიფო ობიექტების გასხვისება ადგილობრივ თუ უცხოურ ინვესტორებზე; მათი სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება თუ სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება.

2. ობიექტურად დადგინდეს საპრივატიზაციო ობიექტების სასტარტო ღირებულება;

3. განისაზღვროს პრივატიზაციის ობიექტების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები დროის გარკვეულ პერიოდისათვის და პერსპექტივაში (დინამიკაში).

ეს მოდელი საშუალებას მისცემდა მოსახლეობას, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის გამოქვეყნებისთანავე, აეღო ორიენტირი სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, განესაზღვრა აქციების რაოდენობა და ფასი, მისაღები დივიდენდების სიდიდე და სხვა. ამით მოსახლეობას მიეცემოდა საშუალება, ჩაედო დანაზოგი პერსპექტიულ საქმეში.

რაც შეეხება სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციიდან მიღებულ სახსრების სამართლიან და ეფექტურ გამოყენებას: მიგვაჩნია, რომ ისინი, ძირითადად, მიმართული უნდა იყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, ახალი ტექნოლოგიების ათვისებაზე, ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებაზე, საშუალო ფენის ჩამოყალიბებასა და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე.

თუ ბენდუქიძისეული გეგმები განხორციელდება, შედეგად მივიღებთ:

1. "განაწილების" ობიექტების ინვესტიციური პრივატიზაციის გაიოლებას, ვინაიდან მათი გაყიდვა დაგეგმილია გენერაციის ობიექტებთან ერთად, რომლებსაც ჰყავთ მყიდველები.

2. მომარაგების საიმედოობას - მომხმარებლები კონტრაქტის საფუძველზე, გარანტირებულად, მესამე პირის ჩაურევლად, მიიღებდნენ თავის კუთვნილ ელექტროენერგიას წინასწარ დადგენილი ტარიფით.

3. "გაერთიანებებში" შემავალი ობიექტების მოვლა-პატრონობის ხარისხის გაუმჯობესებას, რადგან ერთ მეპატრონის ხელში შემცირდება შიდა კორუფცია.

სამაგიეროდ:

1. სერიოზული დაბრკოლება შეექმნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ენერგოსექტორში კონკურენტული გარემოს შექმნასა და ელექტროენერგიის ტარიფის ლიბერალიზაციას.

2. წინააღმდეგობა შეექმნება ერთიან ენერგოსისტემაში ჩართულ "გენერაციის" გაერთიანებებს ელექტროენერგიის ტარიფის ობიექტურად განსაზღვრაში. შეიქმნება პრობლემები ტარიფის სტაბილიზაციის პროცესში ქვეყნის მასშტაბით. განსაკუთრებით, ეს თავს იჩენს ახალი მსხვილი მომხმარებლების ქსელში ჩართვის ან გამორთვის დროს.

ერთი სიტყვით, ელექტროენერგეტიკის რეფორმის ბენდუქიძისეული პროექტის კომპლექსური ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ რეფორმა არ ითვალისწინებს ენერგოსექტორის განვითარების პერსპექტივას ქვეყანაში. ის გათვლილია ენერგოსექტორში ლოკალური ამოცანების გადასაწყვეტად და მისი რეალიზაცია უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. დაიკარგება დრო, ხოლო მიღებული შედეგები უარყოფითად აისახება ქვეყნის ენერგეტიკაზე, ეკონომიკასა და მოსახლეობაზე.

ფილმი მასზე, ვისაც გაუმართლა



B2

კომპიუტერი



B3

„სპორტ-ჯეტი„ - თვითმფრინავი ყველასათვის



B6

ნოდარ ლადარია

# მომავალ ორშაბათამდე!



ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, **ჯორჯ ბუშის** საქართველოში ვიზიტი იყო. მაგრამ ამერიკის აღმოჩენასთან მაინც ახლოს ვიქნები, ისე, როგორც ყველა ჩვენგანი — მართლაც, არასოდეს ასე ახლოს არ ვყოფილვართ ამერიკის აღმოჩენასთან. მაშინაც კი, როცა საქართველოში პირველად შემოვიდა სიმინდი, პომიდორი, კარტოფილი — ახალი სამყაროს პირველი მერცხლები ჩვენს ღვთივკურთხეულ ქვეყანაში. არა, თავიანთი წილი გაზაფხული მათაც მოიყვანეს, მაგრამ დაუფასებელნი დარჩნენ: ჩვენი ისტორიკოსები ისევ ქარქაშიანი და უქარქაშო ხმლებით არიან დაკავებულნი და სიცოცხლის უპირველესი საფუძვლების კვლევა ავიწყდებათ ან ეთაკილებათ. არა, უსარგებლო ლაპარაკი არ გეგონოთ ეს ყველაფერი...

ასე განსაჯა განგებამ, რომ ჩვენში არაფერია მნიშვნელოვანი, რაც შეგნებულად არ ძევს პოლიტიკურ სფეროში. ჰოდა, გამოდის, რომ სწორედ 2005 წლის 9-10 მაისს მოგვიხდა მე და თქვენ ამერიკის აღმოჩენა.

ვიღაც ავზნიანმა ეს მოვლენა **ბრეჟნევის** ვიზიტებს შეადარა. მახსოვს, 1981 წელს სპორტის სასახლის წინ აღმართული ვარსკვლავის ფორმის კონსტრუქცია. ამბობენ, თვით ლეონიდ ილიჩის ტრიბუნას შიგნით საპირფარეშოც ჰქონდა ჩამონტაჟებული, რადგან მიხრწნილ "გენსეკს" შარდის შეკავება უჭირდა. სხვებმა აბანოთუბნის ესთეტიკური მხარე დაიწუნეს, სხვებმა კიდევ ბუშზე თქვეს, გოიმი ყოფილა, მუცელზე ხელს როგორ იტყაპუნებდაო... როგორ გინდა თავი შეიკავო და ყოველივე ამას, მიხეილ სააკაშვილისა არ იყოს, ყიყინი არ უწოდო?

მაგრამ ნამდვილად უნდა შევიკავო თავი, რადგან ყოველი მოვლენა განმარტებას მოითხოვს, ისევე როგორც ყოველივე აზრი — პატივისცემას. საქმის ვითარებას პრაგმატულად შევხედოთ: უგემოვნოდ შეღებილიც, გვარიანად ნაცეკვიცა და ძალიან ცუდად ნამღერიც თავისთავად კი არ უნდა შეფასდეს, არამედ გარკვეული მიზნის კონტექსტში. ეს მიზანი კონკრეტულ პიროვნებაზე შთაბეჭდილების მოხდენა იყო. ყველასათვის აშკარაა, რომ მიზანი მიღწეულია. ასე რომ, ყოველგვარი ლაპარაკი და საქმის გარჩევა სრულიად ზედმეტია.

ჯორჯ უოლტერ ბუშს კი შეუძლია განაცხადოს: veni, vidi, vinctus sum — **მოვედი, ვნახე, ძლეული ვარ**. მაგრამ ბუშმა ლათინური არ იცის (რატომღაც ასე მგონია), ბევრი სხვა რამეც არ იცის და არ შეუძლია. ამას მნიშვნელობა არა აქვს: რაც იცის და რაც შეუძლია სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ საქართველოს მიერ გაწეული მატერიალური ხარჯი, სულიერი შრომა და ემოციური დაძაბულობა ასმაგად აანაზღაუროს.

ჰოდა, ბატონებო, ნუ ვაქცევთ "ყიყინად" ჩვენს მაღალ ინტელექტუალიზმსა და ფაქიზ გემოვნებას. მადლიანი ქართული მზე მალე მორაჯულებს და თავის ადგილზე დასვამს ფარშევანგის კუდად ქცეულ თბილისს (ეჰ, ნეტა, ბავშვთა გალერეას მოერეოდეს!), ჩვენ კი, იმის მაგიერ, რომ **ქეთევან იგნატოვასთან** ერთად ტელეეკრანის წინ მოთქმით ვიტიროთ (არ მჯერა და მომკალით!), გვირჩევნია ყური დავუგდოთ მაღალი სტუმრის მიერ დატოვებულ შეტყობინებას.

მით უმეტეს, რომ ეს შეტყობინება — თავისუფლების მოედანზე წარმოთქმული სიტყვა — "24 საათმა" გამოაქვეყნა 11 მაისის ნომერში. სამწუხაროა, რომ ამ სიტყვის განხილვა რატომღაც ნაკლებად მიმდინარეობს ჩვენს ირგვლივ. ძირითადად, ერთი და იგივე ადამიანებისაგან გვესმის არაფრისმთქმელი სიხარული იმის გამო, რომ საქართველო თავის ისტორიულ როლს იბრუნებს და მათ კიდევ უპირისპირდებიან ისინი, ვისაც უცნაური შიში აწუხებს: ვაი თუ ირანის წინააღმდეგ ომში ჩაგვითრიონ! ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ამ ორ "ბანაკს" შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, რადგან საქართველოს ისტორიულ როლთაგან ერთ-ერთი სწორედ ისაა, რომ წამდაუწუმ ვიღაცის მხარეზე გამოდიოდა თურქეთსა და ირანს შორის მრავალსაუკუნოვან მეტოქეობაში. ამას მოგვიანებით მამულისთვის თავდადება ეწოდა. რა თქმა უნდა, ამას გამართლებაც ჰქონდა, მაგრამ ბუშის ვიზიტმა, სხვა მრავალთან ერთად, ისიც დაამტკიცა, რომ ახლა დაფიქრების საშუალებაც გვაქვს, ყველაფერზე დაფიქრებისა — საკუთარ წარსულზეც უნდა ჩავფიქრდეთ და აღარ შეგვეშინდეს ძველი აჩრდილებისა...

ამისთვის საკმაო დრო გვექნება უახლოეს მომავალში. მანამდე კი დაპირებულს მივხედოთ და "დაბლიუს" სიტყვა განვიხილოთ.

ცოტა ხნის წინ ვამბობდი, ბუშს ბევრი რამე არ შეუძლიამეთქი. ამათგან ერთ-ერთი საჯაროდ წარმოსათქმელი სიტყვის დამოუკიდებელი დაწერაა. მაგრამ ეს ძალიან ბუნებრივია: არც არავის შეუძლია, მარტომ, მხოლოდ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოხატოს დემოკრატიული ხელისუფლების მქონე თავისუფალი ქვეყნის საკადრისი აზრები. ეს ჟანრი, თუმცა ტექსტს ერთი ადამიანი აწერს ხელს, ყოველთვის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს. ამას, მიხეილ სააკაშვილის გასაგონად ვამბობ, რადგან დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, ნდობაა — უფრო სწორად, ინსტიტუციონალურ პრინციპამდე აყვანილი ნდობა. მრავალი პროფესიონალის შრომის ნაყოფს ერთი ადამიანი, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აწერს ხელს და ამით დელეგირებული ძალაუფლების ძირითადი არსი გამოიხატება. იქვე, საგაზეთო გვერდის დანარჩენ სვეტებზე კი სხვა ტექსტია დაბეჭდილი: ერთი ადამიანის, მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელდახელოდ შეთხზული სიტყვა, რომელსაც ერთი უპიროვნო სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული მრავალი ადამიანი აწერს ხელს: საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური. რომელი პრინციპი გამოიხატება ასე, თუ არა დელეგირებული ძალაუფლების სარკისებური ანარეკლი?

ერთგან ერთი მრავალთა აზრს გამოხატავს, მეორეგან კი მრავალი ეკედლება ერთის ნებას.

ბუშის სიტყვა იწყება უაღრესად ადამიანურად, შეიძლება ითქვას, შინაურულად: მე და ლორამ თქვენთან შემოვლა გადავწყვიტეთ. რატომ გადაწყვიტეს? — **"გადავწყვიტეთ იმ ხალხის გვერდით დგომა, რომელმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში უდიდესი სულისკვეთება და გამბედაობა გამოიჩინა. თქვენ ლიდერები ხართ!"**. თავიდანვე ჩანს, რომ ბუში მრავალს ესაუბრება. აშშ-ს საინფორმაციო სამსახურებმა უკვე აღნიშნეს, რომ 10 მაისს ბუში იმდენი ადამიანის წინაშე წარდგა, რამდენისთვის თავის სიცოცხლეში არ მიუმართავს უშუალოდ. მაგრამ აქ სულ სხვა სიმრავლე იგულისხმება: ერთი მხრივ, ამშვიდებს ავის მოსურნეთ (ნუ მიანიჭებთ ყოველივე ამას დიდ მნიშვნელობას), მეორე მხრივ, გვახალისებს და გვამხნევებს. საინტერესოა, რომ თუმცა ამ სიტყვაშიც ძალიან მოკლე აბზაცებია, ყოველი მათგანი წინასთან და შემდგომთან უწყვეტი აზრობრივი ჯაჭვითაა დაკავშირებული. ასე რომ, ამაოა იმის ლაპარაკი, რომ მიხეილ სააკაშვილის ხშირად პრიმიტიული გამოსვლები "ამერიკული სტილია", რომ პრეზიდენტი სწორედ ასე "მარტივად" უნდა ელაპარაკებოდეს საზოგადოებას. მარტივი არ ნიშნავს პრიმიტიულს.

ამას ჩამოსვლით გამოწვეული განწყობის აღწერა მოსდევს: ლორა და მე, თავისუფალი ქვეყნის მოქალაქენი, ვამაყობთ, რომ აქაც თავისუფლების მოედანზე ვდგავართ. ახლა უკვე შეიძლება ისტორიული ექსკურსიც მოვაყოლოთ: **"როდესაც 16 წლის წინათ..."**. "წინ საქართველოს" მესვეურებს იმასაც შევახსენებთ, რომ ისტორიულ ექსკურსებს "გენსეკებიც" მიმართავდნენ, ოღონდ მაშინ "უძველესი ისტორია და კულტურა" ფიგურირებდა. ბუში ეროგენულ ზონას არ გვიღიზიანებს: იგი საქმეზე ლაპარაკობს, იმაზე, რომ ნამდვილი, დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვანი თავისუფლებისთვის ბრძოლა ჩვენ გუშინ არ დაგვიწყია. მაგრამ არც ძალიან დიდი ხნის წინათ!

ერთი სიტყვით, ბუში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიჰყვება მოვლენებს: 1989 წლის 9 აპრილი, ლენინის ძეგლის ჩამოგდება, 1991 წელს დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადება. აი, აქ კი საინტერესო ფრაზა გვხვდება: **"იმ ისტორიულ დღეს თქვენ დამოუკიდებლობა აღიდგინეთ, მაგრამ იმედიანი დასაწყისი არ დასრულდა"**. დამოუკიდებლობის აღდგენა როგორც დასაწყისი და არა როგორც მიზანი. ამგვარი მიდგომა ჩვენში ჯერ კიდევ საჭიროებს ყურადღებით გააზრებას...

მერე კი ერთი მეტად ფაქიზად დაჭერილი ნიუანსი: **"წელიწადნახევრის წინათ ქართველები ამ მოედანს ისევ დაუბრუნდნენ, რათა 1989 წელს წამოწყებული საქმე ღირსეულად დაესრულებინათ"**. ჯერ ერთი, ვარდების რევოლუცია გამოცხადებულია 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის პირდაპირ მემკვიდრედ და გამგრძელებლად. მეორეც, ზუსტი თარიღის მაგიერ მოხსენიებულია დროის ლამის მაგიური მონაკვეთი: წელიწადნახევარი. ხომ გახსოვთ: "მოგეცადათ, კაცო, წელიწადნახევარი და ყველაფერი ისედაც მოხდებოდა...". იმდენად ხშირად წარმოითქვა ეს წინადადება მავანთა და მავანთა მიერ, რომ სერიალ "ცხელი ძაღლის" მესამე, ყველაზე ახალი გამოშვებაც სწორედ ამ წინადადებით დაიწყო.

მაისის ამ დღეებში დასრულდებოდა ედუარდ შევარდნაძის მეორე საპრეზიდენტო ვადა და მოცეკვავე ბუშის მაგიერ ტელეეკრანებს აწ გაქცეული ლევან მამალაძის და აწ კუთხეში მიყუჩებული ავთანდილ ჯორბენაძის სახეები გაავსებდნენ. მაშინ კი დავიჯერებდი თქვენს მოთქმით ტირილს! თუმცა კი ამ განსხვავების დამტკიცება ჩვენი საქმეა, უფრო სწორად, ჩვენი ახლანდელი ხელისუფლების. და რაც უფრო იშვიათად ახსენებს ის თავის წინამორბედს, მით უფრო ეფექტურად დაამტკიცებს...

ახლა კი გავიხსენოთ, რომ ბუშმა გვითხრა, ლიდერები ხართო. სწორედ ამას ეხმიანება და აკონკრეტებს შემდეგი აბზაცი: **"თქვენი მოქმედებების შედეგად საქართველო დღეს თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელიც ამ რეგიონში სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს"**. მართალია, რადგან მახსოვს სომეხი და აზერბაიჯანელი არასამთავრობოების სასოწარკვეთილი სახეები: ჩვენ მაგდენი სად შეგვიძლიაო. მით უფრო საკვირველია ჩვენი პრეზიდენტის მარადიული შეკითხვა: რატომ გვეჩხუბებიან! იმიტომ, ბატონო ჩემო, რომ დემოკრატია მუდმივი არჩევანია, მუდმივი პროცესია და თუ არ შეუკეთე, ჩაქრება. დემოკრატია გზაა. სწორედ მასზე მიგვანიშნებს ჯორჯ ბუში: **"თქვენ არ მოგიწევთ ამ გზის მარტო გავლა! ... თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის შენებისას ამერიკელი ხალხი თქვენს გვერდითაა"**. ამ გამხნევებას ველოდით და ისიც მოვიდა: მშვენივრად შემზადებული და ტექსტის საერთო მდინარებაში ერთგვარი კულმინაციის შემომტანი. მაგრამ ვის ამხნევებენ? — რა თქმა უნდა მათ, ვისაც სჭირდება. ვის სჭირდება? — შეშინებულებსა და დაეჭვებულებს. განა ჩვენ შეშინებულები და დაეჭვებულები ვართ? — ჰოდა, გამხნევების შემდეგ საჭიროა იმის დადასტურება, რომ ჩვენ მუქთად და უმიზნოდ არ ვადგავართ ამ გზას. ამიტომაც დგება ტექსტში მომენტი, როცა აუცილებელია ასეთი სიტყვები: **"თქვენ ირჩევთ თავისუფალ მომავალს თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის და იგივე მიზნების განხორციელებაში სხვებს ეხმარებით"**. შემდგომ ბუში განმარტავს, რომ გულისხმობს ქართველების წვლილს ავღანეთსა და ერაყში.

მაგრამ ამ წვლილის ჰიპერბოლიზაცია, მისი გადაჭარბებული დაფასება არ ხდება. მოკრძალებული მადლობის შემდეგ ბუში ამბობს: **"თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი თქვენივე მაგალითია"**. ამით ორ რამეს გულისხმობს: ჯერ ერთი, მთავარი საკეთებელი შიგნით გვაქვს, ჩვენივე ქვეყანაში, მეორეც, დემოკრატიული ქვეყნის აშენება არა მარტო ჩვენი პირადი, საკუთარი მიზანია, არამედ ვალია მთელი კაცობრიობის წინაშე.

ყველამ იცის: როდესაც წვეტიანი იარაღი რაღაც მაგარ და ძნელად გასარღვევ ნივთიერებაში უნდა შეარჭო, ეს უფრო ადვილად გამოგივა, თუ იარაღს მსუბუქად არხევ ძირითადი მიმართულების გარშემო მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ. ბუშის სიტყვაში შეიმჩნევა ამგვარი რხევის ორი მიმართულება: ქრონოლოგიური (ის ხშირად უბრუნდება უახლოეს წარსულს) და შეფასებითი (გვაქებს და მაშინვე გვაფხიზლებს). როგორც ეტყობა, ხვდება, რა ხისტი და ჯერაც ქალწულია ის გარემო, რომელიც დემოკრატიის თესლმა უნდა გაანაყოფიეროს.

აი, გვითხრა, რომ ბეირუთიდან ბაღდადამდე და ბაღდადიდან ბიშკეკამდე სივრცეში ჩვენი რევოლუცია იყო პირველი. მაგრამ შეგვახსენა, რომ **"თავისუფალი საზოგადოების შენება თაობების სამსახურია"**. კვლავ გაგვახსენა 1989 წელი და თავისუფლების პირველი ნაყოფი, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ბრძოლას 15 წელი დასჭირდა. განა არ უნდა მივხვდეთ, რომ ბრძოლა დამთავრებული არაა? სამიოდე აბზაცის სივრცეზე ბუში დასტრიალებს სივრცედროულ მონაკვეთს ბაღდადიდან ბეირუთამდე და 1989 წლიდან 2005 წლამდე. მისი მსმენელები ხომ მხოლოდ თბილისის მოედანზე არ არიან თავშეყრილნი...

ამ მონაკვეთს დასკვნა მოსდევს: **"ისინი მოითხოვენ თავისუფლებას და მოიპოვებენ კიდევაც მას"**. მაგრამ ამას კვლავ გამომაფხიზლებელი ფრაზა მოსდევს: **"თუმცა მშვიდობიან რევოლუციებს რეპრესიული რეჟიმების ჩამოგდება შეუძლია, ჭეშმარიტ ამოცანას თავისუფალი ინსტიტუტების აშენება წარმოადგენს"**.

აი, ახლა აზრი უკვე კონკრეტდება და ბუშის სიტყვებში, მიუხედავად თხრობითი ტონისა, აშკარად იკითხება მოთხოვნა: **"ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად და კორუფციის აღმოსაფხვრელად საკმაოდ რთული ნაბიჯები გადადგით ... უმცირესობის უფლებები დაცულია ... თავისუფალი პრესა ყვავის ... ქვეყანა მიესალმება ძლიერ ოპოზიციას"**.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, საკუთარი საწოლი რომ დაალაგო? — ეკითხება დედა შვილს და გასაგებია, რომ ეს შეკითხვა კი არა, ბრძანებაა. ასევე ვიცით, რანაირად მიესალმება ჩვენი ახლადშეღერებული ხელისუფლება ძლიერ ოპოზიციას და როგორ ეხატება გულზე თავისუფალი პრესა, მაგრამ აბა, ძია სემი ხომ პირდაპირ ვერ მოგვთხოვს ვერაფერს! — იგი მხოლოდ მიგვანიშნებს, რა მოეწონება. კაცმა რომ თქვას, მეც ეგ მომწონს, და, ვიმედოვნებ, რომ შენც, ჩემო მკითხველო.

**"საქართველოში კანონის უზენაესობა გაიმარჯვებს ... ეს იყო თქვენი აწგარდაცვლილი პრემიერ მინისტრის, ზურაბ ჟვანიას ოცნება ... ჩვენ ქედს ვიხრით ამ უდიდესი ქართველი პატრიოტის წინაშე,"** — განაგრძობს ბუში და მე პირადად მადლობელი ვარ მისი ამ სიტყვებისთვის. ძალიან ადვილად ვიხსენებთ ხოლმე დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს — ადვილია და იმიტომ. მაგრამ არ გვახსოვს უახლოესი წარსული და არ ვიცით მათი ღვაწლის ჯეროვნად დაფასება, ვისაც სიცოცხლეში მოვესწარით. ისევ ჰოლანდიელმა **სანდრა რულოვსმა** გაიხსენა თორემ, ვინ იცის, წიგნის სახლის მაგიერ სად ამოჰყოფდა თავს **ლორა ბუში**.

მის მეუღლეს კი ორი მნიშვნელოვანი პუნქტი რჩება: კონფლიქტების მოგვარება და საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაცია. ამასაც ადვილად ახერხებს: პირველის მშვიდობიანი ფორმა მეორის აუცილებელი პირობაა. დახმარება იქნება, მაგრამ თქვენც ხელი და, რაც მთავარია, ტვინი გაანძრიეთო.

სიტყვა ნელ-ნელა იხრება დასასრულისკენ და მთავრდება ისე, როგორც იწყება — ადამიანურად თბილი ტემბრის მაჟორული აკორდით. სამწუხაროა, რომ საგაზეთო ტექსტში არ იყო სათანადოდ გამოყოფილი ის სიტყვები, რომლებიც ჯორჯ ბუშმა ქართულად წარმოთქვა...

გარდა მოედანზე საჯარო გამოსვლის მშვენიერი კომპოზიციისა და დამაფიქრებელი შინაარსისა, ამ ვიზიტს ერთი მნიშვნელოვანი სიახლეც ახლდა. სამწუხაროდ, ეს სიახლე მხედველობიდან გამორჩა მათ, ვინც ბუშის ჩამოსვლა ბრეჟნევის ვიზიტებს შეადარა. ეს იყო უშუალობა და სილაღე, რომელიც ამერიკელ "კოვბოის" ქართველებზე არანაკლები აღმოაჩნდა. ჩვენც აქეთ უნდა ავიღოთ გეზი. რას ვგულისხმობ? ამის ასახსნელად ერთი ჭორითაც უნდა გაგახაროთ.

აღდომაზე საპატრიარქოში ტრადიციული ბანკეტი გაიმართა "ვიწრო წრისთვის" — ჩვეულებრივ, ეს ორმოციოდე სტუმარია. მათ შორის საქართველოს პრეზიდენტიც იყო, რომელიც, გასაგებია, განუწყვეტლივ ხუმრობდა და ძალიან ხალისიანადაც იყო. ოღონდ რატომღაც სულ თავისი სამხედრო სამსახურის ამბებს იგონებდა.

ბანკეტის შემდეგ ჩვენი ეკლესიის იერარქები უკმაყოფილოდ აქნევდნენ თავს: ეს რა არასერიოზული კაცი ყოფილაო. მათ გემოვნებას სწორედ "გენსეკები" და პირველი მდივნები უფრო შეეფერებიან, რომლებიც დინჯად ლაპარაკობდნენ "მნიშვნელოვან ისტორიულ გადაწყვეტილებებზე" და ისიც შეეძლოთ, მაგიდაზე ხელის დარტყმით დაეყვირათ: "არაფერია დავიწყებული!"

აბანოთუბანში მოცეკვავე ბუშმა თვალნათლივ დაგვანახა ის, როგორი უნდა იყოს ჩვენი **ხვალ**. ღმერთმა ქნას, ის დავინახოთ, სად იმალება ჩვენი **გუშინ**.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



# ფილმი მასზე, ვისაც გაუმართლა

## ქართული მონოლოგი შტატებში

სოფო კილასონია

*იგი აშშ-ში ათი წლის წინ წავიდა, მისი მოქალაქეობა ნებას აძლევს სამშობლოში სტუმრად მაინც ჩამოვიდეს, მაგრამ ეს ჯერ არ მომხდარა. დარჩენას არ აპირებდა, მაგრამ დარჩა, დარჩა და გაუმართლა კიდეც. გაუმართლა, მაგრამ დიდი შრომისა და ნებისყოფის ფასად. დღეს პაატა ციქურიშვილის თეატრი ვაშინგტონში მეტად წარმატებული თეატრია. იქ იდგმება ისეთი სპექტაკლები, რომელთა მსგავსიც ქართველებს დიდი ხანია, გვენატრება. მხატვრობა - გოგი ალექსი-მესხიშვილისა, მუსიკა - გია ყანჩელისა და ვატო კახიძისა, მთავარ როლებში ირაკლი და კახი კავსაძეები, დასი ამერიკული, ენერგია და მუხტი ქართული, ფორმა ახალი და თანამედროვე. მრავალი პრიზისა და ჯილდოს მფლობელი სპექტაკლების ავტორი-რეჟისორი არაფერს ნანობს, თუმცა ერთის ეშინია, გრძნობს, რომ თანდათან საკუთარ სახეს კარგავს, ანუ იმას, რითიც მისი ხელოვნება საზრდოობს და იმ გარემოში ირევა, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს.*

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და ტელეკომპანია "მზის" ინიციატივითა და დახმარებით რეჟისორმა ლევან კოღუაშვილმა ამ ფილმის გადაღება ერთი წლის წინ დაიწო. "პატარა თეატრი ვაშინგტონში" თბილისელმა მაყურებელმა კინოთეტრ "ამირანის" მცირე დარბაზში "ამარკორდში" პირველად იხილა და არამარტო ლევან კოღუაშვილის ხელოვნებას ჩაუკვირდა, არამედ ვაშინგტონის ქართული თეატრის ერთი რომელიმე სპექტაკლის ნახვის დიდი სურვილიც გაუჩნდა.

პრემიერა გაგა ჩხეიძისა და ელდარ მდინარაძის გამოსვლით დაიწყო. "საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ ფილმის გადაღებაში. როგორც მოგეხსენებათ, კინოცენტრი ფინანსურად ეხმარება პროდუსერებს, საპროდიუსერო კომპანიებს, ჩვენ არ ვერევით არც შემოქმედებით პროცესში და არ გავცემთ ბრძანებებს. მიხარია, რომ ეს ფილმი შედგა. გამოვიდა ძალიან საინტერესო დოკუმენტური ფილმი ახალგაზრდა შემოქმედ კაცზე. ადამიანზე, რომელიც ჩადის მისთვის სრულიად უცხო ქვეყანაში, ჩააქვს თავისი სამყარო, აარსებს თეატრს, აღწევს წარმატებებს, ამავე დროს ეს არის ფილმი ემიგრანტზე, რომელიც კარგავს ეროვნულ იდენტობას და ეს ტკივილიც კარგადაა გადმოცემული. რეჟისორული ნამუშევარიც, ვთვლი, რომ ძალიან საინტერესოა" - ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის ეს აზრი ტელეკომპანია "მზის" წარმომადგენელმა, ფილმის პროდიუსერმა, ბატონმა ელდარ მდინარაძემ განავრცო: "ლევან კოღუაშვილის ეს ნამუშევარი შარშან იქნა იდეაში განხილული. მე მასთან ძალიან ბევრი მაქვს ნამუშევარი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქმე გვაქვს მაღალი კლასის, საკმაოდ ჩამოყალიბებულ, საკუთარი ხელწერის მქონე ოსტატთან. შეიმჩნევა, რომ მას დიდი სკოლა აქვს გავლილი ჯერ მარლენ ხუციევთან და შემდეგ ნიუ იორკში. ჩვენ თემასთან მუშაობის პროცესში გვქონდა სერიოზული სჯა-ბაასი, ეს ფილმი თავიდან ბოლომდე ისე იქნა ჩამოყალიბებული, რომ მაშინვე ვგრძნობდი, რომ ძალიან სერიოზულ ნამუშევართან გვექნებოდა საქმე. თქვენ ძალიან გემოვნებიანი მაყურებლები ბრძანდებით და შემიძლია თამამად გითხრათ და მოგილოცოთ, რომ ფილმი არის ძალიან მაღალ დონეზე გაკეთებული ყველა პარამეტრში. ფილმის ნახვის შემდეგ გაგეხარდბათ, რომ ვართ ქართველები. საქმე გვაქვს მწიფე რეჟისორთან. მიხარია, რომ ამ საქმეში, რაღაც წვლილი მიუძღვის ტელეკომპანია "მზეს".



კახი კავსაძე ფილმის ჩვენებაზე "ამარკორდში"

ლევან კოღუაშვილის ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი მთლიანად მონოლოგზეა აგებული. კამერა და მონტაჟიც რეჟისორს ეკუთვნის. პაატა ციქურიშვილი საკუთარ ისტორიას იმდენად მარტივად და უშუალოდ გვიყვება, მაყურებელს არ ბეზრდება სმენა და შიგადაშიგ ეღიმება კიდეც. ფილმი საკუთარი ფორმითა და შინაარსით ერთდროულად გვიჩვენებს ადამიანს, რომელმაც მყარი ხასიათისა და შრომისმოყვარეობის წყალობით მიზანს მიაღწია, პარალელურად ეხება თეატრის მუშაობას, გარემომცველთა პორტრეტებსა და საერთოდ, იქაურ ყოფასა და ცხოვრებას. ფილმში აბსოლურუტად გამართულია დრამატურგიული კომპოზიცია, მშვენიერია ოპერატორული ნამუშევარიც.

პაატა ციქურიშვილი ერთდროულად ხელოვანიცაა და ემიგრანტიც. ადამიანი, რომლის ნამუშევრებიც მთლიანად ქართულ რიტმსა და ტემპზეა აგებული. ეს ორი კი ყველაზე მნიშვნელოვანია, მით უფრო მაშინ, როცა საქმე არა ჩვეულებრივ დრამატულ, არამედ ერთგვარ სინთეზურ თეატრთან გვაქვს. ყოფილმა პანტომიმის მსახიობმა ვაშინგტონში ისეთი თეატრი ჩამოაყალიბა, რომლის მსგავსი იქ არ არის. მის სპექტაკლებში არის სიტყვაც, თუმცა მთავარი მაინც დინამიკა, პლასტიკა, მიმიკა და უბრალოდ მოძრაობაა. სწორედ ის მოძრაობა, რომლის საშუალებითაც ალბათ ყველაფრის თქმა და გადმოცემაა შესაძლებელი და ამას მშვენივრად მიმხვდარა მართლაც ნიჭიერი რეჟისორი.

"ჩემი ცხოვრება გეოგრაფიულად ძალიან მარტივია: თეატრი, სახლი, რეპეტიცია, პრემიერა, სახლი, რეპეტიცია... ამერიკაში ძალიან გამიმართლა." - ამერიკაში მან მიზანს მიაღწია და ოცნება რეალობად ექცა. მუშაობს გია ყანჩელთან, გოგი ალექსი-მესხიშვილთან, ვატო კახიძესთან, შექმნა ისეთი თეატრი როგორისაც სჯეროდა, მუშაობს ისე, როგორც სწამს და ესმის: ბოლომდე იხარჯება და ნებისმიერ მსახიობს პირად მაგალითს აძლევს ყოველთვის.

ლევან კოღუაშვილის ყველაზე დიდი დამსახურება, ჩემი აზრით ისაა, რომ მან იმ მთავარი ღირსების წარმოჩენა მოახერხა, რაც ამ ადამიანს და მის თეატრს აქვს: გამართული იდეა, მიზანი და აღმზდელობითი დანიშნულება. ანუ ის, რასაც თეატრები საქართველოში ყოველგვარი სინანულის გარეშე მარტივად ელევიან.

"პატარა თეატრი ვაშინგტონში" არ არის ფილმი მხოლოდ ქართველ ცოლ-ქმარზე, რომელმაც უცხო ქვეყანაში უცხო სირთულეებს თავი გაართვა, ეს აგრეთვე ის ფილმია, რომელიც ზოგადად ხელოვანებზე გველაპარაკება. მიუხედავად მრავალი საინტერესო კადრისა, ყველაზე მეტად იმ ფრაგმენტმა მომხიბლა, როცა სავარჯიშო დარბაზში წრეზე მორბენალი სხეულები ჩანს, მუსიკა ფეთქავს, ადამიანები უბრალოდ სუნთქავენ, კამერა ერთი მიმართულებით ჩერდება და ადამიანები ისევ სუნთქავენ. ზოგიერთი კადრი იმაზე მეტს ხატავს, ვიდრე მოსაუბრე ამბობს, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ არის არავითარი მეტაფორული აზროვნება რეჟისორისა, ყველაფერი მარტივი და სადაა. სწორედ ამაშია ამ ფილმის უპირველესი ხიბლი.

დღესდღეობით ქართულ თეატრს ვაშინგტონში დიდი წარმატება აქვს. წელიწადში სამ პრემიერას, ორ აღდგენილ სპექტაკლს და ერთ ექსპერიმენტს სთავაზობენ მაყურებელს. ამ წლების განმავლობაში არაერთი თეატრალური ოსკარისა და პრიზის მფლობელნი გახდნენ. ითამაშეს "ჰამლეტი", "მედეა", "ბოჰემია", "სალომეა", "სტუმარ-მასპინძელი" და სხვა მრავალი. იმ დღეს, როცა ჩვენ ლევან კოღუაშვილის ფილმს ვუყურებდით, პატარა თეატრი ვაშინგტონში კიდევ ერთ პრემიერას წარადგენდა, ორი კვირის წინ კი ირინა ციქურიშვილს უკვე მეოთხე ოსკარი გადასცეს საუკეთესო ქორეოგრაფიისთვის.

ათი წლის წინ ახალგაზრდა არტისტმა მასპინძლების ენა საერთოდ არ იცოდა, კიდეც ეშინოდა და კიდეც დარდობდა. რომ არა რესტორანში შესრულებული ნომერი "ჯიუტი ბუშტი", რომელიც იმპრესარიომ ნახა, მისი ცხოვრება ასე არ წარიმართებოდა. დღეს იგი წარმატებული რეჟისორია, აქვს საკუთარი თეატრი, საკუთარი დასი, მეგობრები, ოჯახი. მძიმე მაგრამ სავსე ცხოვრება. ზუსტად არ იცის, დაბრუნდება თუ არა, მაგრამ ეს არ არის მისთვის მთავარი პრობლემა, ვაშინგტონში მას პატარა საქართველო აქვს მოწყობილი, პაატას მხოლოდ ერთის, საკუთარი იდენტურობის დაკარგვის ეშინია და თუ ეს მოხდება, თუ მისი ნამდვილი სახე მართლაც სადღაც გაქრება; ზუსტად იცის რომ მისი "განსაკურებული ხელოვნებაც" გაუჩინარდება.

# 10 წლის წინათ...

თეონა ჯაფარიძე

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი 10 წლის გახდა - სინტაქსურად ეს მარტივი წინადადება სინამდვილეში კულტურასა და კულტურულ მემკვიდრეობასთან ნოვატორულ მიდგომასთან, სერთაშორისო კონტაქტებსა და პროექტებთან და, რაც მთავარია, ყველაზე საინტერესო და რთულ პერიოდთან - 10 წლის წინანდელ საქართველოსთან ასოცირდება.

დღევანდელი გადასახედიდან მაშინდელ შეგრძნებათა მოგონებები იდენტურია: - "1995 წელს, როდესაც მუშაობა დავიწყე აშშ-ს საელჩოში საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის თანამდებობაზე, თბილისში ცოტა რამ თუ მუშაობდა კარგად - არ იყო გათბობა, ელექტროენერგია, წყალიც კი ხანდახან მოდიოდა. არ იყო არც ბენზინგასამართი სადგურები და არც სუპერმარკეტები. ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით თბილისი საცხოვრებლად მძიმე და საშიშ ადგილად მეჩვენებოდა. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს გმირ ქართულ ორგანიზაციათა რიცხვს მივაკუთვნებ, რომელმაც მსოფლიო მასშტაბის კონტაქტების წყალობით ქართული ხელოვნებისთვის მრავალი საჭირო პროექტი განახორციელა", - იხსენებს ქალბატონი ომი კერი.

ან კიდევ: "10 წლის წინ, ადრეულ გაზაფხულზე, მარტში, თბილისში ძალიან ციოდა, შუქი იშვიათად მოდიოდა და გათბობაც არ არსებობდა. ქართველთა ხასიათსა და სულზე მეტყველებს ის, რომ ძნელ დროს ელექტროენერგიას იზოგავდნენ იმისთვის, რაც მათვითს მნიშვნელოვანი იყო: - სპექტაკლები რუსთაველის თეატრში, სიმფონიური მუსიკის კონცერტები, სამხატვრო გალერეების გახსნა და, რა თქმა უნდა, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბება. ჩვენ გაგონილი გვქონდა და გვჯეროდა, რომ ყველა ქართველი ხელოვანია.." - ეს მოგონებები კი Aid tu Artsans-ის პრეზიდენტის ბატონ კლერ ბრეტ სმიტისაა. ჩაბნელებულ, სიცივისგან გაყინულ "ხელოვან" ანუ ცოტა უცნაურ, არტისტულ ქართველებზე მაშინ აქ, ჩვენთან მოხვედრილი ახლად გაჩენილი დიპლომატიური კორპუსისა თუ უცხოური მისიების ბევრი წარმომადგენელი გიამბობთ. დარწმუნებული ვარ, უმეტესობა



ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივი

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დაბადებასაც გაიხსენებს. თავად მისი დამაარსებლის ქალბატონ **მაკა დვალიშვილის** მოგონება და შეგრძნებები კი დღესაც ისეთივე საქმიანი და ოპტიმისტურია, როგორიც 10 წლის წინათ იყო:

"...სიბნელე, სიცივე... რიგი პურის მაღაზიებთან... უსუსურობის შეგრძნება. ამ მდგომარეობიდან ჩვენთვის ერთადერთი გამოსავალი საქმის კეთება იყო. გვინდოდა შეგვექმნა რაღაც ახალი. ამ დროს ძველი უკვე ინგრეოდა. იშვიათად ისმოდა ახალი ტერმინები: საბაზრო ეკონომიკა, მოქალაქე და საზოგადოება, კიდევ უფრო იშვიათად - მენეჯმენტი.

ჩვენი საქმიანობის მიმართულება გამოკვეთილი იყო - ყველაფერი ხელოვნებისა და კულტურის სფეროდან, ხოლო ფორმა და სტრუქტურა სრულიად ახალი უნდა შეგვექმნა."

და, მართლაც, სახელოვნებო ბაზრისა და კულტურის მენეჯმენტზე საუბრები სწორედ აქედან დაიწყო. ქართულმა ხელოვნებამ და ხელოვნების ნაწარმოებმა დასავლურ ბაზარზე პირველი ნაბიჯები გადადგა. ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად კი ცნობილი საერთაშორისო ფონდები ამოძრავდნენ. ცენტრის მიერ მოწვეულმა ცნობილმა სპეციალისტებმა ძეგლების შესწავლის, რესტავრაციისა თუ კონსერვაციის ახალი დასავლური მეთოდები შემოგვთავაზეს. საერთაშორისო სახელოვნებო ფონდებმა ცენტრის მეშვეობით ქართული კულტურის დასახმარებლად დროული მესიჯები მიიღეს.

საზოგადოებას ცენტრის მიერ განხორციელებულ უამრავ პროექტს შორის ყველაზე მასშტაბურებს გავახსენებ: ყინწვისის ფრესკების გადარჩენა, ტიმოთესუბნის მოხატულობის შესწავლა და კონსერვაცია, მარტვილის ღვთისმშობლის ტაძრისა და გელათის მონასტრის მთავარი, ღვთისმშობლის ეკლესიის კედლის ფერწერის კვლევა.

ხოლო თუ თვალს გადავავლებთ ცენტრის საგალერეო და საგამოფენო საქმიანობას, რა თქმა უნდა, გავიხსენებთ ხალხური რეწვის ოსტატთა ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებს, საზოგადოებას დიდხანს დაამახსოვრდება ცენტრის საგამოფენო დარბაზებში წარმოდგენილი თეატრალური კოსტიუმებისა და რეკვიზიტის იმპროვიზირებული ჩვენება "ისტორია, სტილი, კოსტიუმი" (2001 წ.), სხვადასხვა მუზეუმიდან წარმოდგენილი "მუსიკალური ინსტრუმენტების" გამოფენა (2000წ.) და უკვე პოპულარული სამუზეუმო ასლები - "სამკაული და ისტორია" (უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. 2004წ.).

აქ წარმოდგენილი ყოველი ექსპოზიცია ყოველ ჯერზე ვრცელი საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში კარგად გააზრებული პროექტების მხოლოდ ნაწილი გახლდათ და არასოდეს შემოიფარგლებოდა ექსპონატთა მხოლოდ ლამაზი, ზედაპირული ექსპონირებით.

შაბათ საღამოს ცენტრის უამრავმა მეგობარმა თუ პარტნიორმა ერთად აღნიშნა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის 10 წლის იუბილე. ცენტრი სახელმწიფო მუზეუმის შენობას თეატრალური კოსტიუმების დემონსტრირებით, კლასიკური მუსიკის ცოცხალი შესრულებითა და შამპანურით დაემშვიდობა. 10 წლის შემდეგ ახალი ეტაპი იწყება. პირველი, რაც თვალში გეცემათ, იცვლება ცენტრის ოფისის მისამართი...

# "სესილი" დიდ ეკრანებზე

ვერა ნეფარიძე

*მეორე წელიწადია, რაც სტუდენტური ფილმების ფესტივალი "სესილი" სარდაფიდან ამოვიდა; ესეც არ იკმარა და საერთაშორისო სტატუსი მიიღო. წლევანდელ ფესტივალ-კონკურსში 15 ქვეყნის წარმომადგენლის კინონამუშევარი მონაწილეობს. მათ შორისაა კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში საჩვენებელი დოკუმენტური ფილმიც უკრაინიდან.*

წლევანდელი ფესტივალის კინოჩვენებები ჟანრულ ერთფეროვნებას გასცდა. მხატვრული, დოკუმენტური, მხატვრულ-ანიმაციური, ანიმაციური, ექსპერიმენტული, რეკლამა, მუსიკალური ვიდეო, სიურეალისტური აბსტრაქცია - ასეთია "სესილის" მონაწილე ქართველ და უცხოელ რეჟისორთა ჟანრული გადაწყვეტა. ერთადერთი შეზღუდვა, რაც ფესტივალში მონაწილე ფილმებს წაუყენეს, ნამუშევრის ქრონომეტრაჟია - 40 წუთი ფილმებისთვის მაქსიმალური დროა, რადგან ფესტივალი მხოლოდ მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის არის გათვალისწინებული.

მეხუთე წელიწადია, ფესტივალს საქართველოს ხელოვანთა კავშირი "სესილი" მართავს. ყველაფერი კი კლუბ "სარდაფში" 2001 წელს რეჟისორ დათო ჯანელიძის ინიციატივით დაიწყო. მაშინ ფესტივალის სახელწოდება იყო "ჩვენ მოვდივართ", სესილი კი კონკურსის მთავარ პრიზს ერქვა. ფესტივალმა იმთავითვე დააინტერესა სტუდენტები საქართველოში, რომელთაც (უფრო სწორად, ფესტივალის გამარჯვებულებს) მომდევნო, 2002 და 2003 წლებში იტალიის საელჩოს დახმარებით მიეცათ შანსი, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გამგზავრებულიყვნენ "რაი უნოში". ფესტივალი წლიდან წლამდე ძალებს იკრებდა. შარშანდელი "სესილი" კინომსახიობთა თეატრში გაიმართა; უცხოური ფილმები მხოლოდ არასაკონკურსო პროგრამაში ჩასვეს; გამარჯვებული ნამუშევრები გაიგზავნა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე - ყველაფერმა ამან კი წლევანდელი ფესტივალის პრესტიჟი ერთი საფეხურით მაღლა ასწია. "სესილიმ" უკვე ქალაქის მთავარ კინოდარბაზებში გადაინაცვლა; საკონკურსო პროგრამაში (საქართველოსთან ერთად) ათზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელთა კინონამუშევარი შეიტანეს.

წლეულს ფესტივალი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს




პატრონაჟით იმართება. "ვფიქრობ, ამგვარი ღონისძიებების ტრადიციულობა ქართული კინოს განვითარებისა და მომავალი წარმატების საწინდარია", - ამბობს გიორგი გაბაშვილი. მინისტრი უფრო დაწვრილებით "სესილის" მნიშვნელობაზე ფესტივალის დღევანდელ გახსნაზე ისაუბრებს. "ახალგაზრდული კინოფესტივალი "სესილი" ყოველმხრივ მისასალმებელია, რადგან ამ ფილმების ჩვენებაზე გამოჩნდება სტუდენტურ-ახალგაზრდული უნარ-ჩვევები, თანამედროვე აზროვნებისა და სინამდვილის აღქმა შემოქმედებითი თვალსაზრისით, იგი ქართული კინოს მომავლის პერსპექტივას დაგვანახებს", - მიაჩნია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ ნათია ამირეჯიბს; ფესტივალის სულისჩამდგმელს კი მიაჩნია, რომ ხუთწლიანმა შრომამ უკვალოდ არ ჩაიარა: "იმედი მაქვს, დღევანდელი სტუდენტები მომავალში საერთაშორისო ეკრანებს დაიპყრობენ და ქართული კინოს შესანიშნავ ტრადიციებს გააგრძელებენ", - ამბობს რეჟისორი დათო ჯანელიძე.

"სესილის" ასეთი ტრადიცია აქვს: ფესტივალი ყოველწლიურად დარბაზს უთმობს თბილისის სამხატვრო აკადემიის კინომხატვრობის ფაკულტეტის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენას. წლეულსაც ასე გაიხსნება ფესტივალი, იმ განსხვავებით, რომ საგანგებოდ მათთვის (უფრო სწორად, საუკეთესო ავტორებისთვის) დაწესებულია სპეციალური პრიზი (მოოქროვილი მზესუმზირა) "სესილის მზესუმზირა". ტრადიციული რჩება ფესტივალის მთავარი პრიზი - მოოქროვილი ბრინჯაოს ფიგურა "სესილი", რომელიც ექვს მთავარ ნომინაციაში გაიცემა. ეს ნომინაციებია: საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული, მოკლე ნამუშევარი, მუსიკალური ვიდეო, ანიმაციური ფილმები. ამას გარდა, დაგეგმილია სპეციალური დიპლომებით დაჯილდოება ხმის რეჟისურის, საუკეთესო მონტაჟის, დებიუტის, ორიგინალური მუსიკის, მამაკაცისა და ქალის როლების საუკეთესო შესრულების, ორიგინალური გადაწყვეტის, საუკეთესო მხატვრობის, საუკეთესო სცენარისა და საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრებისთვის.

ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალს კინოთეატრი "ამირანი" უმასპინძლებს; ფილმებს კი "რუსთაველში" უჩვენებენ (ამავე კინოთეატრის მცირე დარბაზში სტუმრებისთვის გაიმართება ქართული ფილმების ჩვენება). ამას გარდა, ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია სესილია თაყაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო; ასევე ჰოლანდიელი ანიმატორის გარით ვან დიკის მასტერკლასი თემაზე: "მოკლე ანიმაცია". რაც შეეხება ჟიურის, ის ხუთ წევრს, გერმანელ რეჟისორს გერბენ შერმერს, კინორეჟისორ დათო ჯანელიძეს, კინოოპორეტორ გიორგი ბერიძეს, კინომცოდნეებს გიორგი კალატოზიშვილსა და მარინა სალუქვაძეს აერთიანებს.

წლევანდელ ფესტივალზე ორგანიზატორები 60-მდე ფილმის ჩვენებას გვპირდებიან. სხვათა შორის, "სესილის" მაყურებელმა, შესაძლოა, კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამის სტუმრებზე ადრე იხილოს უკრაინელი რეჟისორის იგორ სტრემბიცკის დოკუმენტური ფილმი "თანამგზავრები". ასეთი დამთხვევა "სესილის" ორგანიზატორებს ნამდვილად აძლევს სიამაყის საფუძველს.

# სამი ფილმის შესახებ




*გაუმარჯოს კინოს - კანის საერთო პანორამა*

კანის ფესტივალი სრული სვლით მიდის წინ და საზოგადოებამ უკვე იხილა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეჟისორის მნიშვნელოვანი სურათი.

მათ შორის არის მიხაილ ჰანეკე და მისი "დამალული", მთავარ როლში ჟულიეტ ბინოშით. ფსიქოლოგიური დრამა, რომლის შესახებაც პრესა ცალსახად აცხადებს, რომ ტიტრების ეკრანიდან გაქრობის შემდეგაც ფილმზე ფიქრი არ ნელდება. რჩება კითხვები, რომელთა პასუხებსაც ჰანეკე არ იძლევა. პრესკონფერენციაზე კი ამბობს, რომ პასუხების გაცემა მისი მიზანი არასდროს ყოფილა. "ახსნა-განმარტებებზე არ ვზრუნავ. ფილმი განზრახ ავაგე ისე, რომ კითხვები დარჩენილიყო. მსურდა, მაყურებლის გონება შორს გამეტაცებინა".

როგორც ამ ციტატით მიხვდებოდით, ჰანეკეს პრესკონფერენციამ ძალიან გულწრფელ გარემოში ჩაიარა. ჟურნალისტები რეჟისორს არ მოერიდნენ და აღიარეს, რომ მისი ფილმის ცქერა დრო და დრო არაკომფორტულიც კი იყო. პირველ რიგში, ამ კომენტარს თავი ბინოშმა დაუკრა.

"არის რაღაცეები ცხოვრებაში, რისი ატანაც ადამიანურ ძალებს აღემატება. ხანდახან იძულებული ხდები საკუთარ შინაგან სამყაროში ჩასახლებულ დემონებს თვალი გაუსწორო. ეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ამიტომ მგონია, რომ მსგავსი ფილმები ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. ხანდახან მართლა უნდა წახვიდე და ნახო... არა, ყოველდღე, რა თქმა უნდა, არა".

"დამალული" მოგვითხრობს ერთი კაცის ისტორიას, რომელიც იძულებულია, დასავიწყებლად გამეტებული წარსული გაიხსენოს. პუბლიკა ამ გახსნების პროცესში იოლად ინტრიგდება. შოკის მომგვრელი სცენები ერთმანეთს ცვლის, კინოში კინოს გამოყენების ტექნიკაც თავის საქმეს აკეთებს. სწორედ ამიტომ დროდადრო ფილმის ყურება მართლაც გაუსაძლისი ხდება. მაგალითად, ასე: გამხსნელი სცენა - მალე ირკვევა, რომ ფრანგული სახლი მხოლოდ იმ ვიდეო-ფირის ნაწილია, რომელსაც ფილმის ორი მთავარი პერსონაჟი უყურებს. "ვიდეო-კასეტების გამოყენება იმიტომ დამჭირდა, რომ წყალი შემეყენებინა იმ სიმართლისთვის, რომელიც ჩვენი აზრით რეალობაში სუფევს".

ჰანეკე იქვე დასძენს: "ჩემთვის ეს ფილმი ძალიან პირადულია. გიამბობთ დანაშაულის გრძნობაზე და იმაზე, თუ როგორ უმკლავდება ადამიანი ამ გრძნობას".

აღსანიშნავია ისიც, რომ "დამალულის" შინაარსი ყველასთვის დამალული დარჩა, ვინც ჩვენებას არ დაესწრო. რეჟისორმა საგანგებოდ სთხოვა ჟურნალისტებს, თავიანთ სტატიებში მაქსიმალურად შეეკავებინათ თავი შინაარსის გადმოცემისგან. ასე რომ, დასასრულის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია.

კანში უკვე მოასწრეს იმ ბრიტანული დოკუმენტური სურათის ნახვაც, რომელიც "9/11"-ის ფუნქციას ასრულებს და კინოხელოვნების ზეიმად ქცეულ ფესტივალზე პოლიტიკურ თემატიკას აბრუნებს. "კოშმარის ძალაუფლება" ასე ჰქვია "ბი ბი სი"-ელი პროდიუსერისა და რეჟისორის ადამ კერტისის სურათს, რომელიც გლობალურ ტერორიზმზე მოგვითხრობს.

ფილმი არასაკონკურსო პროგრამით უჩვენეს, მაგრამ 2 საათზე მეტ ხანს გაწელილმა კინოსეანსმა პრესაც და რიგითი პუბლიკაც ძალიან დააინტერესა. კერტისის აზრი ასეთია: ტერორიზმის შიშით ბრიტანეთი და შტატები თანაბრადაა შეპყრობილი და ეს ჯორჯ ბუშის და ტონი ბლერის სტრაგეგიის ბრალია: ისინი ისევე აზვიადებენ ცნობებს ამ საფრთხის შესახებ, როგორც წინა მთავრობები - კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის საფრთხეს. ფილმი იწყება და მთხრობელიც ზუსტად ამ აზრს ავითარებს: "ცივი ომის პერიოდში კონსერვატორები საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელი საფრთხის შესაძლებლობას აშკარად აზვიადებდნენ. რეალურად სულ სხვა სურათი არსებობდა - საბჭოთა კავშირი შიგნიდან, თავისით, ნელნელა ირღვეოდა. ასეა ახლაც. ისლამისტი ექსტრემისტებისგან მოსალოდნელი საფრთხეც გაზვიადებულია იმიტომ, რომ ის გადასარევად ჯდება ეპიკური ომების ამერიკისეულ მოდელში".

უნდა ითქვას, რომ კერტსის სამნაწილიან სურათს ბრიტანეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ფილმი ბრიტანეთის კინო და ტელე-ინდუსტრიის მთავარი პრიზითაც დაჯილდოვდა.

თუმცა, თვითონ რეჟისორი აცხადებს, რომ მაიკლ მურთან საერთო არაფერი აქვს. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს მან ასეთი პასუხი გასცა: "მური პოლიტიკური აგიტპროპაგანდისტია. მე - არა. ფილმის ყურებით ჩემს პოლიტიკაში ღრმად ვერ ჩაიხედავთ".

დაბოლოს, კანში უკვე დადგა კურტ კობეინისა და გუს ვან სანტის დროც. "უკანასკნელი დღეები" ნირვანას" ლიდერის ცხოვრებას ეძღვნება. სურათი საკონკურსო პროგრამის ფარგლებში აჩვენეს. ჩვენების დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კი რეჟისორმა ჟურნალისტებს განუცხადა: "მინდა, რომ ფილმი კორტნი ლავმაც ნახოს, მაგრამ ვიცი, რომ ეს მისთვის მტკივნეული იქნება. ამიტომაც ალბათ ჯობს, არ ნახოს. თან, არც ვიცი, როგორი რეაქცია ექნება მას. ეს ხომ მისი ცხოვრება იყო".

გუს ვან სანტის მთავარ გმირს ბლეიკი ჰქვია. ის კობეინის მსგავსად მარტოსული და დეპრესიული როკ-ვარსკვლავია, რომელიც მთელ დროს საკუთარ თავთან საუბარში, ყველიანი მაკარონის ჭამაში, ქალის ტანსაცმელის მორგებაში, ტელევიზორის ყურებაში და უაზროდ ყოფნაში ატარებს.

რეჟისორი ამბობს, რომ მისი ფილმი არ არის კობეინის ცხოვრების მიხედვით გადაღებული. სინამდვილეში ხომ არავინ იცის, რა მოხდა მანამ, სანამ მუსიკოსი გამოსათხოვარ წერილს დაწერდა და თავს მოიკლავდა. ამიტომაც რეჟისორმა გამოიგონა ამბავი კობეინის შესახებ და ასე გათავისუფლდა ბიოგრაფიული დეტალებისგან.

რაც შეეხება კანს, გუს ვან სანტი მას მესამედ სტუმრობს. "აქაურობა ძალიან მიყვარს, უბრალოდ, მედიასთან ურთიერთობას ვერიდები. საკუთარ ფილმებზე ლაპარაკი არ მიყვარს. ფილმებს ხომ იმაზე ვიღებ, რაზე ლაპარაკიც არ გამომდის. არადა, ზოგი რეჟისორი ვიცი, სხვანაირად იქცევა. ისინი იმიტომ იღებენ ფილმებს, მერე რომ გაარჩიონ. მე ეს არ შემიძლია. მთელი ჩემი სათქმელი ეკრანზე დევს".

ფესტივალი კი გრძელდება. ემირ კუსტურიცას თაოსნობით, ჟიურის მართლაც რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს. ფილმებს ხომ წელს საკონკურსო და არასაკონკურსო პროგრამებშიც ნამდვილი ოსტატები წარმოადგენენ.

*ბიძინა მაყაშვილის სვეტი*



# კომპიუტერი

კომპიუტერები საქართველოში ადრეც იყო, მაგრამ ერის მასობრივი კომპიუტერიზაცია 90-ანი წლების შუახანებში დაიწყო. თავიდან მათ მხოლოდ სათამაშოდ და საბეჭდად იყენებდნენ. მერე საბუღალტრო პროგრამები აითვისეს, დაკაბადონება ისწავლეს, მერე მუსიკოსებიც მიადგნენ, მხატვრები და ვიღა არა. რაც ინტერნეტს გაუსინჯეს გემო, ხომ ჭკუა დაკარგეს, თუმცა მთავარი ჭირი - საჭორაო ქსელში მასტურბირება - წინ იყო.

მაგრამ, სანამ აქამდე მივიდოდნენ, რაღაც ეტაპების გავლა მოუხდათ. 90-ან წლებში მატერიალურად და მორალურად განადგურებულ საქართველოს, ისევე როგორც თავის დროზე წითელი ჯარი, თავს დაესხა წითელი ჯვარი და მსგავსი მისიის მქონე უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია: საელჩოები, გაეროები, ევროკომისიები, ფონდები, მსოფლიო ბანკები, ტასისები, სავალუტო ფონდები, ენჯეოები, ჰუმანიტარული ორგანიზაციები და დემოკრატიის სხვა საფუძვლები.

ეს ორგანიზაციები ქალაქის ცენტრალურ უბნებში ქირაობდნენ საოფისე ბინებს და აკეთებდნენ ე.წ. ევრო-რემონტებს. ასეთ ოფისში ძირითადად ხუთიოდე ადამიანი მუშაობდა: მისიის უცხოელი ხელმძღვანელი თავისი ბოი- ან ლედი-ფრენდთან ერთად; მისი ქართველი კოლეგა: ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ერთი წელი ამერიკაში ჰქონდა ნასწავლი და ინგლისურს სამხრეთული აქცენტით და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა; ეცვა აგურისფერი პიჯაკი და ცისფერი ამერიკული "საროჩკა" (ვიკენდზე თუ შეივლიდა ოფისში, "ნაიკში, "ლივაისში" და საუნივერსიტეტო T-შირთში გამოეწყობოდა); იყო საოცრად თანამედროვე - მისი საყვარელი რეჟისორი კამერონი იყო, მწერალი - სტივენ კინგი; ეგონა, რომ უყვარდა ჯაზი (ამერიკაში ყოფნისას ბარბრა სტრეიზენდის კონცერტზე მოხვდა), ამიტომ კვირაში ერთხელ შეფთან, ან უცხოელებთან ერთად დადიოდა ჯაზ-კლუბში, სადაც "წესიერი "ბლადი მერის" დამზადება ვერ ისწავლეს"; ხანდახან პეროვსკაიას პაბებში ჰქონდა ბიზნეს-ლანჩი ("იქ კარგი "გინესია"), საერთოდ კი დიეტურ კოკა-კოლას და უცხიმო ჰამბურგერებს მიირთმევდა; ეწეოდა მხოლოდ სუპერლაითს; მაგიდაზე ყოველთვის ეყარა Newsweek და Financial Times; რატომღაც იცოდა ბეისბოლის წესები და ფილადელფიის მერის გვარი; ცხოვრებაში არფრის არ ეშინოდა შიდსის და ზვიადისტების გარდა; ჰყავდა საცოლე (მამის კოლეგას შვილი), რომელიც იმჟამად ბრიუსელში იყო სტაჟირებაზე, ან მუშაობდა თბილისში, მსგავს მისიაში პროექტის კოორდინატორად.

გოგონა ამ ოფისშიც მუშაობდა - ჩვენებურად მდივანი, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი: იცოდა კარგი ინგლისური, ბეჭდავდა, თარჯიმნობდა, ფლობდა კომპიუტერს, წარამარა უდუღებდა ყავას უსაქმურ თანამშრომლებს (განსაკუთრებით ოფის-მენეჯერს და მძღოლს); უყვარდა კლასიკური მუსიკა და დადიოდა ნიორაძეზე, სპივაკოვზე, ანანიაშვილზე, რეი ჩარლზზე; კითხულობდა "ინასტრანკებს" და უყურებდა "ფსიქოს"; ეწეოდა და ჭამდა ცოტას; სამსახურში ეცვა საქმიანად და გემოვნებით; ცდილობდა ყოველთვის კარგ ხასიათზე ყოფილიყო (მაშინაც კი, როცა მენსტრუაცია უგვიანებდა); გათხოვილი არ იყო; ეშინოდა ქუჩაზე გადასვლის (ბავშვობაში მის თვალწინ მანქანამ კაცი მოკლა) და სამოქალაქო ომის.

აქვე მუშაობდა 40-ოდე წლის ოფის-მენეჯერი (მომმარაგებელი); ინგლისურს სკოლაში ნასწავლის დონეზე ფლობდა, სამაგიეროდ იცოდა ტერმინები: ფაილ, ბაინდერ, სტეპლერ, კარტრიჯ, ჰოლდერ, მარკერ და ა.შ.; ეცვა გრძელი პალტო და "ინსპექტორები"; საყვარელი ფრაზა: "აუ ჩემი, რა ჟმოტები არიან ეს უცხოელები!" უყვარდა ფეხბურთი, მე-2 არხის ფილმები, "დათა თუთაშხია", სინდი კროუფორდი და რიყეზე ხინკლის საჭმელად სიარული; ეშინოდა სიმაღლის და იმის, რომ ცოლს არ გაეგო მისი და სინდის ამბავი; დროდადრო ქსელში ჩარტებს აკეთებინებდნენ, მაგრამ, როცა უფროსები არ იყვნენ და მძღოლი თუ არ დაასწრებდა, კომპიუტერზე doom-ს თამაშობდა.

მძღოლი ძირითადად საქართველოს მაღალმთიანეთში დაატარებდა შეფს და მის სტუმრებს. სანამ ოფისის უშველებელ, თეთრ "ნისან პატრულს" მოაჯდებოდა, აშშ-ს საელჩოს დაცვაში მუშაობდა რემონტის დროს. ჰყავდა 3 შვილი; აფხაზეთის ომში დაეღუპა ბავშვობის მეგობარი, ამიტომ ვერ იტანდა არძინბას; არჩევნებში "მოქალაქეებს" მისცა ხმა; როცა საჭესთან არ იჯდა და კომპიუტერიც დაკავებული იყო, ავსებდა (ვერ) კაიფვორდებს; ეშინოდა სამსახურის დაკარგვის და ქელეხში (ქორწილში) სოკოთი მოწამვლის.

თანამშრომლებთან კომპიუტერს ყველაზე მეტად მოხუცი დამლაგებელი ქალი გაურბოდა (ერთხელ უფროსს რაღაც წაეშალა და დამლაგებელს დააბრალა - კლავიატურაზე ჩვარი გადაუსვაო). ის კიდევ ოთხ ადგილას მუშაობდა; კეთილსინდისიერი იყო, მაგრამ როცა პლასტიკის ყვავილებიდან უხდებოდა მტვრის გადაწმენდა, ძალიან ღიზიანდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოფისში იტალიური მტვერსასრუტი ჰქონდათ (გადამწვარი), ის მაინც ტრადიციული ვედროთი, ცოცხით და ჩვრით ალაგებდა იქაურობას - ზუსტად ისე, როგორც როკ-ენ-როლის ეპოქის დასაწყისში.



# წერილი ფერეიდანიდან

***ყოველგვარი შესწორების გარეშე გთავაზობთ ტექსტს, რომელიც ჩვენი გაზეთის აქტიურმა მკითხველმა ელექტრონული ფოსტით მიიღო***

### ჩვენთან არს ღმერთი

ჩემო ძვირფასო ძმაო გიგი გიგინეიშვილო მოგესალმებიჩვენს ბატარა საქართველოდან, როგორ ბრძანდებით, იმედი რომ კარგად და ბედნიერად და ჯამრთელად იყო.

როგორც იცით ჩვენ ფერიდანშსი გვაქვს ერთი საზოგადოება "ირანელ ქართველთა საზოგადოება" და ამ საზოგადოებაში მონაწილობს ბევრი ქართველი ფერიდნელი მათ შორის ახალგაზრდა ბიჭები და გოგოვები, რომ ყველანი გულით და სულით ცდილობენ ჩვენი საზოგადოების მიზანების შესრულებისათვის .ქართული ენის და კულტურის შენახვა

და გამრავლება და გაცნობა ქართველებსათვის და ირანელ სხვადა სხვა ტომებსათვის. ამ 4 წლის განმავალში ჩვენი ჯგუფს გავკეთები ბევრი საქმები მათ შორის ქართული ენის თვითმასწავლებელის

გამზადება და დაბეჭდვა, კასეტას გამზადება, ბრუშურების გამზადება ქართველების შესახებ, ჟორნალ გაზეთებშსი სტატიების დაბეჭდვა ქართველების ისტორია და კულტურის შესახებ და ბევრი სხვა ასეთი საქმები. ერთ-ერთი ჩვენი მნიშვლენოვანი და დიდი საქმე არი ქართული ენის დიდების ყრილობის ჩატარება 14 აპრილში.

მიმდინარე წელში ჩვენმა საზოგადოებამ მოიძადინა რომ ჩატაროს ეს სერემონია და იმიტომ რომ ეს ყრილობა და სერემონია იყოს კარგი და შედეგიანი და სახელოვანი ბევრჯერ იყო სხდომა ჩვენი აქტიური წევრების შორის.




*ფერეიდნელი ქართველები*

ბევრი რამის შესახებ იყო თადბირები. აბა სად იყოს, როგორ იყოს. ვინ იყვნენ სტუმრები, ვინ იყოს მოლაპარაკე, რომელი გაზეთებში დაიბეჭდოს ის ფროგრამის ამბებია, როგორ გადვიღოთ ფილმი და ბევრი სხვა საჭირო რაღაცები.

ჩვენი სხდომების შედეგები ასე იყო რომ ყრილობა იყოს საიდ მულიანის ხელმძღვანელობით. მოვწიოთ 400 ადამიანი, ქართველბი რომელებიც უყვართ ასეთი ფროგრამები, ცნობილი და დიდი უნივერსიტეტების ოსტადები, ცნობილი მწერალები, პოეტები, მეცნიერები, საქართველოს ელჩი, ირანელ დაწესებულების უფროსები, კორესპონდენთები, და მომღერალები.

ჩვენმა კარგი ბიჭებმა მათ შორის არსენ ონიკაშვილი (ჰასანალი რაჰიმი), დავით დავითაშვილი (დავუდ რაჰიმი), ნიკო ასლანი (მორთეზა ასლანი), იოსელიანი, აჰმად მულიანი, ჰოსეინ თავაზოჰი, ქარიმი, დავით გუგუნაშვილი (დავუდ აბასი) ებრაჰიმ თარყი, მოსთაფა ამინ, მორთეზა

მულიანი, საიდ მოყადასი, მოჯთაბა რაჰიმი, ფედრამ თავაზოჰი, ნაზარი, და ბევრი სხვა ნამდვილი. ქართველებმა თავინთი აქტიური მოღვაწეობით რამდენი დღე ღამით დამზადეს ძალიან ბევრი რაღაცა საჭირო იყო მაგალითად წარწერილები, კალენდარი, სახსოვარი.ჰიმნები. საჭმელები,

საქსოვები, სიდიები, სერემონიას ადგილი და ბევრი სხვა და სხვა რამები.

14 აპრილში ყველას გული და სული და ფიქრი ეს იყო აბა როგორ ჩატარდება ჩვენი სერემონია. ნეტანვ ფრობლემა არ იყოს. ნეტავ მოეწონოს ხალხს. ნეტავ მტერმა არ გაფუჭოს ჩვენი საქმე.ნეტავ ხალხი კმაყოფილი გავიდეს დარბაზიდან დასასრულში.

14 აპრილში 3 საათზე მოვიდა ბევრი ხალხი. დარბაზში ნემსის ადგილიც აღარ იყო. მეცნიერები, მწერალები, პოეტები, მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, გოგოვები, კორესპონენტები, ჯურნალისტები, საქართველოს ელჩი და დელეგაცია, ირანელ დაწესებულების უფროსები და დარბაზის გარეთაც იყო ბევრი ხალხი რომ მთელი ფრიგრამის განმავალში ფეხზე იდგეს გარეთ და უსმენდეს ფროგრამს.

დაიწყო ფროგრამი ირანის ეროვნული ჰიმნით. სიხარულით კანში ვერ ვდგებოდი მინდოდა მქონდა 2 ფრთა და გაფრენილვიყავი. მინდოდა მინახვა ჩვენი 400 წინაორები და მეთქვა ნახეთ თქვენი შვილები ვართ თქვენი გზაზე თქვენი მიზნების შესრულებისათვის ვცდილობთ, გიხაროდეთ რომ არ დაიკარგა თქვენი სისხლი და ფესვები. მერე მე ჩევნი საზოგადოების მხრიდან არა ხელმძღვანელად არამედ ერთ ერთი ქართული ერი და ენის მონა მორჩილად ჩვენი სტუმრებს მოვესალმე და მათი მობრძანებას კეთილი უთხარი. მერე ილაპარაკეს მწერალებმა რომლების არიან ძალიან ცნობილი მათ შორის ფროპესორი დოქთორ ამირაჰმადიანი, ფროპესორი დოქთორი მირჯაფარი, ფროპესორი ფარაჰბახში. მერე ჩვენმა მომღერალებმა იმღერეს ქართულად. პოეტებმა იკითხეს თავინთი ლექსები ქართულად. საქართველოს ელჩმა ბატონო ლევან ასათიანმა ილაპარაკა.

და 400 ჩვენი სახელოვანი ყოფნის სახსოვრად მივეცით ჩვენს სტუმრებს 400 ქართული კალენდარი 400 ქართული სიდი მოლაპარაკე ანბანი 400 ყრილობის სახსოვარი. 3 საათის განმავალში რომ იყო ფროგრამი არც ერთმა არ დაიღალა და ბოლოს ყველა იყო კმაყოფილი და ძალიან მადლობელი. ყველა მოდიოდა კოცნიდა და მადლობას იხდიდა. და ჩვენც იმდენი დაღლილობა არარ გვატყობდა და ისეთი დასვენილი ვიყავით სიხარულით როგორც ფრინველი ცაში.

და ეს ჯერ განთიადი ჩვენი შრომების მომავალში შევასრულებთ დიდი საქმებს ღვთის იმედით. ამ კარგი ახალგაზრდებით მგონი მოკლე ხანში მთელი მსოფლიო იამაყებს ირანელ ქართველთა საზოგადოების შორმისგად.

ქართული ენის მონა მორჩილი და დედა ენის დიდების პირველ ყრილობის ხელმძღვაანელი

*საიდ მულიანი*

ინფოთეკა

## მაკელელე "ჩელსიში" კიდევ სამი წლით დარჩება

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა კლოდ მაკელელემ ლონდონის "ჩელსის" თავისი ბედი კიდევ სამი წლით დაუკავშირა. ფეხბურთელს "სტემფორდ ბრიჯზე" თამაში ძალიან მოსწონდა და ამიტომ ამ ამბავმა არავინ გააოცა.

32 წლის ფეხბურთელი, რომელიც მადრიდის "რეალიდან" 2003 წელს 16,6 მილიონ ევროდ გადმოვიდა, წლევანდელ სეზონში ლონდონური კლუბის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო. იმის მიუხედავად, რომ ფრანგმა პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაკელელეს წვლილი "ჩელსის" გამარჯვებებში უმნიშვნელოვანესია. ასეთი მცირეგოლიანობა კი უბრალოდ აიხსნება. მაკელელე მკვეთრად გამიჯნულ დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველია.

"კლუბთან ახალი სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ, - პროცედურის დასრულების შემდეგ განაცხადა ფეხბურთელმა, - წლევანდელი სეზონი ჩვენთვის ფანტასტიკური იყო. მოვიგეთ პრემიერლიგა, ლიგის თასი და მე სიამოვნებით გავაფორმე კონტრაქტი. შეიძლება "ჩელსიში" კარიერის ბოლომდე დავრჩე".

## ანრი და რეიესი ინგლისის თასის ფინალში არ ითამაშებენ

ინგლისის თასის ფინალურ მატჩში ლონდონის "არსენალი" იძულებული იქნება, ორი შემტევი ფეხბურთელის გარეშე ითამაშოს. ფრანგი ტიერი ანრი და ესპანელი ხოსე ანტონიო რეიესი მატჩს გამოტოვებენ. ანრის საზარდული აწუხებს. რეიესმა კი "ევერტონთან" შეხვედრაში მძიმე დარტყმა მიიღო ფეხში და ფინალს მიღმა აღმოჩნდა.

## ულიე "ლიონს" ელაპარაკება

ინგლისის "ლივერპულის" ყოფილმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის ჩემპიონ "ლიონთან". ადრე გაჩნდა ინფორმაცია, რომ "ლიონის" მთავარი მწვრთნელი პოლ ლე გუენი სეზონის დასრულების შემდეგ კლუბს დატოვებს.

ულიემ, რომელმაც 2004 წელს დატოვა "ლივერპული", განაცხადა, რომ სურს, მშობლიური ქვეყნის საუკეთესო გუნდში მოსინჯოს ძალები. "არ დაგიმალავთ. მართალია, რომ "ლიონის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა. არც მე ვარ წინააღმდეგი, ამ კლუბთან ხელშეკრულება გავაფორმო. აღფრთოვანებული ვარ იმით, რაც ბოლო წლებში კლუბმა გააკეთა. ამას გარდა, ლიონი ფანტასტიკური ქალაქია და გუნდს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ამაზე მეტს ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით", - დაასკვნა ჟერარ ულიემ.

ფეხბურთი

# ჟიული გამარჯვებას ელოდება

ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურია დარჩენილი და "ბარსელონასთვის" ერთი ქულაც საკმარისია ტიტულის მოსაგებად. ლუდოვიკ ჟიულისთვის, რომელმაც შარშან "მონაკოსთან" ერთად კინაღამ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ესპანეთის ჩემპიონის ტიტული წლევანდელ სეზონში გაწეული შრომისთვის ღირსეული ჯილდო იქნება.

წლევანდელ სეზონში ლუდოვიკ ჟიული ფრანკ რაიკაარდის გუნდში უდავოდ საკვანძო ფიგურა იყო. მან ცხრა გოლი გაიტანა და კლუბის ბომბარდირთა შორის სამუელ ეტო`ოს შემდეგ საპატიო მეორე ადგილი დაიკავა. უეფას ოფიციალური საიტის ჟურნალისტთან საუბარში ჟიული პრიმერადივიზიონში გატარებულ სადებიუტო სეზონზე საუბრობს.



ლუდოვიკ ჟიული: "ჩემპიონთა ლიგა უნიკალური ტურნირია"

**- შემიძლია ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოგილოცოთ?**

- ჯერჯერობით ადრეა. "ბარსელონასთვის" მომდევნო მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება.

**- მაგრამ "ალბასეტესთან" და "ვალენსიასთან" გამარჯვებებმა პრაქტიკულად ჩემპიონობის გარანტია მოგცეს. არა?**

- მე პროგნოზებს თვალს არ ვადევნებ. ჩვენი მიზანი ხომ ესპანეთის ჩემპიონობაა. ახლა ზუსტად ვიცი, რომ პირველი ადგილი ჯერ გარანტირებული არ გვაქვს.

**- არსებობს მოსაზრება, რომ "ბარსას" უფრო სჭირდება ესპანეთის ჩემპიონობა, ვიდრე "რეალს", რადგან კატალონიელთა უმრავლესობა ახალგაზრდაა და ჯერ არ დაკმაყოფილებულა ჯილდოებით. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ დამატებითი პასუხისმგებლობა გეკისრებათ?**

- პასუხისმგებლობა ყველა ფეხბურთელზე თანაბრად ნაწილდება და არავითარ დამატებით პასუხისმგებლობას არ ვგრძნობთ. "ბარსელონას" ყველა ფეხბურთელს ჩემპიონატის მოგება სურს. ჩვენ სატურნირო ცხრილს სათავეში ვუდგავართ და "რეალს" ექვსი ქულით ვუსწრებთ. არა მგონია, რომ ჩვენ უნდა ვნერვიულობდეთ.

**- "მონაკოსთან" ერთად საფრანგეთის ჩემპიონატი და ლიგის თასი მოიგეთ. ამას გარდა, სამფეროვანთა შემადგენლობაში საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვეთ. რომელი ჯილდოები აკლია თქვენს კოლექციას?**

- ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და ევროპის ჩემპიონთა თასი.

**- ამათგან ერთ-ერთი რომ აირჩიოთ?..**

- ჩემპიონთა ლიგა უნიკალური ტურნირია, მაგრამ ჩემთვის უფრო ძვირფასი ესპანეთის ჩემპიონობაა, რადგან ეს ადასტურებს კლუბის შრომას მთელი წლის განმავლობაში. ლეგიონერისთვის ეს ჯილდო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ის ხომ საზღვარგარეთ სწორედ იმისთვის მიდის, რომ იმ ქვეყნის ჩემპიონატი მოიგოს.

**- როგორ ჩაიარა თქვენი ადაპტაციის პროცესმა ესპანეთში?**

- ყველაფერი შესანიშნავად იყო, რასაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და შესანიშნავმა ამინდმაც შეუწყო ხელი. ხალხი აქ პატივს მცემს. ვფიქრობ, ამ სეზონში ფასდაუდებელი გამოცდილება შევიძინე.

**- საფრანგეთისა და ესპანეთის ჩემპიონატებს შორის განსხვავება შენიშნეთ?**

- ესპანური ფეხბურთი უფრო ტექნიკური და შემტევია, რაც შესანიშნავად შეესაბამება ისეთი ტიპის ფეხბურთელებს, როგორიც მე გახლავართ. "ბარსაში" შესანიშნავად იციან, როგორ მოიქცნენ ისე, რომ გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოვუტანო. იმის გათვალისწინებით, რომ ნიჭიერი პარტნიორებით ვარ შემოფარგლული, მიზნის მიღწევა ბევრად უფრო მიადვილდება.

**- თქვენ კიდევ ერთი გოლი გჭირდებათ იმისთვის, რომ შეასრულოთ კლუბისთვის მიცემული სიტყვა: "10 გოლს გავიტან". როდის შეგვეძლება თქვენს მიერ გატანილი გოლების რაოდენობა ორნიშნა ციფრებში ვიანგარიშოთ?**

- კარგი იქნება, თუ ეს "ვილიარეალთან" მატჩში მოხდება. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი ამოცანა - მოვიგოთ ესპანეთის ჩემპიონატი.

ჭადრაკი

# გაერთიანება არგენტინაში მოხდება

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის გამაერთიანებელი მატჩი 27 სექტემბერს არგენტინაში დაიწყება. ამის შესახებ განაცხადა ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ფიდეს პრეზიდენტის საბჭოს სხდომაზე ერთხმად მიიღეს. ფინალური ტურნირის საპრიზო ფონდი მილიონი ამერიკული დოლარი იქნება.

"მატჩში, რომელიც ორ წრედ ჩატარდება, ფიდეს რეიტინგის რვა საუკეთესო მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. ყველა ერთმანეთში ითამაშებს როგორც თეთრი, ისე შავი ფიგურებით" - განაცხადა ფიდეს პრეზიდენტმა.

ამასთან, ილიუმჟინოვმა აღნიშნა, რომ რეიტინგის შესაბამისად ტურნირში ერთი ქალი - უნგრელი დიდოსტატი იუდით პოლგარიც მიიღებს მონაწილეობას. "იგეგმება, რომ ტურნირი 16 ოქტომბერს დასრულდება და საჭადრაკო სამყაროს ფიდეს ვერსიით ერთი ჩემპიონი ეყოლება.

თუმცა, ილიუმჟინოვის დიდი ოპტიმიზმის მიუხედავად, ჩემპიონატის დონე, სტატუსის გათვალისწინებთ, საკმაოდ დაბალი იქნება. საქმე ის არის, რომ ფიდეს პრეზიდენტის გარდა, საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების ნათელი იდეისა დიდი ხანია აღარავის სჯერა. გარი კასპაროვის (სხვათა შორის, მიწვევა მანაც მიიღო) წასვლის შემდეგ კი საჭადრაკო სამყაროში ერთგვარი უძრაობის პერიოდი დადგა.



ილიუმჟინოვმა არგენტინა აირჩია

უკვე ცნობილია, რომ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებს ვლადიმირ კრამნიკი, რომელმაც ჩემპიონატის ორგანიზატორებს საპასუხო მოთხოვნები წაუყენა. კრამნიკი ამბობს, რომ ის შეიძლება მხოლოდ ამ შეჯიბრების გამარჯვებულს შეხვდეს. მოჭადრაკის თქმით, სწორედ ეს მატჩი დაასახელებს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ვინაობას.

ამიტომ ილიუმჟინოვი იძულებულია, ტურნირზე სულ უფრო სუსტი მოჭადრაკეები მიიწვიოს. საინტერესოა, რომ შეჯიბრებაში შეიძლება არც უნგრელმა პეტერ ლეკომ მიიღოს მონაწილეობა. მან, ლინარესისა და მონაკოს ტურნირების შემდეგ გადაღლილობის საბაბით, სოფიის საერთაშორისო ტურნირი გამოტოვა.

თუმცა, ყველაფერი არც ისე ცუდად არის, როგორც ზედაპირულად ჩანს. ჩემპიონატზე უარს ვერ იტყვის ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი რუსტამ კასიმჯანოვი - წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყველას საბოლოოდ გადაავიწყდება. არგენტინაში გაემგზავრება მოროზევიჩი, რომელმაც უნიათო თამაშით ბოლო დროს ბევრი სარეიტინგო ქულა დაკარგა და ცოტათი ჩამოქვეითდა. მსოფლიო ჩემპიონად გახდომის შანსს არ დაკარგავენ ინგლისელი მაიკლ ადამსი და ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი.

ბუენოს-აირესში ჩასვლას აპირებს ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდიც, რომელმაც ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს იდეა მოსწონს. "ვფიქრობ, ეს მოქმედება, ბოლოს და ბოლოს, დაამთავრებს კინკლაობისა და ომის ეპოქას ჭადრაკის სამყაროში", - განაცხადა ვიშვანათან ანანდმა.

ბოლო მომენტამდე უცნობი იყო ტურნირის გამართვის ადგილი. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინათ ფიდეში მივიდა იტალიის ქალაქ ალგაროს ხელისუფლების ოფიციალური წერილი, რომელიც ტურნირის მონაწილეთათვის 500 ათასი ამერიკული დოლარის გარანტიას იძლეოდა. ეს არგენტინის შეთავაზებაზე მეტი იყო. ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენზიას აცხადებდნენ ესპანელებიც.

თუმცა, ილიუმჟინოვმა გადაწყვიტა, სამხრეთ ამერიკაზე გაეკეთებინა აქცენტი. "არგენტინამ ეს უფლება დაიმსახურა", - განაცხადა ფიდეს პრეზიდენტმა და იქვე დაამატა, რომ ავანსის სახით ორგანიზაციის ანგარიშზე უკვე გადარიცხულია 380 ათასი დოლარი.

ინფოთეკა

## ფერგიუსონი მანჩესტერში რჩება

მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მილიარდერმა მალკოლმ გლეიზერმა "მანჩესტერ იუნაიტედის" აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა, გუნდის მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი აცხადებს, რომ ის კლუბში მუშაობას განაგრძობს და არსად წასვლას არ აპირებს. ფერგიუსონი ამბობს, რომ არსად წავა, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ კლუბს, რომელშიც მან ამდენი ძალ-ღონე ჩააქსოვა, საფრთხე არ ემუქრება. თავის მხრივ, გლეიზერსაც სურს, ფერგიუსონი კლუბში დარჩეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, სულ ცოტა, მომავალ წელს მანჩესტერელთა სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

"მე კვლავ მჭირდება ზოგიერთი გარანტია ჩვენი არსებობისა, მაგრამ უკვე ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ გუნდთან მუშაობას განვაგრძობ. ჩვენ შესანიშნავი კოლექტივი გვყავს, სადაც ბევრი პროგრესული ახალგაზრდაა", - განაცხადა ფერგიუსონმა.

## ფედერერმა მასტერსი მოიგო

შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა მოიგო მასტერსის ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 2,08 მილიონი ევრო იყო. ჰამბურგის ტურნირის ფინალში მან სამ სეტში დაამარცხა ფრანგი რიჩარდ გასკე - 6:3, 7:5, 7:6.

რომში მიმდინარე ქალთა ტურნირის ფინალში კი (საპრიზო ფონდი 1,3 მილიონი ევრო) ფრანგმა ამელი მორესმომ ასევე სამ სეტში - 2:6, 6:3, 6:4 დაამარცხა ფედერერის თანამემამულე პეტი შნაიდერი.

## ფილ ჯექსონი ალბათ "ლეიკერსში" არ დაბრუნდება

კალათბურთის ამერიკელმა სპეციალისტმა ფილ ჯექსონმა, რომელმაც NBA-ის ჩემპიონატი "ჩიკაგოსა" და "ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის რანგში მოიგო, განაცხადა, რომ არ სჯერა "ლეიკერსში" დაბრუნების მიზანშეწონილობის.

"ჯერჯერობით საბოლოოდ არაფერი გადამიწყვეტია, - ამბობს მწვრთნელი, - არჩევანთან დაკავშირებით ბოლო ვადა არ დამითქვამს, მაგრამ ივნისის შუა რიცხვებში ყველაფერი ნათელი იქნება".

კითხვაზე, "ლეიკერსში" დაბრუნდება თუ სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას, ჯექსონმა უპასუხა, რომ მას სხვადასხვა კლუბისგან რამდენიმე სერიოზული წინადადება აქვს. "იმაში, რომ "ლეიკერსში" დავრჩე, ბევრი პლუსი და მინუსი არსებობს. ერთი მხრივ, მე აქ ოჯახი მყავს და კლუბის მფლობელ ჯენი ბასთანაც კარგი ურთიერთობა მაკავშირებს. მეორე მხრივ, წელიწადზე მეტია, აქ აღარ ვყოფილვარ. მოკლედ, მოვიფიქრებ", - განაცხადა ჯექსონმა.



ფეხბურთი

# სტატუს კვო შენარჩუნებულია

## მედლების ბედი ბოლო ტურში გადაწყდება

მიხეილ აბაიშვილი

14 მაისს ჩატარებულმა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 33-ე ტურის შეხვედრებმა ძალთა გადანაწილებაში ვერავითარი სიცხადე ვერ შეიტანა. ვისაც უნდა მოეგო, ყველამ მოიგო და მედლებისათვის მებრძოლ ოთხეულში არაფერი შეცვლილა - საპრიზო ადგილების მაძიებლებს 3-3 ქულა წაემატათ.

უპირველესი ფავორიტი თბილისის "დინამო" რომ უპრობლემოდ წაიწევდა წინ, ამაში, ალბათ, თვით მის მეტოქეებს - ფოთის "კოლხეთის" ფეხბურთელებს და სამწვრთნელო შტაბს არ ეპარებოდათ ეჭვი. ძალზე სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: იმ ქალაქის გუნდი, სადაც პირველად დაირწა ქართული ფეხბურთის აკვანი, გასავარდნ ზონაშია და სასწაული უნდა მოხდეს, რომ ფოთელებმა უძლიერესთა კამპანიაში ადგილის შენარჩუნება შეძლონ. ამ საქმეში მისი მთავარი კონკურენტი, შარშანდელი სეზონის აღმოჩენა და "ოქროს მატჩის" მონაწილე ბოლნისის "სიონი" "კოლხეთს" ხუთი ქულით უსწრებს და დარჩენილ სამ ტურში ასეთი დეფიციტის აღმოფხვრა ერთობ ძნელი იქნება.

"კოლხეთი" დღეს ნამდვილად არ არის ის გუნდი, რომ გასვლით მატჩში, თუნდაც ფორტუნას უაღრესი კეთილგანწყობის დახმარებით, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს ოქროს მედლებზე დაგეშილ თბილისის "დინამოს". მატჩიც მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და, მიუხედავად იმისა, რომ ფოთელებმა სადებიუტო წუთებში ორი მეტად სახიფათო იერიში მოიგერიეს, მათი კარის ბადის შერხევა მხოლოდ დროის ამბავი იყო. ასეც მოხდა: ტრავმამოშუშებული და ძირითად


მელქაძემ ფოთელებს მორიგი გოლი გაუტანა

შემადგენლობას დაბრუნებული მიხეილ კაკალაძის ფლანგური რეიდისა და დაბალი ჩაწოდების შემდეგ ბურთი მიუვიდა თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მდგომ მახარაძეს, რომელსაც ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია. კიდევ ოც წუთში ყოფილმა ვიტჯორჯიელმა ნოზაძემ ულამაზესი და უძლიერესი შორეული დარტყმით ფოთელთა კარის მარჯვენა "ცხრიანი" დალაშქრა. ზღვისპირელთა კარის "რბევა" ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულმა ლევან მელქაძემ (33-ე ტურის შემდეგ მის ანგარიშზე 23 გოლია) 64-ე წუთზე დაასრულა. "დინამომ" 3:0 გაიმარჯვა, მაგრამ ამ წარმატებით მხოლოდ ის მოახერხა, რომ კონკურენტებთან - "ტორპედოსთან" და "თბილისთან" ქულათა სხვაობა შეინარჩუნა.

ქუთაისელთა წარმატებაც, პრინციპში, იოლად პროგნოზირებადი იყო. ეს გუნდი ამჟამად სატურნირო ცხრილის მე-5 საფეხურზეა და სამად სამი ქულაც ყოფნის იმისთვის, რომ მოვლენების ნებისმიერად განვითარების შემთხვევაში შეინარჩუნოს ადგილი უმაღლეს ლიგაში. ამის საშუალება ბათუმელებს ბოლოსწინა ტურში მიეცემათ, როდესაც გორში ადგილობრივ "დილას" შეხვდებიან. გორელებს ბოლო თოთხმეტი ტურის მანძილზე არც ერთი ქულა არ მოუპოვებიათ და, უმოტივაციოდ მყოფებს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, "ბათუმთან" დაპირისპირებაში შანსი საერთოდ არა აქვთ.

ქუთაისელებმა აღმავლობით ჩაატარეს მთელი შეხვედრა. ოთარ გაბელიას შეგირდებმა მე-13 წუთზე გახსნეს ანგარიში (ჯიქია) და მატჩის ბოლომდე ამ უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ.

ლიდერთაგან ყველაზე ძნელ თამაში ლუის ცაკარიასის "თბილისმა" ჩაატარა. ეს გუნდი 33-ე ტურში ბოლნისს სტუმრობდა, სადაც ყველა გუნდს საკმაოდ უჭირს თამაში და ქულების მოპოვება. მით უმეტეს, რომ წარმატების შემთხვევაში ბოლნისელები მდევარ "კოლხეთს" 8 ქულით გაუსწრებდნენ და უმაღლეს ლიგაში ადგილსაც პრაქტიკულად გაინაღდებდნენ. თამაში დაძაბულად წარიმართა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც მასპინძლებმა, ვერც სტუმრებმა პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ მოახერხეს. თუმცა, მეორე ნახევარი დაიწყო თუ არა, სტუმრებს შედეგიანი შეტევა გამოუვიდათ და ჯიქიამ ანგარიში გახსნა. დარჩენილმა დრომ თითქმის მთლიანად ბოლნისელთა იერიშებში გაიარა. დედაქალაქელები საკუთარ კარს იყვნენ მიჯაჭვულნი. მათმა მეკარემ სოსო გრიშიკაშვილმა რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისგან. ბოლო წუთებში "სიონმა" ზურგი სრულად მოშიშვლა, რითაც სტუმრებს სახიფათო კონტრშეტევების საშუალება მიეცათ. ერთ-ერთი ასეთი შეტევა თორნიკე ფიფიას ზუსტი და სამი ქულის მომტანი დარტყმით დასრულდა.

თავისი მატჩი მოიგო "ლოკომოტივმაც". რკინიგზელებმა ყოფილი დინამოელის ბობოხიძის მიერ 70-ე წუთზე ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონის "ვიტ ჯორჯიას" კარში გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვეს და საპრიზო ადგილის დაკავების შანსი შეინარჩუნეს.

| | |
|---|---|
| **დინამო (თბ) - კოლხეთი** | **3:0** |
| **ვიტ ჯორჯია - ლოკომოტივი** | **0:1** |
| **დილა - ზესტაფონი** | **1:2** |
| **დინამო (ბთ) - ტორპედო** | **0:1** |
| **სიონი - თბილისი** | **0:2** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო (თბ)** | **33** | **21** | **5** | **7** | **67-27** | **68** |
| **ტორპედო** | **33** | **18** | **10** | **5** | **52-27** | **64** |
| **თბილისი** | **33** | **19** | **6** | **8** | **54-35** | **63** |
| **ლოკომოტივი** | **33** | **16** | **13** | **4** | **41-20** | **61** |
| **ზესტაფონი** | **33** | **15** | **5** | **13** | **34-43** | **50** |
| **ვიტ ჯორჯია** | **33** | **12** | **9** | **12** | **49-36** | **45** |
| **დინამო (ბთ)** | **33** | **8** | **12** | **13** | **32-28** | **36** |
| **სიონი** | **33** | **10** | **4** | **19** | **30-53** | **34** |
| **კოლხეთი** | **33** | **8** | **5** | **20** | **26-55** | **29** |
| **დილა** | **33** | **2** | **3** | **28** | **18-79** | **9** |

კრივი

# მოდი, ვნახოთ ტიტო, ვინ შეჭამა ტიტო?

გიგა გურასაშვილი

*ბრძოლის კონტრაქტის პირობების თანახმად, სამი წონითი კატეგორიის მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ფელიქს "ტიტო" ტრინიდადი პირველი მოთხოვნისთანავე განმეორებითი ორთაბრძოლის ჩატარების უფლებას იტოვებდა. უფრო სწორად, ტრინიდადის ბანაკის წარმომადგენელთა მოთხოვნით, მატჩ-რევანში შემთხვევითობისგან თავის დაზღვევისთვის იყო გამიზნული. ერთი სიტყვით, წაგების შემთხვევაში, იტოვებდნენ რევანშის უფლებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც შაბათს ლას ვეგასის რინგზე მოხდა, საეჭვოა, ტრინიდადს თავად ჰქონდეს მეტოქესთან განმეორებით შეხვედრის სურვილი. "განმეორებით მატჩზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ახლა მომხდარისგან დასკვნების გამოტანა გვმართებს. ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. თავდაპირველად მამაჩემსა და საკუთარ პრომოუტერს უნდა დაველაპარაკო და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებ", - მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან რონალდ "ვინქი" რაიტთან მარცხის შემდეგ აცხადებდა ტიტო.*

ტრინიდად-რაიტის ორთაბრძოლა, რომელსაც HBO-ს საკაბელო სივრცის მეშვეობით საკუთარი კომენტარებით ამდიდრებდა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიოს ერთ-ერთი სახელოვანი მოკრივე როი ჯონს-უმცროსი, მატჩის დასრულების შემდეგ ტრინიდადზე თქვა: "დროა, ბარგი ჩაალაგოს. ტრინიდადის საუკეთესო დღეები წარსულს ჩაბარდაო".

და მაინც, რა მოხდა? მოხდა ის, რომ რაიტმა ტრინიდადზე დამაჯერებლად იმარჯვა. 12 რაუნდის განმავლობაში სრულად აკონტროლებდა "ბრძოლის ველს". თავისუფლად უმკლავდებოდა, ანეიტრალებდა მეტოქის ნებისმიერ შეტევას.

"ახლა უნდა გაჩუმდეს ყველა, ვინც აქამდე მაკრიტიკებდა, ან მხოლოდ კომპლიმენტები მითხრას", - მატჩის შემდეგ განაცხადა პირველი საშუალო წონის ყოფილმა ჩემპიონმა რაიტმა.

არადა, ორთაბრძოლის ფავორიტად ტიტო იყო მიჩნეული, მაგრამ ფაქტია, იმედი არ გამართლდა. ორთაბრძოლას კი ის ფასი და



ვინკი რაიტმა ტრინიდადს მარჯვნიდან არაერთხელ მოსცხო

წონა ჰქონდა, რომ გამარჯვებულს კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საშუალო წონის ჩემპიონთან ბერნარდ ჰოპკინსთან ჩხუბის, კერძოდ, სავალდებულო პრეტენდენტის სტატუსი ენიჭებოდა.

"მწვრთნელის დარიგებები პირნათლად შევასრულე. ბრძოლა ისე მიმყავდა, როგორც საჭირო იყო. სრულად ვაკონტროლებდი ვითარებას და ყველას ვაჩვენე, რომ ჩემი ჯები მეტად საშიში იარაღი შეიძლება იყოს...

ტიტო დიდი მებრძოლია, რომლის წინშეც ქედს ვიხრი, მაგრამ მიმაჩნია, რომ კარგად ვერ შემაფასა. ვერ წარმოიდგინა, თუ ასეთი მაგარი ვიქნებოდი".

ტრინიდადი მართლაც დიდი მოკრივეა. ყოველ შემთხვევაში, იყო. სხვაგვარად სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჩემპიონობას რომ ხონჩით არ მიართმევდნენ, აშკარაა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე წაგებულსაც ელოდნენ, მაგრამ არ გამოცხადდა. თავდაპირველად ეგონათ, ალბათ, მარცხმა გაანაწყენაო, მაგრამ როდესაც დარბაზს მიღმა გამოიჭირეს და კომენტარი სთხოვეს, განაწყენებულისა არაფერი ეტყობოდაო.

"ჩემი დამარცხება მხოლოდ ისეთ მოკრივეს შეუძლია, რომელიც ზეპურ საკრივო სამყაროს განეკუთვნება. ვინკიმ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, - რინგს მიღმა საუბარში აღუნიშნავს ტრინიდადს. - ბრძოლა კი მართლაც მძიმე იყო. მას ბრწყინვალე ჯები აქვს, რომელიც არაერთხელ ვიგემე".

ერთი სიტყვით, რაიტი-ტრინიდადის დაპირისპირება პირველის აშკარა უპირატესობით დასრულდა, რაც სამივე მსაჯის დათვლითაც ნათელია - 120-107, 119-108, 119-108.

ბრძოლის შემდეგ ტრინიდადის გაქნილმა პრომოუტერმა დონ კინგმაც კი აღიარა საკუთარი მოკრივის კრახი: "რაიტმა მშვენივრად იბრძოლა. ის ბრწყინვალე მოკრივეა. მეტიც, ტექნიკური კრივის განსახიერებაა, ხოლო მისი ჯები, უბრალოდ, შეუდარებელი იყო".

როდესაც რაიტის ჯებზე ამახვილებენ ყურადღებას, ჩვენც აღვნიშნოთ, რომ მისმა მარჯვენამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. ამის საუკეთესო დასტურია დარტყმათა სტატისტიკა: 12 რაუნდის განმავლობაში რაიტის ჯებმა 185-ჯერ უწია მიზანს, მაშინ როდესაც ტიტოს მაჩვენებელი მხოლოდ 15-ია.

"არ მახსოვს ასეთ დონეზე ჩატარებული მატჩი, რომელშიც ორი დიდი მოკრივე ხვდებოდეს ერთმანეთს და ერთ-ერთი ასეთ გამანადგურებელ მარცხს განიცდიდეს", - ბრძოლის შემდეგ თქვა რონალდ რაიტის პრომოუტერმა გერი შოუმ.

TV-სპორტი

### ორშაბათი. 16 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "მიდლსბრო"
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნანტი" - "ლილი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 იტალიის ჩემპიონატი. "ლეჩე" - "მილანი"
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "ლევანტე" - "ბარსელონა"
19:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის მატჩების მიმოხილვა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტარი" - "ვორსკლა"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 15:45, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში. ფინალი
13:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
13:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "HAMBURG SEA DEVILS" - "AMSTERDAM ADMIRALS"
16:00 მძლეოსნობა. დიდი პრიზი ბრაზილიაში
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ფელიქს ტრინიდადი - უინკი რაიტი
21:00 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
23:00 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკი". მესამე ნაწილი
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
00:05 ახალი ამბები
00:20 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში

**EUROSPORT**
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსზე
11:00 მოტორბოლა. საფრანგეთის დიდი პრიზი
12:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსზე
13:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში. ფინალი
14:30 ფეხბურთი. ევროპის 17 წლამდელთა ჩემპიონატი იტალიაში. ფინალი
16:00 ველორბოლა - იტალიის ტური
17:00 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ფეხბურთი - ევროგოლები
20:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი
20:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
21:15 სუმო. ჰარუ ბაშო
22:15 მებრძოლთა კლუბი
00:15 ფეხბურთი - ევროგოლები
01:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი
01:45 ახალი ამბები
02:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
02:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
03:15 ახალი ამბები

ჭორჭორი



ნინო ტიკარაძე

### მეფე, რომელსაც მსახიობობა უნდა

მსოფლიო ფეხბურთის მეფემ, სახელგანთქმულმა და ლეგენდარულმა პელემ ფართო საზოგადოებას თავისი დიდი ხნის ოცნება გაუმხილა. თურმე ნუ იტყვით და, ფეხბურთის მეფედ წოდებული, ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო თავდამსხმელი მსახიობობაზე ოცნებობს.

"თეატრის მსახიობის პროფესია ყოველთვის მიზიდავდა. პირობას ვდებ, სანამ რაიმე როლს არ შევასრულებ, არ მოვკვდები".

თანაც, ნებისმიერს კი არა, მთავარ როლსო. აბა, როგორ? ფეხბურთის მოედანზე ლიდერს სცენაზეც ლიდერობა უნდა.

პელემ ფეხბურთსა და თეატრს შორის დიდი მსგავსება აღმოაჩინა - უამრავი ადამიანი სტუმრობს ფეხბურთის მოედნებს, ასევე ურიცხვია მათი რაოდენობა თეატრებში.

სიმართლე რომ ითქვას, ეს ადამიანი მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პელემ ფეხბურთის თამაში და მეფის ტიტულის მოპოვება მოასწრო, საფეხბურთო კარიერაზე წიგნი დაწერა, რეკლამა გაუკეთა ყავას, ძალები პოლიტიკაში მოსინჯა და თავისი სიმღერების რამდენიმე ფირფიტაც ჩაწერა.

ასეთ მრავალფეროვან ბიოგრაფიას მსახიობობაღა აკლია. დარწმუნებული ვარ, ეს დანაკლისიც მალე შეივსება.

პირობა პირობაა, მით უმეტეს, მეფის.

### გულს ნუ გაიტეხ, რონალდო!

დამეთანხმებით, ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლება (პრინციპში, ამას თქვენი დასტურიც არ სჭირდება!), მაგრამ კარიერაში აღმასვლამ ის ვერ დააზღვია პირად ცხოვრებაში უამრავი კრახისგან. ჯერ იყო მილენა დომინგეშთან წარუმატებელი ქორწინება, რომლის შესახებ ფეხბურთელს არაერთხელ უთქვამს, რომ ძნელად გადაიტანა თავისი ცხოვრების ეს ეტაპი (ამ ქორწინებიდან რონალდოს ვაჟი ჰყავს).

ცხოვრების მოწყობის არც მეორე მცდელობა გამოდგა წარმატებული. არადა, რამდენი ვწერე მათ ურთიერთობაზე, დეტალურად აღვწერე პარიზის შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეში გამართული მათი ნიშნობა. თურმე, სულ ტყუილად. ცივი წყალი გადამასხეს მეც და მათ ყველა კეთილმოსურნესაც.

"როიტერსის" ცნობით, პოპულარული ტელეწამყვანის დანიელა ჩიკარელის აგენტმა განაცხადა: "რონალდო და ჩიკარელი ოფიციალურად აცხადებენ, რომ მათი ურთიერთობა დამთავრდა. წყვილი დეტალების გახმაურებისგან თავს იკავებს".

თუმცა, არა უშავს. სადაც ორი, იქაც მესამეო. აი, ნახავთ, მოიშუშებს ჭრილობებს ჩვენი რომეო და ახალი თავგადასავლის საძებნელად გაეშურება.

### ტოტი მახეში გაება

სასიყვარულო თავგადასავლებით ცნობილი იტალიის ეროვნული ნაკრებისა და "რომას" თავდამსხმელი ფრანჩესკო ტოტი პიკანტურ სიტუაციაში აღმოჩნდა. ფოტომოდელ ილარი ბლაზისთან ქორწილისთვის მზადების პერიოდში ფეხბურთელმა სასიყვარულო თავგასავლებისგან თავის შეკავების ნაცვლად მათი ძიება არ დაიწყო?

სიმართლე რომ ითქვას, ეს მოსალოდნელიც იყო. არავის სჯეროდა ის, რომ მექალთანეს ნიშნობა და ქორწილის მოლოდინი დააშოშმინებდა.

მოკლედ, გასულ კვირას "რომას" თავდამსხმელმა დიდებული დრო გაატარა საცოლის მეგობართან, ასევე ფოტომოდელ ფლავია ვენტოსთან. წყვილი ორ მეგობართან ერთად ჯერ რომის ერთ-ერთ ძვირფას რესტორანს ესტუმრა, შემდეგ კი წვეულების მოსაწყობად ოთხივე ვენტოს ბინისკენ გაემართა. იქ კი ალკოჰოლურმა სასმელმა თავისი გაიტანა. ტოტიმ და ვენტომ მოზღვავებული გრძნობების შეჩერება ვერ შეძლეს. რაც მოხდა, ამას ჩემი მინიშნების გარეშეც მიხვდებოდით.

შეგახსენებთ, ღალატამდე ქორწილი ამა წლის 25 ივნისს იყო დაგეგმილი. აი, ღალატის შემდეგ რა მოხდება, ეს, მე კი არა, ჯერ არც მოტყუებულმა ბლაზიმ და არც მატყუარა ტოტიმ იციან.

### დაგვიანებული იუბილე

მაისის დასაწყისში დევიდ ბექჰემს 30 წელი შეუსრულდა. თუმცა, ფეხბურთელმა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ერთი კვირის დაგვიანებით აღნიშნა, თანაც, საკმაოდ ხმაურიანად, თუმცა, ყოველგვარი ექსცესების გარეშე.

ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა მადრიდის ერთ-ერთ კლუბში გამართა წვეულება. იგი ფეხბურთელს 250 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. სტუმრებს შორის იყვნენ "სპაის გერლზის" ყოფილი სოლისტი ჯერი ჰოლიველი, მსახიობი ლიზ ჰარლი, სუპერმოდელი ელ მაკფერსონი, ელტონ ჯონის მეგობარი მამაკაცი (არა, ნამდვილად არ მეშლება! მეტსაც გეტყვით, წყვილი წლის ბოლოს ქორწილსაც გეგმავს. ეს ახალი ამბავი არ გახლავთ), "ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელი დენი უაიზი, ასევე "არისტოკრატების" ყოფილი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი, იუბილარის რეალელი თანაგუნდელები ლუიშ ფიგუ, რონალდო, რობერტო კარლოსი, ჯონათან ვუდგრეიტი და მაიკლ ოუენი მეგობარ ქალბატონებთან ერთად.

წვეულება იმ მატჩების ფრაგმენტების ჩვენებით დაიწყო, რომელშიც ბექჰემი იღებდა მონაწილეობას (რატომღაც, რონალდოს ან რაულის ეპიზოდები რომ ეჩვენებინათ დევიდ ბექჰემის დაბადების დღეზე!)... შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელიც სადღეგრძელოებმა (არა, უფრო სადღეგრძელომ!) შეცვალა. იუბილარმა სურვილი ჩაიფიქრა და შოკოლადის ტორტზე ანთებული სანთლები ჩააქრო. ფეხბურთელს მეუღლის ნაჩუქარი 15 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ბრილიანტებით მოოჭვილი საათი ეკეთა.

მონოტონური თხრობა კი გამომდის, მაგრამ რა ჩემი ბრალია? განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, არც არავინ უცემიათ, არც თეფშები დაუმტვრევიათ... წყნარად, მშვიდად, გამთენიისას დაიშალნენ. კლუბი პირველებმა მაიკლ ოუენმა და მისმა საცოლემ ლუიზა ბონსალმა დატოვეს.

მეორე დღეს, უფრო სწორად, წვეულების დამთავრებიდან რამდენიმე საათში "რეალის" ვარჯიში იწყებოდა. დევიდმა და "რეალის" რამდენიმე ფეხბურთელმა (მიხვდით, ალბათ, რომლებმაც!) მოედანს ერთი წრე შემოუარეს, ხელ-ფეხი რამდენჯერმე გაიქნ-გამოიქნიეს და გასახდელისკენ წალასლასდნენ.

### დაშორდნენ, მაგრამ არც დაშორდნენ

როგორც ჩანს, "პარმას" მცველის სტეფანო ბეტარინისა და მისი ყოფილი მეუღლის სიმონა ვენტურას ურთიერთობა ახალ, მეტად საინტერესო ფაზაში შედის.

რამდენიმე თვის წინათ ცნობილ ფეხბურთელსა და ასევე ცნობილ ტელეწამყვანს იდეალურ ცოლ-ქმრად თვლიდნენ, მაგრამ ერთხელაც, ყველასთვის მოულოდნელად, მათ ურთიერთობას წერტილი დაესვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთი წყარო იტყობინებოდა, რომ ვენტურას ახალი მეგობარი მამაკაცი ჰყავდა. მან თავის დაბადების დღეზე ყოფილი მეუღლე არ დაპატიჟა. აი, მაშინ კი მიხვდნენ, რომ წყვილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო ერთმანეთზე გადაკიდებული. ასეთი დასკვნის გამოტანის შემდეგ საზოგადოება, ცოტა არ იყოს, დააბნია მილანის ერთ-ერთ რესტორანში ვახშამზე ბეტარინისა და ვენტურას ერთად დანახვამ. ზოგიერთის აზრით, ეს შეხვედრა ორ ბავშვთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას უკავშირდებოდა, ზოგიც მათი ურთიერთობის განახლებაზე ალაპარაკდა.

მოკლედ, თავიანთი საქმისა თავადვე იციან. შერიგება-დაშორებაც მათი პრობლემა და გადასაწყვეტია. მე კი ბეტარინისთან დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მივაწვდი დაინტერესებულ ადამიანებს: რამდენიმე თვის წინათ იტალიური ჟურნალის "ნოველა 2000"-ის მიერ 18-45 წლის ასაკის მკითხველებში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სწორედ ბეტარინი დაასახელეს სერია A-ს ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად. მან ხმების 70 პროცენტი მოაგროვა.

## ოკეანის ფსკერის სიღრმეში უკვდავება არსებობს

ბრიტანეთის კარდიფის უნივერსიტეტის მეცნიერმა ჯონ პარკსმა და მისმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს კვლევა, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ზღვებისა და ოკეანეთა ფსკერის სიღრმეში ნამდვილი ბიოსფერო არსებობს და იქ სიცოცხლე ფაქტობრივად, უკვდავია.

როგორც ირკვევა, ფსკერის ზედაპირიდან 400-800 მეტრის სიღრმეზე, უძველესი დანალექებისგან შემდგარ ფენებში ახლაც ცოცხლობს მილიარდობით ბაქტერია, რომელთაგან ზოგიერთი ეგზემპლარის ხნოვანება 16 მილიონი წლითაა შეფასებული. უფრო მეტიც, მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ბაქტერიები პრაქტიკულად მუდმივად არსებობენ.

ნაშრომის ავტორთა აზრით, 3.8 მილიარდი წლის წინ სწორედ ფსკერის სიღრმეში ჩაისახა ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე და შემდეგ, როცა ოკეანესა და ხმელეთზე ხელსაყრელი პირობები წარმოიშვა, ზედა ფენებშიც განვითარდა. აღსანიშნავია, რომ ოკეანეებისა და ზღვების ფსკერის სიღრმეზე სიცოცხლის ნიშნებს მეცნიერები ადრეც აწყდებოდნენ, მაგრამ პარკსის ჯგუფი პირველია, რომელმაც ამგვარ გარემოში ცოცხალ ორგანიზმებს მიაგნო.

ფსკერის ზედაპირიდან 800 მეტრის სიღრმიდან ამოღებული სინჯების ასაკი რამდენიმე მილიონი წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ არსებული ბაქტერიებიც, მათ შორის ცოცხალნიც, ანალოგიური ასაკისა უნდა იყოს. პარკსისა და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული მეთოდი ცოცხალი უჯრედების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. უფრო მეტიც, უელსელმა მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ მათ მიერ აღმოჩენილი ბაქტერიების თითქმის მესამედი ცოცხალია. რა თქმა უნდა, სიღრმეში მზის შუქი ვერ ჩადის და იქ ეს ბაქტერიები ენერგიის წყაროდ სხვადასხვა გეოქიმიურ პროცესებს იყენებენ.

კვლევის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მათ მიერ აღმოჩენილი ბაქტერიული ბიოსფერო მეტად დიდია და რიცხოვნობით გაცილებით სჭარბობს იმ ბაქტერიების სახეობებს, რომლებიც ხმელეთზე არსებობს. მეცნიერები უკვე ვარაუდობენ იმასაც, რომ ამ ბაქტერიების გარეშე, პლანეტის სიღრმეში არ წარმოიქმნებოდა გაზი და ნავთობი, ჰაერში კი ნახშირჟანგსა და ჟანგბადს შორის არსებული ბალანსი ვერ შენარჩუნდებოდა.

## უკრაინის მთვარის პროგრამა

უკრაინის ეროვნულმა კოსმოსურმა სააგენტომ აშშ-ის აეროკოსმოსური სააგენტოს (NASA) მიერ ჩატარებულ სემინარზე წარადგინა მთვარეზე მისიის საკუთარი პროგრამა, რომელმაც ამ დარგის სპეციალისტთა დიდი ყურადღება დაიმსახურა.

კერძოდ, უკრაინულ-რუსული აეროკოსმოსური კონსორციუმი "კოსმოტრასი" ამერიკელებს თავისი კონსტრუქტორების მიერ შემუშავებულ სამთვარეო მოდულის გამოყენებას სთავაზობს, უკრაინის მეცნიერებათა აკადემია კი მოდულის სასარგებლო ტვირთის - რადიოლოკატორებისა და სპექტრომეტრ-პოლარმეტრის დამზადებას კისრულობს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მთვარის გეოფიზიკური მონაცემების მონიტორინგი.

როგორც ცნობილია, აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული კოსმოსური პროგრამა აქცენტს მთვარისა და მარსის შესწავლაზე აკეთებს. პრეზიდენტის ინიციატივით, NASA-მ საერთაშორისო კოსმოსურ თანამეგობრობას წარუდგინა კოსმოსის, კერძოდ კი მთვარისა და მარსის ათვისების თავისი პროგრამა. ამ პროგრამის მთავარი საკითხი მთვარესა და მარსზე კოლონიების შექმნაა.

NASA-ს საერთაშორისო სემინარების მთავარ მიზანს წარმოადგენს მთვარისა და მარსის ათვისების ახალი პროგრამის სხვადასხვა ასპექტების დამუშავება და სხვა სააგენტოებთან შეთანხმება. ამ თანამშრომლობით უნდა შეიქმნას 13 ქსელური გრაფიკი, რომელთა მიხედვითაც უნდა გადაიჭრას ყველა სტრატეგიული ამოცანა. NASA-ში აცხადებენ, რომ პროგრამის თითქმის ნახევარი საერთაშორისო კოოპერაციით განხორციელდება.

## რუსების მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურ ხომალდი



ლე ბურჟეს წლევანდელ ავიასალონზე რუსეთი სრულიად ახალ, მრავალჯერადი გამოყენების პილოტირებად კოსმოსურ ხომალდ "კლიპერს" წარადგენს. "როსკოსმოსის" შეფ ანატოლი პერმინოვის განცხადებით, "კლიპერის" გამოყენება შესაძლებელი იქნება არამხოლოდ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე, არამედ მთვარეზე გასაფრენადაც.

კოსმოსურ ხომალდ "კლიპერს" სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია "ენერგია" ქმნის და მისი ბედი პრინციპში, უკვე განსაზღვრულია. პირველ რიგში მას მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული და დიდი, ლე ბურჟეს ავიასალონის დამთვალიერებელი იხილავს.

პერმინოვის განცხადებით, ახალი ხომალდი დღეს არსებულ ანალოგიური ტიპის ხომალდებთან შედარებით, კომფორტული და ტევადი იქნება. "ჩვენ ყოველთვის გვაღელვებდა ის ფაქტი, რომ კოსმოსურ ხომალდებში მათი ეკიპაჟებისთვის ძალიან მცირე "სასიცოცხლო სივრცეა". როცა კოსმონავტთა მომზადების ცენტრში თავად ჩავჯექი კოსმოსურ ხომალდში, მივხვდი, თუ რა მძიმე პირობებში უწევთ შრომა კოსმონავტებს", - განაცხადა პერმინოვმა.

მისი განცხადებით, "კლიპერის" იმ კაფსულაში, რომელშიც 6 კოსმონავტი მოთავსდება, ისეთივე კომფორტული სავარძლები განთავსდება, როგორებიც გვხვდება ბიზნეს-კლასის თვითმფრინავებში. რაც მთავარია, ამ აპარატს მთვარეზე დაჯდომის გარდა, შესაძლებლობა ექნება, დაჯდეს ჩვეულებრივ აეროპორტებში, რომლებსაც პირველი კლასის ასაფრენი ზოლი აქვთ.

წინასწარი ვარაუდით, კოსმოსურ ხომალდ "კლიპერს" კოსმოსში გაიყვანს რაკეტა-მატარებელი "ზენიტი", მაგრამ "ბურანისგან" განსხვავებით, რომელიც მზიდ რაკეტა "ენერგიასთან" გვერდიდან იყო მიერთებული, "კლიპერი" მზიდი რაკეტის ზედა ნაწილში განლაგდება. როგორც ხომალდის კონსტრუქტორები ამბობენ, ამგვარი სისტემა გაცილებით საიმედოცაა და ეკონომიურიც.

## „სპორტ-ჯეტი" - თვითმფრინავი ყველასათვის

მსოფლიოს უდიდესი ავიამწარმოებელი კომპანიები სულ უფრო ტევადსა და დიდი ზომის თვითმფრინავებს ამზადებენ, რათა დააკმაყოფილონ საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობის გაზრდილი მოთხოვნილება. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ დიდი ზომის ავიალაინერებისაა ავიაციის მომავალი. პირიქით, რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება მცირე ზომის თვითმფრინავებზე, რომლებსაც იაფად და სწრაფად შეუძლიათ ადამიანების დანიშნულების ადგილამდე, მეტწილად მოკლე მანძილებზე გადაყვანა. დღეისათვის ასეთი ტრანსპორტით მხოლოდ მდიდარი ადამიანები სარგებლობენ, თუმცა შორს არც ის დროა, როცა ასეთი ტაქსი-თვითმფრინავები საშუალო შეძლების ადამიანებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ წარმოებასაც კარგი მომავალი აქვს.







უფრო მეტიც, ასეთი თვითმფრინავების ფასი თანდათან უახლოვდება კიდევ ძვირი ავტომობილებისას და არაა გამორიცხული, მალე ისინიც ისეთივე ხელმისაწვდომნი გახდნენ, როგორც ვთქვათ, ლუქსის კლასის ავტომობილებია. ამ შემთხვევაში მცირე ავიაცია მართლაც არნახულ მასშტაბებს მიაღწევს და მისი მწარმოებლებიც დიდ მოგებას ნახავენ.

დღეისათვის უკვე შექმნილია ასეთი მცირე თვითმფრინავების არაერთი ნიმუში, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ იმ საშუალო ზომის კერძო თვითმფრინავების შეცვლა, რომლებიც დღეს კერძო გადაყვანებში დომინირებენ. ასეთ თვითმფრინავებს შორის კი კონსტრუქციულად ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ამერიკელ კონსტრუქტორ ბობ ბორნჰოფენის მიერ შემუშავებული საფრენი აპარატი სახელად "სპორტ-ჯეტ", რომელსაც მხოლოდ ოთხი ადამიანის (მათ შორის პილოტისაც) გადაყვანა შეუძლია და საკმაოდ პერსპექტიული ტექნიკური მონაცემები გააჩნია.

"სპორტ-ჯეტი" მთლიანად შუშა-კარბონის ქსოვილისა და პოლიეთერული ფისების კომპოზიციური მასალისგან მზადდება და აქვს ერთადერთი ტურბორეაქტიული ძრავი (პრატ ენდ უიტნის, ან უილიამს ინტერნეიშნლის წარმოებისა), რომელიც ფიუზელაჟზე უკანაა მიერთებული. მისი მეშვეობით თვითმფრინავი ავითარებს 340 კვანძ (დაახლოებით 630 კმ/სთ) კრეისერულ სიჩქარეს, მისი კრეისერული ფრენის სიმაღლეა 7600 მეტრი და 4 ადამიანის გადაყვანა შეუძლია დაახლოებით ათასი მილის (1600 კილომეტრზე მეტი) სიშორეზე. ეს თვითმფრინავი უკვე გადის სერტიფიკაციას და მოსალოდნელია, რომ 2007 წლის ბოლოს ბაზარზეც გამოჩნდება.

ბორნჰოფენი აერონავტიკისა და კოსმოსური აპარატების ინჟინერია. ის ერთ დროს "აპოლოს" კოსმოსურ პროექტზე მუშაობდა, შემდეგ კი სამხედრო დანიშნულების სატელიტების შექმნაზე გადაერთო. ამას მოჰყვა დიდი თვითმფრინავების დიდი ზომის მოდელების ბიზნესის წამოწყება, რამაც სოლიდური მოგება მოუტანა.

თუმცა, შემდეგ ამ ბიზნესსაც მიანება თავი - ის გაყიდა და მთელი თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, თვითმფრინავმშენებლობაზე გადაერთო. ამ საქმეში მისი პირველი დიდი ნამუშევარი იყო "მავერიკის" სისტემის მცირე ზომის თვითმფრინავი, რომელსაც მწარმოებელი დაშლილი სახით, ეგრეთ წოდებული კიტ-კომპლექტის სახით ჰყიდდა. ეს თვითმფრინავი მყიდველისთვის იმით იყო მიმზიდველი, რომ მას თავად შეეძლო მისი აწყობა. ორი წლის წინ კი ბორნჰოფენმა "სპორტ-ჯეტზე" დაიწყო მუშაობა.

კონსტრუქტორის თქმით, მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი თვითმფრინავის შექმნა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მყიდველთათვისაც კი ხელმისაწვდომი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "სპორტ-ჯეტის" ღირებულება მაქსიმალურად დაბალი უნდა იყოს.

კონსტრუქციის დამუშავების პარალელურად, ბორნჰოფენი მოლაპარაკებას აწარმოებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესაბამისი პროფილის საწარმოებთან, რომლებიც რიგ გარემოებათა გამო, ვერ ახერხებენ თავიანთი საწარმოო სიმძლავრეების სრულად ათვისებას. მათ გააჩნიათ საჭირო ფართობი, იაფი მუშა ხელი, საკონსტრუქტორო შტაბი და თითქმის ამოუწურავი შესაძლებლობანი. ასეთ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება თბილისის საავიაციო საწარმოც, რომელიც თავის დროზე, ერთ-ერთი საუკეთესო იყო აღმოსავლეთ ევროპაში.

ბორნჰოფენი ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ისეთი დიდი კომპანიებიც, როგორიცაა "ბოინგი" ხშირად რთავენ თავიანთ პროექტებში აღმოსავლეთევროპელ კოლეგებს და ამით უზარმაზარ სახსრებს ზოგავენ.

კონსტრუქტორი დარწმუნებით აცხადებს, რომ "სპორტ-ჯეტი" თითქმის ყველანაირი ამინდის პირობებში შეძლებს ფრენას. აპარატს შეუძლია წუთში 700 მეტრ სიმაღლეზე ასვლა, თუმცა მეორეს მხრივ, ეს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის მის მფლობელ პილოტებს, რომლებიც ფიზიკურად შესაბამისად არ იქნებიან მომზადებულნი. სიმაღლის ასე სწრაფად აღების დროს ხომ პილოტიც და მგზავრებიც უზარმაზარ გადატვირთვას ღებულობენ, რასაც ყველა ადამიანის ორგანიზმი ვერ უძლებს. სამაგიეროდ, თვითმფრინავი აღიჭურვება ბევრი ისეთი დამხმარე მოწყობილობით, რომლებიც პილოტს საქმეს გაუადვილებს. ამასთან, ყოველი (კატასტროფული) შემთხვევისთვის, პილოტისა და მისი მგზავრებისთვის გათვალისწინებულია ბალისტიკური პარაშუტები.

"სპორტ-ჯეტის" მშრალი მასა 1316 კილოგრამია, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი - 2203 კილოგრამი. აფრენასა და დაჯდომაზე მას წესაბამისად 700 და 550 მეტრი ჰყოფნის. მისი ავზები 210 გალონ (დაახლოებით 794 ლიტრ) საწვავს იტევს, რაც 1000 მილზე გასაფრენადა საკმარისი. თვითმფრინავის მაქსიმალური სიჩქარე 375 კვანძია (დაახლოებით 695 კმ/სთ), ასაფრენად კი 68 კვანძიც (126 კმ/სთ) ჰყოფნის. ამასთან, მისი კრეისერული სიჩქარე 340 კვანძია (630 კმ/სთ), ეკონომიური კი - 310 კვანძი (574 კმ/სთ).

ბორნჰოფენმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმასაც, რომ მისი თვითმფრინავის კონსტრუქცია რაც შეიძლება, მარტივი ყოფილიყო. კერძოდ, "სპორტ-ჯეტი" სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. მთავარი მათში ფიუზელაჟია, რომელზეც გადმოსულია ძრავის ორი ჰაერის ამღები. ფიუზელაჟის გვერდებზე, სპეციალურ ფოსოებში მაგრდება ფრთები, უკან კი მას უერთდება კუდის ნაწილთან აგრეგატირებული ძრავი.

"სპორტ-ჯეტის" ფრთის გაშლა სულ 10.1 მეტრია, სიგრძე - 8.845 მეტრი, სიმაღლე კი - 2.5 მეტრი. ამ გაბარიტებით, ის მცირე ზომის ანგარშიც განთავსდება, სადაც მისი მომსახურებისთვისაც იქნება ადგილი.

ყველაფერთან ერთად, ბორნჰოფენი ვარაუდობს, რომ მისი "სპორტ-ჯეტი" იდეალური სასწავლო საშუალებაც იქნება დამწყები პილოტებისთვის. ამისათვის მას პილოტის სამუშაო ადგილის გვერდით, მეორე შტურვალიც გააჩნია, რომლითაც მომავალი პილოტები ივარჯიშებენ ინსტრუქტორის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ (როგორც სასწავლო ავტომობილებშია).

## ნიჩბოსანი წყალქვეშა - შვედი დიზაინერის სადიპლომო შედევრი

ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო კოლეჯში არის ერთი წესი - სტუდენტი ირჩევს ნებისმიერ სიტყვას და შემდეგ, ამ სიტყვის მიხედვით ქმნის საკუთარ სადიპლომო ნამუშევარს.

ჰოდა, თურქული წარმოშობის შვედ სტუდენტ მილკო ოზლუს შეხვედრია სიტყვა "რიტმი", რომელმაც იგი ადამიანის ძალით მომუშავე წყალქვეშა ნავის შექმნამდე მიიყვანა. "ამ სიტყვაზე ფიქრის შემდეგ, გამიჩნდა ისეთი სატრანსპორტო საშუალების შექმნის იდეა, რომელიც თავისი მგზავრების რიტმულ მოძრაობებს გაიმეორებდა", - ყვება აწ უკვე ავტოდიზაინერი ოზლუ, ვინც საბოლოოდ, წყალქვეშა ნავის შექმნა გადაწყვიტა.





სხვათა შორის, ის დასძენს, რომ საბოლოო არჩევანის გაკეთებაში პროექტი "სპრინგუოკერიც" (მექანიკური ფეხები სირბილისა და ხტომებისთვის) დაეხმარა, რომელზეც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გარკვეულ ექსპერიმენტებს ატარებდნენ ამერიკელი სამხედროები. თავისი იდეა მან ნახაზებსა და მაკეტში გადაიტანა, თუმცა ჯერ მოქმედი მოდელი არ შეუქმნია.

უნდა ითქვას, რომ ადამიანის ძალით მომუშავე წყალქვეშას შექმნის იდეა საკმაოდ ძველია. ეს იდეა თავის კოდექსში დიდ ლეონარდო და ვინჩისაც აქვს დაფიქსირებული. უფრო მეტიც, პირველი წყალქვეშა ნავები, რომლებიც ჯერ კიდევ ნაპოლეონ ბონაპარტის არმიას გააჩნდა, სწორედ ადამიანის ძალის გამოყენებით გადაადგილდებოდა. მსგავსი პრინციპით მოქმედ ნავებს სამხედროები ჯერ კიდევ აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს იყენებდნენ.

ოზლუ კი მაინც პიონერია, რადგან მისი ჩანაფიქრის განხორციელებას შეიძლება სპორტის ახალი სახეობის შექმნა მოჰყვეს. წარმოიდგინეთ, ერთგვარი დახურული ბაიდარები, რომლებიც ნიჩაბთა ყოველ მოსმაზე წყალქვეშ მიიწევენ წინ, ფინიშისაკენ. ახლა ეს უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ წყალქვეშა ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციას ერთ დროს ოლიმპიურ პროგრამაში შესვლა მოუნდეს...

"ნიჩბოსნობა არის სპორტის ის სახეობა, რომელშიც ყველაზე ეფექტურად ხდება ადამიანის ძალის გამოყენება. თანაც, მასში მოსრიალე დასაჯდომები კიდევ უფრო ეფექტურს ხდის ადამიანის მოქმედებას. სწორედ ამიტომ ავირჩიე ჩემი პროექტისთვის ნიჩბოსნობის ამძრავი", - ამბობს ოზლუ, რომელმაც თავის წყალქვეშას "იუსქალ" უწოდა.

შვედი დიზაინერის მიერ დაპროექტებული წყალქვეშა მოქმედებაში მოჰყავს ორ ნიჩბოსანს, რომლებიც მოსრიალე სკამებზე თავსდებიან და თითქმის იმავე მოძრაობებს ასრულებენ, როგორსაც ნიჩბოსნობაში. ოზლუს აპარატი წყლის ზედაპირის სიახლოვეს, მცირე სიღრმეზე დაცურავს და ამდენად, მაყურებელი ადვილად შეძლებს მის დანახვას. მცირე სიღრმეზე ცურვა კი ნიჩბოსნებისგან დიდ დაძაბვას და გარჯას არ მოითხოვს. თუმცა, "იუსქალის" ნიჩბოსანს ალბათ მაინც დასჭირდება დაივერის (მყვინთავის) ლიცენზია - სხვა თუ არაფერი, მას ხომ წყალქვეშ მოუწევს მუშაობა.

ოზლუს დამუშავებული აქვს "იუსქალის" ორი ვარიანტი. ერთია ძვირი - პროფესიონალური სპორტისთვის, რომელიც უფრო სწრაფია, მეორე კი შედარებით უბრალო - გასართობად. წყალქვეშას "ოლიმპიური" ვარიანტის სიგრძე უნდა იყოს 9.5 მეტრი და მას მოძრაობაში მოიყვანს ორი ან ოთხი ნიჩბოსანი. ნავი ნახშირბადოვანი ქსოვილისა და ძვირადღირებული პოლიმერების კომპოზიციური მასალისგან დამზადდება, გარედან კი ტეფლონის აპკით დაიფარება, რათა წყლისგან ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდეს და შესაბამისად, ნაკლებად დაღალოს ნიჩბოსნები.

ტეფლონით არ დაიფარება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ორგანული შუშისგან დამზადდება და რომლის შიგნითაც ნიჩბოსნები იქნებიან მოთავსებულნი. თუმცა, ოზლუ ამბობს, რომ თუ სპორტსმენები მოისურვებენ, იმისათვის, რომ ნავს ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდეს, მათი კაფსულაც შეიძლება დაიფაროს ტეფლონის აპკით. ნიჩბოსნები კი ორიენტირებას შეძლებენ სპეციალური ვიდეოკამერის მეშვეობით.

ოზლუს მოფიქრებული აქვს სპეციალური, რქოვანა შურდულის პრინციპით მოქმედი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ენერგიის დაგროვება და საჭიროების შემთხვევაში, მისი მეშვეობით ნავის "გასროლა" - უცაბედი აჩქარება.

ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ შეძლებს მისი "იუსქალი" წყალქვეშ, საჭირო სიღრმეზე წონასწორობის შენარჩუნებას, როგორ ჩაიძირება და როგორ ამოვა წყლის ზედაპირზე. უფრო მეტიც, ის ამბობს, რომ კონსტრუქცია მხოლოდ ზოგადი იდეაა და მისი წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგია არ არსებობს. სამაგიეროდ, ის იმედოვნებს, რომ მისი კონსტრუქციის წარმოება დასაბამს დაუდებს სპორტის ახალ სახეობას - წყალქვეშა ნიჩბოსნობას.

რა თქმა უნდა, არაა ცნობილი, თუ რომელი კომპანია ითავებს ჯერაც ბოლომდე დაუმუშავებელი პროექტის სრულყოფასა და წარმოებას. სამაგიეროდ, თავისი ორიგინალური სადიპლომო ნამუშევრის წყალობით, ოზლუმ შესანიშნავი სამუშაო იშოვნა - დღეისთვის ის იაპონური საავტომობილო კომპანია "ნისანის" ტოკიოს დიზაინ-ცენტრის თანამშრომელია. შესაბამისად, შვედი დიზაინერის ყურადღებამ დღეისათვის ნავებიდან ავტომობილებზე გადაინაცვლა.

| | |
|---|---|
| სახელი | მისამართი |
| გვარი | |
| ასაკი | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |
| სიმაღლე | |

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელოდება ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ბლანკი ...

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, ...





სერიოჟას ცნობილი სიმღერა

წინა სკანვორდის პასუხები:

## TV პროგრამა

16 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "მძაფრი შეგრძნებები" (18) (ერიკ რობერტსი) **02.00** პატრული

### 1

**08.00** დოკ. ფილმები **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -პინოჩეტი **16.30** დოკ. ფილმი "შორიდან დანახული კანის ფესტივალი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "მედიატორი" **19.30** გზაჯვარედინი **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **21.30** კონცერტი **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი **23.30** მხ. ფილმი "თოჯინა" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "მეტოქეები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.05** "ჯეოსტარი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **21.00** "ჯეოსტარი - ფილარმონია" **23.10** კრიმ. სერიალი "სთშ" **00.00** მხ. ფილმი "ამაზონები და გლადიატორები" (15) (პატრიკ ბერგინი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ზღვების რაჯა" **19.50** "ზაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "მხატვრები და პროვანსი" **20.55** დოკ. ფილმი "კორტო მალტეზის 13 ცხოვრება" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "მადამ ბოვარი" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.30, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** "არ იდარდო" **17.10** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **02.25** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.40** სათავ. ფილმი "ფათერაკების მაძიებელნი" **12.40** მხ.ფილმი "ძიება წარსულში" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.05** თრილერი "მსაჯული" **18.10** მულტფილმი **18.30** ნოვოსტი **19.10** "სილამაზის ხელოვნება" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** კომედია "ჯაშუში ვარ" **22.40** "პროექცია" **23.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტის პირამიდები" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მისტიკა "თვალი-2" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### 1 ОРТ

**Профилактика. 12.00, 15.00, 18.00** Новости **12.20** Александр Збруев в фильме **"КОЖА САЛАМАНДРЫ". 14.20** Спецрасследование. "Врачебная ошибка". **15.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Многосерийный фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 22.40** Док. фильм "Русская звезда Голливуда". **23.30** Ночное "Время". **00.00** Док. фильм "Красота из-под скальпеля. Новое лицо". **00.30** Искатели. "Крещение Владимира". **01.00** Бриджит Фонда в триллере **"ПРОСТОЙ ПЛАН".** Братья Хэнк и Джейкоб Митчелы и их приятель Лу Чемберс случайно находят в лесах Миннесоты потерпевший крушение самолет. В нем - погибший летчик и сумка с сумасшедшими деньгами: четыре миллиона четыреста тысяч долларов. Хэнк предлагает заявить о случившемся властям. Но после долгих терзаний и размышлений друзья решают оставить деньги себе и на время затаиться. Вдруг их хозяин не обнаружится? **02.50** Пит Постлетвейт в комедии **"КРЫСА". 04.20** Док. фильм "Камикадзе".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Совершенно секретно. Информация к размышлению. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00** "Сегодня" **10.15** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.45** Инна Чурикова в фильме **"КУРОЧКА РЯБА". 13.35** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ЛЕБЕДЯНЬ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Игорь Ботвин в остросюжетном сериале **"РИЭЛТОР". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ПАДЕНИЕ РУБЛЯ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сара Джессика Паркер в сериале **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"РИЭЛТОР". 01.15** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Гэбриел Бирн в остросюжетном фильме **"ГОТИКА". 1816** год. На виллу в Швейцарии, где живет лорд Байрон с доктором Полидори, своим бывшим любовником, приезжают: поэт Перси Биши Шелли с супругой Мэри и Клэр, ее сводная сестра. Опиум, алкоголь и свободная любовь одновременно делают свое дело: обитатели виллы вызывают из подсознания свои самые тайные страхи и постепенно понимают, что уже не могут с этим справиться, что страх начинает управлять их поступками... **03.10** Д.У.Моффетт в мелодраме **"ВСЕ ТОЛЬКО ХОРОШЕЕ"** 1-я серия. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

## აცხადებს კონკურსებს

### რეგიონებში თეატრალური ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - რეგიონებში თეატრალური ცხოვრების განვითარების მხარდაჭერა.

**კონკურსის მიზანი:**

ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებში თეატრალური ცხოვრების განვითარებას (სადადგმო ხარჯით, სადადგმო ჯგუფების ჰონორარით, ან ხარჯებით მცირე გასტროლებისათვის).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული თეატრალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3. 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 15 ივნისი.**

### თეატრალური ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა.

**კონკურსის მიზანი:**

იმ პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების 2005 წლის პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდებიან ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში. მხარდაჭერა ექნება იმ პროექტებს, რომლებიც თავიანთი არსით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყანაში თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული თეატრალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10. 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

### ახალი ქართული პიესების კრებულის გამოცემა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - ახალი ქართული პიესების გამოცემა.

**კონკურსის მიზანი:**

დრამატურგიის განვითარების ხელშეწყობა, ახალი ქართული პიესების კრებულის გამოცემა და ახალი ქართული პიესებით ქართული თეატრის რეპერტუარის შევსება

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული თეატრალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერძო და იურიდიულ პირებს, საინიციატივო ჯგუფებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 31 ივლისი**

### პროფესიონალ მუსიკოსთა სამგზავრო გრანტი

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება - საერთაშორისო ღონისძიებებში (კონკურსებში) მონაწილე პროფესიონალ მუსიკოსთა სამგზავრო გრანტებით ხელშეწყობა

**კონკურსის მიზანი:**

პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებში (საერთაშორისო ფედერაციის წევრი კონკურსები) მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, პროფესიონალი მუსიკოს-შემსრულებლების სამგზავრო გრანტით ხელშეწყობა, შემსრულებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლება, ქართველ მუსიკოსთა წარმოჩენა მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სივრცეში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ მუსიკოს-შემსრულებელს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილი იქნება მომწვევი მხარის ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2. 500 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

### მუსიკალური ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**

იმ პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების 2005 წლის პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდებიან ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში, გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში. მხარდაჭერა ექნება პროექტებს, რომლებიც თავიანთი არსით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყანაში მუსიკალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების 2005 წლის პროგრამის მიზნებს. იგი შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5. 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 15 ივნისი.**

### თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი - ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია.

**კონკურსის მიზანია:**

მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს თანამედროვე სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციასა და ქართველ ხელოვანთა მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში.

**კონკურსის პირობები:**.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, კერძო პირს, საინიციატივო ჯგუფს, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

### საქართველოში სახვითი ხელოვნების გამოფენების ხელშეწყობისათვის

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი - საქართველოში სახვითი ხელოვნების გამოფენების ხელშეწყობა.

**კონკურსის მიზანია:**

მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდივიდუალური და ჯგუფური გამოფენების მოწყობას, როგორც თბილისში ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გამოიწვევენ შემოქმედთა სტიმულირებას, სახვითი ხელოვნების ახალი მიმართულებების და სახეების წარმოჩენას, რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

**კონკურსის პირობები:**

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, კერძო პირს, საინიციატივო ჯგუფს, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 30 მაისი.**

### სახვითი ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშესაწყობად

**კონკურსის საფუძველი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი: თავისუფალი პროექტების მხარდაჭერა.

**კონკურსის მიზანია:**

კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა და თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული სახვითი ხელოვნების განვითარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.

**კონკურსის პირობები:**

წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების დარგობრივი კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2500 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**სამინისტროში განსახილველად პროექტის წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 15 ივნისი.**

***კონკურსების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის დარეკეთ: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ხელოვნების დეპარტამენტი, ტ. 99-03-06, ორშაბათს და ოთხშაბათს 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4***

**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12 სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში.**

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად
MBA
მარკეტინგი / ფინანსები
სრული კურსის ფასი
£ 4550
ხანგრძლივობა 1 წ.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ტელ: 253 045, 230 284 ... 877-423569
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## მიუნჰაუზენის მემკვიდრე მთვარეზე მიფრინავს

დაფრინავდა მთვარეზე, შიშველი ხელებით დათვს კლავდა, ბევრს ცრუობდა და პირდაპირიც იყო. ამ გენიალურ მთხრობელსა და საკუთარი ცხოვრების მითად მქცეველს ბარონ ფონ მიუნჰაუზენი ერქვა. წლეულს მას 285 წელი შეუსრულდებოდა.

სამწუხაროდ, მსოფლიოში ყველაზე "მართალი" კაცი თანამედროვეთა მიერ დაუნდობლად გაიკიცხა. ის ფლიდად და გაიძვერად მონათლეს. არავინ აღიქვამდა სერიოზულად, მეტიც, მის ფსიქიკურ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდათ.

სხვათა შორის, რეალური ბარონი თავისი ლიტერატურული პროტოტიპისგან გარეგნულადაც კი განსხვავდებოდა. კარლ ფრიდრიხ იერონიმ ფონ მიუნჰაუზენი 1720 წლის 11 მაისს დაიბადა, რუსულ არმიაში მსახურობდა და იმ საპატიო ყარაულსაც ხელმძღვანელობდა, რომელიც რუსეთში ჩამობრძანებულ ეკატერინე მეორეს დახვდა. გადამდგარი მიუნჰაუზენი ჰანოვერში დასახლდა და სწორედ აქ გაითქვა სახელი ათასი მონადირული და სამხედრო ამბის თხრობით. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ტყუილ-მართალი მწერალ რუდოლფ ერიჰ რასპეს მოუსმენია და გენიალური ლიტერატურული ოპუსების ავტორიც გამხდარა. ამბობენ, მოთხრობების წაკითხვის შემდეგ მიუნჰაუზენი ძალზე განაწყენებულა, "ტრაბახა არასოდეს ვყოფილვარ," - განუცხადებია და პროტესტის ნიშნად საკუთარ სახლში ჩაკეტილა. ასე უცხოვრია სიკვდილამდე, ანუ 1797 წლამდე.

მიუნჰაუზენის ნათესავები და პირდაპირი მემკვიდრენი რუსეთში ცხოვრობენ. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მწერალი ვლადიმერ ნოგოვიცინია, რომელიც ბარონის დღეობას მეგობრების წრეში ფოიერვერკებითა და შამპანურით აღნიშნავს. საინტერესოა, რომ შარშან მწერალს საკუთარი გვარის შეცვლის პროცედურა მიუნჰაუზენის ნათესაობამ შეუმსუბუქა (აღსანიშნავია, რომ 1739 წელს ბარონი "კნიაგინია" გოლიცინას შეხვდა. მისგან უკანონო შვილიც შეეძინა. სკანდალისგან თავის ასარიდებლად ბავშვი ნოგოვიცინის ოჯახმა იშვილა). ვლადიმერ ნოგოვიცინმა 2002 წელს "ბარონ მიუნჰაუზენის მემკვიდრის თავგადასავლები" გამოსცა. მწერლის თქმით, თავისი დიდი პაპის მსგავსად, ახლო მომავალში ისიც მთვარეზე გაფრენას გეგმავს.

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, სიძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.
მის. ლესელიძის ქუჩა - ყაულაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge




■ საერთაშორისო სამოდელო სააგენტო FACE 2 FACE და იმიჯ-ცენტრი აცხადებენ რეგიონალურ კასტინგს საქართველოში ახალი სახეების შესარჩევად.
■ მონაწილეობის მისაღებად იწვევს 13-დან 20 წლამდე ასაკის გოგონებს.
■ შერჩეული გოგონები გაემგზავრებიან რუმინეთში ფინალურ კასტინგზე, სადაც წარსდგებიან მსოფლიოს წამყვანი სააგენტოების წარმომადგენლების წინაშე.
■ გამოიყენეთ თქვენი შანსი და გახდით ახალი სახე.
■ მიმდინარეობს მსურველთა რეგისტრაცია.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას №45 ტელ:53 69 11 ■ 20 00 20